პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირებს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 12 იანვარი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 9 (2355)

დ ღ ი უ რ ი

— პარლამენტარიზმის სრული ლიკვიდაცია სამხრეთ-სლავიაში.
— ამხ. დოვგალევსკი ბრიანთან.
— მოკავშირეთა კომისიამ შეადგინა სარეპარაციო საკითხის განმხილველი კომისია.
— მდგომარეობა ფრონტებზე ავღანისტანში.—ფადიშაჰის ახალი ბრძანება.
— მემარცხენეების გამარჯვება დუისბურგის (გერმანია) ხუროთა კავშირში.
— ცნობები ჩან-სუე-ლიანის შტაბის უფროსის იან-იუ-ტინის დახვრეტის შესახებ.
— ეგვიპტის მთავრობამ გადასწყვიტა შეიძინოს კრეისერი.

გადამჭრელი ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ

საბჭოების მიმდინარე საარჩევნო კამპანია ნათლად აშკარავებს იმ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც სოფლად წარმოებს. კულაკობა, რომელიც ვერ ინელებს სოციალისტური სექტორის ზრდას სასოფლო მეურნეობაში და მშრომელ გლეხობის დარაზმვას, დიდ აქტიობას იჩენს და შეტევაზე გადმოდის, რომ თავისი ძველი პოზიციები დაიბრუნოს და შეინარჩუნოს. ხსენებული კამპანია ამ მხრივ მდიდარ მასალას იძლევა.

რა ხრიკებს და ზომებს არ მიმართავენ ისინი ამ მიზნის მისაღწევად! საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად და საბჭოებში გასაძრომად ისინი ხშირად ცდილობენ ღარიბ გლეხობის და ადგილობრივი ორგანიზაციების გულის მოგებას — სესხის მიცემით, „საქველმოქმედო მოღვაწეობით" და სხვ. და არის შემთხვევები, როცა ღარიბი გლეხები ეგებიან კულაკების ანკესზე და მათ დამცველებად გამოდიან (მაგალითად, ახალქალაქის მაზრაში).

ყველაზე უფრო ხაზგასასმელი ის არის, რომ ადგილობრივ პარტორგანიზაციები ალაგ-ალაგ ჯეროვან ხელმძღვანელობას ვერ უწევენ საარჩევნო კამპანიას და სრულ უმოქმედობასაც იჩენენ. ამით აიხსნება შემთხვევები, როცა საარჩევნო კომისიებში ზოგან მოხვდენ ანტისაბჭოთა ელემენტებიც და კულაკები ამომრჩეველთა სიებში აღმოჩნდნენ (იმავე მაზრაში). უდავოა, რომ პარტიის და კომკავშირის ცალკე წევრები სოფლად განიცდიან კულაკობის გავლენას, რაც მათი მხრით იწვევს კლასობრივი ხაზის და პარტიის დირექტივების დამახინჯებას. ასეთი მდგომარეობა ან უკვე გამოსწორებულია, ან გადამჭრელი ზომებია მიღებული ამ მიმართულებით. საარჩევნო კამპანიაზე პარტხელმძღვანელობა ადგილობრივ აუცილებლად უნდა გაძლიერდეს.

სადაც კულაკები ვერ ახერხებენ საარჩევნო ხმის უფლების მიღებას და პირდაპირ გამოსვლას, იქ ისინი ცდილობენ თავისი პოლიტიკა გაატარონ იმ ღარიბ გლეხების საშუალებით, რომელნიც ამა თუ იმ სახით ჯერ კიდევ იმყოფებიან მათ გავლენაში და მოკლებული არიან კლასობრივ შეგნებას. ამ მხრივ, სხვათა შორის, დამახასიათებელია, რომ მაგ., დირბის თემის (გორის მაზრა) საბჭოს სხდომაზე, რომელსაც უნდა გამოეყო საარჩევნო კომისია, გამოსულა საბჭოს ერთი მთვრალი წევრი, რომელსაც გაულაშქრებია გადასახადების სიდიდის (დიდი გადასახადები, ცხადია, მხოლოდ კულაკებს აქვთ შეწერილი) და კულაკებისაგან მიწის ჩამორთმევის წინააღმდეგ. სხვებს გამოუმჟღავნებიათ საბჭოს ამ ულირსი წევრის საქციელის სარჩული: საბჭოს სხდომის წინ ის დაეპატიჟა მეზობელ კულაკს, დაუთვრია და დაურიგებია, თუ რაზე უნდა ელაპარაკნა სხდომაზე.

ანტისაბჭოთა ელემენტები ამასთან სხვადასხვა ჭორებს ავრცელებენ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებზე, რომ მათ გლეხობაში სახელი გაუტეხონ. ისინი აგრეთვე ეწევიან პროვოკაციას, თითქო ფართლეული და სიმინდი არ იქნება, სხვა სახელმწიფოები მალე ომს გამოუცხადებენ საბჭოთა კავშირსო და სხვ. ყველა ამით მათ სურთ არევ-დარევა შეიტანონ მშრომელთა რიგებში, რაც, რა თქმა უნდა, ამ ნაძირალებს ესაჭიროებათ თავის მდგომარეობის განსამტკიცებლად და საარჩევნო კამპანიის ჩასაშლელად.

მიუხედავად აღნიშნული ხრიკებისა, კულაკებს გასავალი არა აქვთ. მათი ყოველგვარი ცდა, რომ თავის ნებისყოფა მოახვიონ გლეხობას, ძირშივე იკვეთება. და ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი არაჩვეულებრივ თავხედობას იჩენენ და აშკარა ძალადობას მიმართავენ: ალაგ-ალაგ თავს ესხმიან ღარიბთა კრებებს, სადაც იხილავენ ამომრჩეველთა და შავ სიებს, სცემენ აქტიურ ღარიბ გლეხებს და მოჯამაგირეთ, რომელნიც ამხილებენ მათ ოინებს, ცეცხლს უკიდებენ მათ ქონებას და სხვ. ზედმეტია ლაპარაკი, რომ თავზე ხელაღებული ხულიგნები და ბოროტი კონტრ - რევოლიუციონერები დაისჯებიან რევოლიუციონური კანონების მთელი სიმკაცრით.

მეორე მხრივ ჩვენ მოწმენი ვართ ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის უდიდესი დარაზმულობის და აქტივობის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცალკე, გამონაკლის შემთხვევებს, როცა ისინი კულაკების ბრმა იარაღად ხდებიან, როგორც ღარიბთა კრებებზე, ისე საანგარიშო კრებებზე ისინი შეუბრალებლად აშკარავებენ კულაკების ოინებს და მოითხოვენ მათ ალაგმვას. და უდავოა, რომ ისინი საბოლოოდ იქნებიან გარიყულნი. მათ სამუდამოდ უნდა დაუკარგოთ ბრძოლის სურვილი. მათ რკინის ხელით უნდა მოუსპოთ ისეთი „მასხრობის" ხალისი, რომლის შესახებ ჩვენი კორესპონდენტი გადმოგვცემს კიცხის თემიდან (შორაპნის მაზრა): ნააზნაურალი და კულაკი, რომელნიც გზაში შეხვდნენ ღარიბ გლეხს, ეუბნებიან მას: „თუმანს მოგცემთ, ხოშზე ვართ, ერთი გაგვარტყმევინეო". ამ თავადაზნაურულ „ხოშის" მოტრფიალეთ ჩვენ „ჭკუა" უნდა ვასწავლოთ.

მტკიცე პარტხელმძღვანელობის განხორციელება, ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეთა დარაზმვა, მათი აქტივის გადიდება, მათთან საშუალო გლეხობის დაკავშირება, კულაკობის ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენის აღკვეთა — მათი კლასიურ ზრახვების მხილებით, მშრომელთა სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებით კოოპერატიულ - კოლექტიურ გაერთიანების ნიადაგზე, საბჭოებში მათი საუკეთესო წარმომადგენლების გაყვანით და საბჭოების მუშაობის შემდგომი გამოცოცხლებით — აი, როგორია ჩვენი გეზი. ამ მიმართულებით უკვე დიდი მუშაობაა შესრულებული. საბჭოების საარჩევნო კამპანიას უნდა მოჰყვეს ამ მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება.

ბოლო მოუღოთ ჩვენს ეკონომიურ-ტეხნიკურ ჩამორჩენილობას

ჩვენი საბჭოთა სისტემა, რომელიც თეორიულად დასაბუთა ლენინის გენიამ და დაიპყრო პროლეტარიატმა ოქტომბრის ბრძოლის დიად დღეებში, წარმოადგენს უდიდეს საერთაშორისო ფაქტორს. დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ბურჟუაზიული ეკონომისტი და პოლიტიკოსიც კი იძულებულია ანგარიში გაუწიოს აშკარა ფაქტებს და აღიაროს,—როგორც, მაგალითად, ვკითხულობთ ჟურნალ „სტეტისტ"-ის ერთ-ერთ ნომერში,—რომ „საბჭოთა სისტემა მტკიცეა და, საერთოდ, მაგრად არის შეკრული და კარგად ჩამოყალიბებული", რომ „თუ მხედველობაში მივიღებთ საბჭოთა სისტემის სიმტკიცეს, მისი მალე დაცემის იმედი ყოვლად უნაყოფოა" და სხვ.

ჩვენ დავეწიეთ და გაუსწარით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ახალი პოლიტიკური წყობილების, საბჭოთა წყობილების დამყარების მხრივ. მათი გააფთრებული სიძულვილი, მათი აშკარა და ფარული ბრძოლა საბჭოების სისტემის წინააღმდეგ და საინტერვენციო გეგმები, რომელნიც ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს მთელი პოლიტიკის მთავარ ღერძს წარმოადგენენ, ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ ჩვენი სისტემის სიძლიერეს, ამავე დროს აშკარავებენ მრავალი იმპერიალისტური სახელმწიფოს პოლიტიკის ნერვიულობას.

მიუხედავად ამისა, დიდი დანაშაული იქნება, ჩვენი კავშირის მუშათა კლასი დაკმაყოფილდეს საბჭოთა სისტემის უდიდესი პოლიტიკური უპირატესობის აღნიშვნით და გულზე ხელი დაიკრიფოს. საბჭოების სისტემის განვითარება და განმტკიცება მჭიდროთ არის დაკავშირებული სამეურნეო ბაზისის ზრდასა და განმტკიცებასთან და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარებასთან.

ამავე დროს სამეურნეო მშენებლობისა და ტეხნიკურ-ეკონომიურ დარგებში ჩვენ ძალიან ჩამორჩენილი ვართ. აი სწორედ ამიტომ დღევანდელი დღის ცენტრალური ამოცანაა—დავეწიოთ და გაუსწროთ დასავლეთის კაპიტალისტურ ტეხნიკას. ბოლო მოუღოთ ჩვენს საწარმოო ჩამორჩენილობას და ტეხნიკურ უმეცრებას.

სავსებით მართალი იყო ამხ. სტალინი, როცა მან თავის სიტყვაში ნოემბრის პლენუმზე შემდეგნაირად დაახასიათა ჩვენი ამოცანები ტეხნიკური პროგრესის ტემპის მაქსიმალურად დაჩქარების დარგში:

„სისულელე იქნება ვინუგეშოთ თავი იმით, რომ ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობა ჩვენ კი არ გამოგვიგონია, არამედ მემკვიდრეობით მივიღეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიისაგან, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა ვაგოთ პასუხი ამ ჩამორჩენილობისათვის. ეს არ არის სწორი, ამხანაგებო თუ ჩვენ სათავეში ჩავუდექით ხელისუფლებას და ვიკისრეთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანის განხორციელება, ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ და უნდა ვაგოთ კიდეც პასუხი ყველაფრისათვის, როგორც კარგისათვის, ისე ცუდისათვის, და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ პასუხს ვაგებთ ყველაფრისათვის, უნდა ბოლო მოვუღოთ ჩვენს ტეხნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას".

სწორედ ასე სდგას საკითხი. სწორედ ამ ამოცანის გადაჭრას უნდა შევუდგეთ ჩვენ წმინდა ბოლშევიკური ენერგიით

შეიძლება ვინმემ მიგვითითოს ჩვენ მიღწევაზე ტეხნიკურ-საწარმოო დარგში. ეჭვს გარეშე, ასეთი მიღწევები არის, მაგრამ ისინი სავსებით და მთლიანად ჩარიცხულ უნდა იქნან ჩვენი კავშირის სამეურნეო ძლიერების ზრდის აქტივში. ამავე დროს არ შეიძლება უყურადღებოთ დავსტოვოთ ჩვენი სამეურნეო ბალანსის პასიური მხარეები, დანაშაულია, პირველ ყოვლისა, იმ ტეხნიკური მიღწევების სათანადოთ არ შეფასება, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, სადაც ტეხნიკა, ამხ. სტალინის გამოთქმით, არა თუ მიდის, გარბის წინ. დანაშაულია სათანადო დასკვნების არ გამოყვანა აქედან.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავხუჭოთ თვალი იმის წინაშე, რომ საბჭოთა კავშირში ამჟამად დომენის ღუმელის საშუალო ნაყოფიერება თვითეულ მუშაზე უდრის 330 ტონას, ხოლო ამერიკაში ეს ნაყოფიერება უდრის 3.330 ტონას, ე. ი. ათჯერ აღემატება ჩვენსას, ან, მაგალითად, ელექტრონის ლითონის ჩამომსხმელი ღუმელების სიდიდე საბჭოთა კავშირში არ აღემატება 3 ტონას, მაშინ, როცა ამერიკაში იგი 65 ტონას აღწევს. თუ შევადარებთ მანქანების მშენებლობის შედეგებს საბჭოთა კავშირში, გერმანიაში და შეერთებულ შტატებში, მივიღებთ, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერების შემდეგ შეფარდებას (მარკებით): საბჭოთა კავშირში—4.016, გერმანიაში—6.418, შეერთებულ შტატებში—21.806, იგივე ითქმის ჩვენი დიზელების სიძლავრის შესახებ. ჩვენი ქარხნები ჯერ-ჯერობით სამი ათასი ცხენის ძალით კმაყოფილდებიან, მაშინ, როცა ამერიკაში ამზადებენ 25.000 ცხენის ძალიან დიზელებს. საბჭოთა ქიმიურ მრეწველობაში 30—32 ათ. ტონიანი დანადგარი აზოტის გამოსაშვებად უძლიერესად ითვლება, გერმანიაში კი ერთი დანადგარი (ბადენის) იძლევა 400.000 ტონა აზოტს. საბჭოთა კავშირში ბამბეულის მრეწველობაში ათას თითისტარზე საჭიროა 8 კაცი და მხოლოდ ახალ ფაბრიკებში მათი რიცხვი დავიდა 5 ნახ.—6-მდე, ინგლისში კი ათას თითისტარზე საჭიროა 3 ნახ., ხოლო ამერიკაში—3 კაცი. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი სხვა მაგალითი, რომელიც ცხადჰყოფს, რომ ჩვენი ტეხნიკის დონე ბევრად უფრო დაბალია დასავლეთ ევროპის და ამერიკის ტეხნიკის დონესთან შედარებით და რომ ჩვენში ახლად აგებული წარმოებების მაშტაბიც კი უმნიშვნელოა კაპიტალისტური ქვეყნების ანალოგიურ წარმოებებთან შედარებით

არა ნაკლებ მწვავე პრობლემას წარმოადგენს სამრეწველო კადრების პრობლემა. უდიდესი ამოცანები, რომელნიც სდგანან ჩვენი ქვეყნის წინაშე, მოითხოვენ დიდძალ ახალ კვალიფიციურ მუშა-ხელს, მაშინ, როცა ახალ მუშათა კადრების მნიშვნელოვანი პროცენტის კვალიფიკაცია მეტად დაბალია. მაგალითად, სამხრეთ მრეწველობაში სოფლებიდან ახლად ჩამოსული მუშათა რიცხვი რამდენიმე ათ პროცენტს აღწევს.

ყველა ამ ფაქტიდან სჩანს, თუ რა დიდი ყურადღების ღირსია სამეურნეო მშენებლობის პირველ რიგში კი კაპიტალური მშენებლობის ფრონტი. ყოველი ახალი ქარხნის აგება ამა თუ იმ სისტემის მანქანის მიღება მრეწველობის ამა თუ იმ დარგში არის არა მარტო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ყოველგვარი სპეცების საქმე, არამედ მთელი ჩვენი ფართო პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის საქმეც. მშენებლობის გაშლა, ფაბრიკების და ქარხნების სწორი გეოგრაფიული მდებარეობა, წარმოების სათანადო ტიპი და სიდიდე,—ყველა ეს საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის თვალსაზრისით. ახალი მშენებლობის ამოცანა არის არა მარტო უდიდეს ტეხნიკური ან ტეხნიკურ-საწარმოო ამოცანა, არამედ პოლიტიკური ამოცანაც. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ტეხნიკურ ენაზე ლაპარაკი, ვინაიდან ეს ტეხნიკური ენა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პირობებში არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ენა სოციალიზმის მშენებლობის ენა. აი რატომ უნდა გადაიქცეს ლოზუნგი „ტეხნიკა მასებში" მებრძოლ პროლეტარულ ლოზუნგად, რომელმაც ღრმად უნდა დაიპყრას ფართო მასების შეგნება. ჩვენ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ვითვალისწინებთ იმ უდიდეს მნიშვნელობას, იმ უდიდეს გამარევოლიუციონერებელ როლს, რომელიც ჩვენი ეკონომიკის გარდაქმნაში უნდა შეასრულონ საწარმოო თათბირებმა.

საჭიროა გავაძლიეროთ სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობა ამ ტეხნიკისათვის ბრძოლის თვალსაზრისით, ტეხნიკაში საუკუნოებრივ ჩამორჩენილობასთან ბრძოლის თვალსაზრისით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ იმ უდიდესი პლიუსების ნამდვილად გამოყენებას, რომლებსაც საბჭოთა სისტემა იძლევა არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამეურნეო მშენებლობისათვისაც.

დროა სერიოზულად დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა გაძლიერდეს ჩვენი სოფლის ინტერესი ტეხნიკისადმი. ჩვენ ყველას გვახსოვს ილიჩის იმ „ნათურის" უდიდესი სააგიტაციო მნიშვნელობა, რომელიც პირველად აენთო ჩვენი სოფლის მივარდნილ კუთხეებში. ამის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკა წინ წავიდა. სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის სწრაფმა განვითარებამ საშუალება მოგვცა მიგვეწოდებინა სოფლისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანა. კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ტრაქტორებს, სოფლის ელექტროფიკაციასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობის ტეხნიკური ჩამორჩენილობის დაძლევის საქმეში. საჭიროა რაც შეიძლება გავაძლიეროთ ტეხნიკურ-საწარმოო ჩვენებელი მუშაობა ამ მიმართულებით.

საბჭოთა ტეხნიკური ბაზისის აწევა უფრო მაღალ საფეხურზე მჭიდროთ არის დაკავშირებული დასავლეთ ევროპის ტეხნიკური აზრის და პრაქტიკის უკანასკნელი მიღწევების გამოყენებასთან. სერიოზულად უნდა შევუდგეთ დასავლეთ-ევროპის გამოცდილების სისწორით გამოყენებას. უნდა ერთხელ და სამუდამოდ უარვყოთ ისეთი გაცვეთილი ლოზუნგები, როგორიც არის: „სიმრავლით ყველაფერს დავსძლევთ". მაგრამ ამავე დროს თვალდახუჭულებმა არ უნდა მივიღოთ ყველაფერი „საზღვარგარეთული". საჭიროა სერიოზულად დავაყენოთ დასავლეთ-ევროპის გამოცდილების შესწავლის საქმე, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ტეხნიკური ძალების გამოყენების საქმე. უნდა გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ ტეხნიკურ-საწარმოო კავშირი ამ მხრივ დაწინაურებულ ქვეყნებთან.

ამ თვალსაზრისით არ შეგვიძლია არ მივესალმოთ რუსეთ-გერმანიის საზოგადოების „კულტურა და ტეხნიკა"-ს ინიციატივას გერმანული ტეხნიკის კვირეულის მოწყობის საქმეში, ამჟამად საჭიროა გვახსოვდეს, უფრო ვიდრე ოდესმე, ილიჩის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ჩვენთვის საჭიროა ცოდნა, განათლება და სწავლა, რაც ასე უმნიშვნელოა ჩვენში ყველა სხვა სახელმწიფოებთან შედარებით" და რომ სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ამოცანების გადაჭრა ჩვენ არ შეგვიძლია ერთბაშად და ცარიელი სიტყვებით.

მაშ ასე, ორმაგად და სამმაგად გავაძლიეროთ ჩვენი ყურადღება საბჭოთა კავშირის ტეხნიკური რეკონსტრუქციის ამოცანებისადმი,

„პრავდა", 11 იანვარი.

პუანკარემ გადასწყვიტა არ გადადგეს

ვარშავაში უარჰყოფენ ხმებს ზალესკის გადადგომის შესახებ

იმპერიალისტები ამზადებენ ნიადაგს საბჭოთა წინადადებების უარსაყოფად

კაპიტალისტური სახელმწიფოები და ამხ. ლიტვინოვის ნოტა

რუმინეთის პოზიცია

ვენა, 10 იანვარი. რუმინული გაზეთების ცნობით, რუმინეთის მთავრობამ ვარშავიდან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ პოლონეთი რუმინეთის თანხმობის გარეშე, საბჭოთა კავშირთან არავითარ მოლაპარაკებას არ დაიწყებს ლიტვინოვის ნოტის გამო. ამავე დროს რუმინეთის პრესას მოჰყავს ლიტვინოვის ნოტის ტექსტი და დაწვრილებით არკვევს „იზვესტია"-ს კომენტარიებს, რომლებიც რუმინეთის პოზიციას შეეხებიან.

ამ საკითხის გამო გაზეთები სხვადასხვა აზრს გამოსთქვამენ.

მთავრობის მომხრე „დიმინეაცა" და „ადევერულ"-ი ფიქრობენ, რომ „იზვესტია" შემარიგებელ პოზიციაზე სდგას, ოფიციალური ორგანოები კი, თუმცა აღიარებენ, რომ ლიტვინოვის ნოტა საბჭოთა კავშირის მშვიდობიან განზრახვებს გამოხატავს, მაგრამ მაინც იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ საბჭოთა კავშირმა რუმინეთს უშუალო წინადადებით უნდა მიმართოსო.

საფრანგეთი „ჭკუას ასწავლის" პოლონეთს

პარიზი, 10 იანვარი. „მატენ"-ი უბრუნდება ლიტვინოვის ნოტას და აცხადებს, რომ ის სახელმწიფოები, რომელთაც ხელი მოაწერეს კელოგის პაქტს, ვერ ხედავენ საფუძველს საბჭოთა ინიციატივისათვის, ვინაიდან „მალე შეერთებული შტატების სენატი დაამტკიცებს პაქტს, შემდეგ კი ამერიკის მაგალითს მიბაძავენ სხვა სახელმწიფოები". გაზეთი დასძენს:

„ზოგიერთ წრეებში საფუძვლიანად ფიქრობენ, რომ მოსკოვის უცნაური წინადადება მიზნად ისახავს ბალტიის სახელმწიფოებს შორის უთანხმოების ჩამოგდებას და რუმინეთის იზოლიაციას პოლონეთისაგან. ევროპის სახელმწიფოებს არა სურთ პაციფიზმის გაკვეთილები მიიღონ კომინტერნისაგან".

„ჟურნალ"-ში სენბრიო ამავე თემაზე სწერს:

„პოლონეთი გარკვევით განაცხადებს, რომ სოლიდარული რჩება რუმინეთთან და ბალტიის სახელმწიფოებთან და ეს ერთად-ერთი შესაძლებელი კომბინაციაა უნდა შეეხოს ყველა სახელმწიფოს, რომელიც დაინტერესებულია ახალი მდგომარეობის შენარჩუნებით აღმოსავლეთ ევროპაში. პოლონეთმა უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე თავისი ურთიერთობა დასავლეთთან. მას არ შეუძლია მივიდეს იქამდე, რომ განმარტოებული დარჩეს გერმანიისა და რუსეთის შორის.

დასასრულ, სენბრიო იმედს გამოსთქვამს, რომ პოლონეთი მხედველობაში მიიღებს ევროპის საერთო ინტერესებს". (ადს).

ლატვიის პრესის კომენტარიები

რიგა, 10 იანვარი. გაზეთები გაცხოველებით არკვევენ ლიტვინოვის ნოტას პოლონეთისადმი და ლიტვის მიმართვას ლატვიისა და ესტონეთისადმი, რომლებსაც ლიტვა მოუწოდებს—შეუერთდნენ პოლონეთ-საბჭოთა ოქმს. წერილების შინაარსი და კილო გვიჩვენებს, რომ ისინი ნაკარნახევი არიან ოფიციალური წრეების მიერ.

„პედეა ბრიდის" აზრით, საბჭოთა კავშირი იჩენს მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ერთ გვარ ნამდვილ სურვილს. მაგრამ გაზეთი ფიქრობს, რომ ეს სურვილი ნაკარნახევია „გარემოებით და არა საბჭოთა მთავრობის ჰუმანიზმით".

„ამიტომ,—სწერს გაზეთი,—არავითარი საბაბი არ არის, რომ ხელი მოვაწეროთ ლიტვინოვის ოქმს, მაგრამ ამავე დროს უნდა შევინარჩუნოთ მოქმედების თავისუფლება ჩვენს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკური მიმდინარეობებისადმი"-ო. (ადს).

„ლეტუვოს ჟინიოსის" წერილი

კოვნო, 16 იანვარი. ლატვიის ახალი ელჩის ლეპინშის ლიტვაში მოსვლის გამო, „ლეტუვოს ჟინიოს" სწერს: ახალი ელჩი ლიტვაში მოვიდა თვალსაჩინო პოლიტიკურ მომენტში. ამ მომენტს ქმნის ლიტვინოვის წინადადება და ამ წინადადების მნიშვნელობა ბალტიის მხრის სახელმწიფოებისათვის.

„ამ საკითხის გადაწყვეტაზე,—სწერს გაზეთი.—შეიძლება დამოკიდებული იყოს საკითხი—განხორციელდება თუ არა ბალტიის მხრის სახელმწიფოების თანამშრომლობა". (ადს).

პუანკარემ გადასწყვიტა არ გადადგეს

პარიზი, 10 იანვარი. ოფიციოზურად იუწყებიან, რომ პუანკარემ გადასწყვიტა, არ გადადგეს და არ შესცვალოს კაბინეტის შემადგენლობა იმ შემთხვევაშიაც, თუ მთავრობა უმნიშვნელო და ისიც მხოლოდ მემარჯვენე უმრავლესობას მიიღებს პარლამენტში დაწყებული გენერალური დისკუსიის შემდეგ. (ადს).

დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 10 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

პალატაში დაიწყო საფრანგეთის საერთო პოლიტიკის შესახებ შეტანილი ინტერპელიაციების განხილვა.

კამათში მონაწილეობა მიიღო სოციალისტმა ფროსარმა, რომელმაც დაგმო პარლამენტის წინააღმდეგ წარმოებული კამპანია და უსაყვედურა მთავრობას, რომ იგი ორაზროვან პოლიტიკას აწარმოებს დეპუტატთა ჯამაგირების მომატების საკითხში. ფროსარმა მოითხოვა, რომ ფინანსიური კანონპროექტიდან გამორიცხულიყო მუხლები რელიგიური და მისიონერთა საზოგადოებების შესახებ.

პუანკარემ ადგილიდან დაიძახა: „კანონპროექტიდან ამ მუხლების გამორიცხვა მთავრობის დაშლას უდრისო".

ფროსარი შეეკამათა პუანკარეს და მოითხოვა, რომ კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ ხელუხლებლად დარჩეს.

კამათში მონაწილეობა მიიღო კომუნისტმა დეპუტატმა კაშენმა, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთის კაპიტალიზმი აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. შემდეგ ორატორი შეეხო ომის საფრთხეს. მან სთქვა:

„ვერსალის ხელშეკრულების დადების შემდეგ ჰაერში ომის სუნი ტრიალებს"-ო. (ადს).

პარლამენტარიზმის სრული ლიკვიდაცია

სამხრეთ-სლავიის გაზეთების განცხადება

ვენა, 10 იანვარი. სამხრეთ-სლავიის ოფიციოზური გაზეთები პირდაპირ აცხადებენ, რომ პარლამენტარიზმი სამხრეთ-სლავიაში საბოლოოდ გაუქმდაო.

ზაგრების „ობზორი" (რომელიც მთავრობის მხარეზე გადავიდა) სწერს: „ის ქვეყანა, რომლის მოსახლეობის 80%-მა წერა-კითხვა არ იცის, მომწიფებული არ არის პარლამენტარიზმისათვის". (ადს).

ტერორი ძლიერდება

ვენა, 10 იანვარი. ბელგრადიდან გადმოცემული ცნობის თანახმად, პრემიერმა ჟივკოვიჩმა ადგილობრივ ხელისუფლებას ორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელიც განმარტავს ახალ დეკრეტს „სამშობლოს დაცვის" შესახებ. მაგრამ ამ ცირკულიარის შემდეგაც ბევრი რამ გაურკვეველი რჩება, რადგან, როგორც ეტყობა, თვით მთავრობასაც არა აქვს ჯერ გადაწყვეტილი, თუ რომელი პოლიტიკური ორგანიზაციები მიაჩნია მას „დასაშვებად".

10 იანვარს დაიხურა ბელგრადის ორი გაზეთი: ერთი—რადიკალური, მეორე—დემოკრატიული.

9 იანვარს ზაგრებში ხორვატელ გლეხთა დათხოვნილი პარტიის დეპუტატებმა სცადეს კონფერენციის მოწვევა, მაგრამ ჟანდარმებმა ნება არ მისცეს.

„ლიუმანიტე" გადატრიალების შესახებ

პარიზი, 10 იანვარი. „ლიუმანიტე" ამტკიცებს, რომ საფრანგეთი მონაწილეობას იღებდა იმ გადატრიალებაში, რომელიც ბელგრადში მოხდა. ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს. ასეთია ამას წინად სამხრეთ-სლავიის მეფის ალექსანდრეს ყოფნა პარიზში, საფრანგეთის ელჩის (ბელგრადში) დიდად დაახლოვება სერბიის სამხედრო წრეებთან და ის, რომ საფრანგეთი კვლავ განაგრძობს სამხრეთ-სლავიის შეიარაღებას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთი და იტალია ცდილობენ სამხრეთ-სლავია გადააქციონ ბალკანეთის იმ ცენტრად, სადაც უნდა მოხდეს სამხედრო მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

გერმანელი მენშევიკები ბურჟუაზიულ „სამშობლოს" სადარაჯოზე

იმეორებენ 1914 წლის ღალატს

ბერლინი, 10 იანვარი. სოციალ-დემოკრატიული წრეების მთავარ ყურადღებას იპყრობს ცეკას მიერ გამოქვეყნებული სოციალ-დემოკრატიული პროგრამის იმ ნაწილის პროექტი, რომელიც სამშობლოს თავდაცვას შეეხება. ახალი პროგრამის გამოქვეყნება გამოიწვია იმ გარემოებამ რომ პარტიისათვის, რომელიც ამჟამად მთავრობის პარტიას წარმოადგენს, საჭიროა გამოარკვიონ თავისი დამოკიდებულება თავდაცვის საკითხისადმი.

პროვინციალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთების კომენტარიები სავსებით აშკარავებენ, რომ სოციალ-დემოკრატები მზად არიან 1914 წელს ჩადენილი ღალატი, გაიმეორონ.

ცნობილი ვიურტემბერგელი სოციალ-დემოკრატი კეილი საჯაროდ აცხადებს, რომ საჭიროა სამხედრო სამზადისის დაწყება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

მდგომარეობა ფრონტზე

ქაბული, 10 იანვარი. წარმატებით მიმდინარეობს მთავრობის ჯარის მიერ დაწყებული შეტევა ჩარიკარის ველის მიმართულებით. რაზმმა, რომელიც პაგმანის ქედის გასწვრივ მიემართება, მიაღწია შაქარდას, სადაც მოწინააღმდეგეს შეებრძოლა. მთავარი მიმართულებით, ჩარიკარის გზაზე, ჯარმა გასწმინდა მტრისაგან ხაირ-ხანეს უღელტეხილის რაიონი წიწია ყალამურადბეგისაკენ და შეუდგა ბრძოლას ამ პუნქტის დასაჭერად. ქაბულში განუწყვეტლივ მოდიან მობილიზაციით გაწვეული ნაწილები, სხვათა შორის, ხეზარეჯათიდან და ყანდაგარიდან. ახლად მოსულების სულიერი მდგომარეობა მტკიცეა (ადს).

ქაბული, 10 იანვარი. მთავრობის ჯარის შეტევას ჩარიკარის მიმართულებით უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ მეამბოხენი. ნაწილობრივი გამარჯვება, რომელიც მარცხენა ფრთაზე მთავრობის ჯარმა მოიპოვა შაქარდარისა და ყალამურადბეკის რაიონში, ვერ განვითარდა მდგომარეობის გართულების გამო ჩრდილოეთის ფრონტის მარჯვენა ფრთაზე. მეამბოხეთა რაზმმა სწრაფად შემოუარა მთავრობის ჯარს, დაიჭირა მაღლობები ვაზირაბადის აღმოსავლეთით და საფრთხე შეუქმნა ქაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთის გზებს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ბრძოლის მთავარი ოპერაციები სწარმოებს ვაზირაბადის მიმართულებით.

მეამბოხეთა ბელადი ჩამოიკარის რაიონში ბაჩა-საკაო მთავრობის ჯარის გახრწნის მიზნით ავრცელებს პროკლამაციებს, რომელშიაც თავის თავს ისლამის დამცველს უწოდებს და აცხადებს, თუ გამარჯვება მოიპოვა, უზენაეს ხელისუფლებას დაეპატრონება ქაბულში, მოამზადებს და მოიწვევს სრულიად ავღანისტანის ჯირგას, რომელიც ავღანისტანში დაამკვიდრებს ისლამის შესაფერ მართვა-გამგეობის ფორმას.

აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. ქაროხელის ტომის მთიელები ჯებლარის უღელტეხილის მახლობლად თავს დაესხნენ ქაბულიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ მთავრობის ქარავანს

მოლაპარაკებას ჯელალაბადში აფერხებს მეამბოხეთა დაჟინებული მოთხოვნილება, რომ გაძევებულ იქნას ამანულა ან გარანტიები ჰქონდეთ მათ, რომ რეფორმები გაუქმდება.

ომის გამო ქაბულში მოიწვიეს ულემების (უმაღლესი სამღვდელოება) თათბირი შესაძლებელი შეთანხმების პლატფორმის შესამუშავებლად. ადს).

ფადიშაჰის ახალი ფირმანი

ქაბული, 10 იანვარი. გამოქვეყნებული იქნა ფირმანი (ბრძანება), რომელსაც ხელს აწერს ფადიშაჰი და რომელსაც ადასტურებენ ქაბულში შეკრებილი ულემები. ფირმანი აცხადებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღო ფადიშაჰმა და მთავრობამ კუჩისტანში (აღმოსავლეთის პროვინცია) მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. მთავარი გადაწყვეტილებები შემდეგია:

სახალხო საბჭოს გარდა, რომელიც სრულიად ავღანისტანის ჯირგამ 1928 წლის აგვისტოში დაარსა, არსდება სენატი 50 წევრის შემადგენლობით. სენატში შევლენ ცნობილი ულემები, სერდარები, ხანები და ზოგიერთ მოხელენი. მთავრობის და სახალხო საბჭოს ყველა გადაწყვეტილება დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს სენატს და თუ სენატმა არ მიიღო, ძალაში ვერ შევა. გარდა ამისა, სენატი გადასინჯავს კანონებს და გააუქმებს ყველა ისეთ კანონს, რომელიც შარიათს ეწინააღმდეგება. შემოღებულ იქნა მრავალი შეზღუდვა ქალთა თანასწორუფლებიანობის დარგში. განზრახულია ქალთა სკოლების დახურვა და ქალთათვის მზრუნველი უწყების გაუქმება. ქალთა სკოლების საკითხს განიხილავენ სახალხო საბჭო და სენატი. დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ ქალებს აეკრძალოთ ევროპიული ტანისამოსის ტარება, სახისა და ხელების გამოჩენა და თმის მოკრეჭა. გაუქმდა სავალდებულო ბრძანება ქალების მიერ ჩადრის ტარების აკრძალვის შესახებ. (ადს).

უარჰყოფენ ხმებს ზალესკის გადადგომის შესახებ

ვარშავა, 10 იანვარი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს ხმებს საგარეო საქმეთა მინისტრის ზალესკის გადადგომის შესახებ. მაგრამ პრესა უნდობლად უყურებს ამ უარყოფას და ხმები მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებათა შესახებ კვლავ ვრცელდება. სეიმის წრეებიდან იუწყებიან, რომ ცვლილებანი მთავრობაში მოხდება მას შემდეგ, როცა სეიმი მიიღებს ბიუჯეტს. სეიმი მოწვეული იქნება 15 იანვრისათვის. (ადს).

ლატვიის ფინანსთა სამინისტროს განცხადება

რიგა, 10 იანვარი. ფინანსთა სამინისტრო „რიგაშე რუნდშაუ"-ში უარჰყოფს „ლატვიის" (ფაშისტების ორგანო) ანგარიშს საგარეო ვაჭრობის კომისიის სხდომის შესახებ, რომელიც იხილავდა ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებას. „ლატვისი" იუწყებოდა, თითქოს სხდომაზე თავი იჩინა ხელშეკრულების გადასინჯვის აზრმა.

ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში სთქმულია:

„მეტის-მეტად სამწუხაროა, რომ ზოგიერთი გაზეთები ეკონომიურ საკითხებს პოლიტიკური თვალსაზრისით ეხებიან და ამით ამძაფრებენ მეურნეობის ისედაც კრიტიკულ მდგომარეობას: ეს ძალიან მავნებელია ჩვენი ქვეყნისათვის, ფინანსთა სამინისტრო სამეურნეო ორგანიზაციების სურვილის მიხედვით და გარეშე საქმეთა სამინისტროს თანხმობით მზად არის შეუდგეს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან, რათა ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების პირობები შეუფარდდნენ ჩვენი მრეწველობის მდგომარეობასა და შესაძლებლობას".

„ლატვის"-ში გამოქვეყნებულია თვით საგარეო ვაჭრობის კომისიის ოფიციალური უარყოფა. კომისია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირთან ლატვიის ვაჭრობის ბალანსი ახლა აქტიურია. მას საბუთები მოჰყავს ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების სასარგებლოდ. (ადს).

ამხ. დოვგალევსკი ბრიანთან

პარიზი, 10 იანვარი. 9 იანვარს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დოვგალევსკიმ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი. ამის გამო ზოგიერთი გაზეთები ფიქრობენ, რომ დოვგალევსკი და ბრიანი საუბრის დროს შეეხენ საბჭოთა იმ ნოტას, რომელიც პოლონეთს გადაეცა. (ადს)

იაპონია არ აპირებს პოლიტიკის შეცვლას ჩინეთში

ტოკიო, 10 იანვარი. იაპონიის ელჩმა ჩინეთში იოსიზავამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: იაპონია ამჟამად არ აპირებს არც ჯარის გაყვანას შანდუნიდან, არც ევაკუაციის განსაზღვრული ვადის დანიშვნას.

„ვიდრე ნანკინის მთავრობა არ გაერთიანებს მთელ ჩინეთს,—სთქვა იოსიზავამ,—იაპონია არ სცნობს მას და იაპონიის მთავრობას მოლაპარაკება ექნება მანჯურიის საკითხის შესახებ მხოლოდ მუკდენთან". (ადს).

საიდუმლო სესხები

ტოკიო, 10 იანვარი. ოპოზიციონური პრესა კომენტარიებს უკეთებს ზოგიერთი გაზეთის ცნობას, თითქოს იაპონიის მთავრობამ სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარის იამამოტოს შუამავლობით საიდუმლოდ მისცა ორი სესხი—ერთი ჩან-ძო-ლინს 50 მილიონი დოლარის რაოდენობით, ხოლო მეორე ჩან-ცზუნ-ჩანს—40 მილიონი დოლარის რაოდენობით. ჩან-ძო-ლინს სესხი მიეცა სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე, ხოლო ჩან-ცზუნ-ჩანს —ცოტაოდნით გვიან.

იამამოტომ პრესაში უარჰყო ეს ცნობა. (ადს).

იან-იუ-ტინი დახვრიტეს?

ტოკიო, 10 იანვარი. სიმბუნ რენგოს სააგენტომ მუკდენიდან მიიღო ცნობა, რომ იან-იუ-ტინი დააპატიმრა ჩან-სუე-ლიანმა და რომ ჩან-სუე-ლიანის ჯარმა დაიჭირა მუკდენის არსენალი. დაპატიმრების მიზეზია კონფლიქტი, რომელიც იმის გამო წარმოიშვა, რომ იან-იუ-ტინი გომინდანის დროშის აღმართვის წინააღმდეგი იყო და სცდილობდა ყოველნაირად დაებრკოლებია ახალი პოლიტიკური სისტემის შემოღება მანჯურიაში.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, იან-იუ-ტინი დაუხვრეტიათ მუკდენში. (ადს).

მემარცხენე რევოლიუციონურ უმცირესობის გამარჯვება

ბერლინი, 10 იანვარი. ხუროების კავშირის დუისბურგის საოლქო ორგანიზაციის 11 რაიონში მოხდა კომიტეტების არჩევნები. საბოლოო შედეგები გამოირკვა ხუთ რაიონში, რომლებშიაც მემარცხენე რევოლიუციონურმა უმცირესობამ მიიღო 22 მანდატი, რეფორმისტებმა—3 მანდატი (გასული წლის არჩევნებში მემარცხენეებმა და რეფორმისტებმა მიიღეს თერთმეტ-თერთმეტი მანდატი). მემარცხენე რევოლიუციონური უმცირესობის გამარჯვება მით უფრო საგულისხმოა, რომ სწორედ დუისბურგში რეფორმისტულმა ლიდერებმა კავშირიდან გამორიცხეს მრავალი მემარცხენე. (ადს).

სარეპარაციო კომისიის შემადგენლობა

პარიზი, 10 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „მოკავშირეთა სარეპარაციო კომისიამ დაასახელა ფრანგების, ბელგიელების, ინგლისელების, იტალიელების და იაპონელების ექსპერტების კანდიდატები და ცნობად მიიღო გერმანელი ექსპერტების დანიშვნა. ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების ექსპერტებს დაასახელებენ კომისიის შემდეგ სხდომაზე. (ადს).

კონფერენცია ქიმიური მრეწველობის საკითხების შესახებ

მოსკოვი, 11 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს, ქიმიზაციის კომიტეტის და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაიხსნა კონფერენცია ქიმიური მრეწველობის საკითხების შესახებ. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციის თავმჯდომარემ ვოლფმა, რომელმაც აღნიშნა ხელოვნური სასუქის წარმოების გაძლიერების საჭიროება.

შემდეგ პროფესორმა ფოკინმა (ლენინგრადი) გააკეთა მოხსენება კოქს-ბენზოლის მრეწველობის რეკონსტრუქციის გზების შესახებ. ამხ. ფოკინმა აღნიშნა, რომ ბოლო დროს უცხოეთში ძალიან ვითარდება ქარხნების მშენებლობა კოქსის ღუმელების გაზებიდან დამატებითი პროდუქტების (ამიაკის, სულფატის და სხვ.) მისაღებად. დღემდე ერთი ტონა ქვანახშირიდან ვღებულობთ სულ 3 მანეთსა და 50 კაპეიკს დამატებით პროდუქტებს, მაშინ, როდესაც სათანადო ქარხნების მოწყობის შემდეგ შესაძლებელი იქნება მივიღოთ 25 მანეთის პროდუქტები, ე. ი. თითქმის რვაჯერ მეტი. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება ქიმიური მრეწველობამ.

ამხ. ფოკინს საჭიროდ მიაჩნია ასეთ საწარმოთა აგება დონეცის ბასეინში. ამ მხრივ დონეცის ბასეინის უაღრესად ფართე პერსპექტივები აქვს: იქ შესაძლებელი იქნება იმდენი სინთეტიური ამიაკის მიღება კოქსის გაზიდან, რომ სავსებით დაიფარება ჩვენი მოთხოვნილება ამ ხელოვნურ სასუქზე და მისი თვალსაჩინო ნაწილი გატანილი იქნება საზღვარგარეთ.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● ჩეხო-სლოვაკიაში, სად. ორკულიცში, ჩქარი მატარებელი დაეჯახა საბარგოს. მოკლულია ერთი, დაიჭრა 6 კაცი. მეორე სადგურში დაიმტვრა სამგზავრო მატარებელი. მოკლულია ორი და დაიჭრა 14 მგზავრი. კატასტროფები სქელმა ნისლმა გამოიწვია.

● კალკუტაში (ინდოეთი) არეულობა დაიწყო ერთ-ერთ საფეიქრო ფაბრიკაში. დაჭრილია 6 კაცი. ფაბრიკის დირექტორს (ევროპიელს) აგური ესროლეს და მსუბუქად დასჭრეს.

● ვარშავაში ჩავიდა გერმანიის წარმომადგენელი გერმესი, რომელიც პოლონეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

● პოლტავის გუბერნიის სოფ. კლინოვკაში კულაკებმა მოკლეს გლეხკომის თავმჯდომარე კოციკო.

უკანასკნელი ცნობები

საპროტესტო რეზოლიუციები დემონსტრაციების აკრძალვის წინააღმდეგ

ბერლინი, 11 იანვარი. გუშინ ბერლინის პოლიციეპრეზიდენტმა სოციალ-დემოკრატმა ცერგიბელმა მოიწვია კომუნისტური პარტიისა და ფრონტელების წითელი კავშირის წარმომადგენლები; მან განაცხადა: „როტე ფანე"-ს (კომუნისტური პარტიის ორგანო) წერილებიდან და ცნობებიდან ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ არ სურთ ანგარიში გაუწიონ იმ დემონსტრაციების აკრძალვას, რომლებიც უნდა გამართულიყო ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის დახოცვის წლის თავზე". ამიტომ ცერგიბელი, მისივე სიტყვით, აპირებს, თუ საჭირო იქნება, სამგლოვიარო კრების აკრძალვას სასაფლაოზეც. ცერგიბელის პასუხად კომუნისტური პარტიისა და ფრონტელების წითელი კავშირის წარმომადგენლებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ უორგანიზაციო მასიური დემონსტრაცია, რომელიც დაინიშნა ორგანიზაციული დემონსტრაციის აკრძალვის შემდეგ, აუცილებლად გაიმართება. ბევრ მსხვილ საწარმოში უკვე მიიღეს საპროტესტო რეზოლიუციები დემონსტრაციების აკრძალვის წინააღმდეგ. (ადს).

პრეზიდიუმის არჩევნები ბერლინის ქალაქის მუნიციპალიტეტში

ბერლინი, 11 იანვარი. გუშინ პრეზიდიუმის არჩევნები მოხდა ბერლინის ქალაქის მუნიციპალიტეტში; სოციალ - დემოკრატებმა ბურჟუაზიულ პარტიებთან, მათ შორის ნაციონალისტებთან ერთად მთლიანი ფრონტის შექმნეს, თუმცა ს.-დემ. და კომუნისტები უმრავლესობას შეადგენენ მუნიციპალიტეტში, სოციალ - დემოკრატებმა მაინც უარი განაცხადეს, რომ გამოეყენებიათ ეს უმრავლესობა პრეზიდიუმის არჩევნების დროს და ამჯობინეს, კომუნისტების წინააღმდეგ მოქმედება ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად. კომუნისტური პარტიის წარმომადგენლის კანდიდატურა გაშავებულ იქნა სოციალ-დემოკრატებისა და ბურჟუაზიული პარტიების ხმებით. მუნიციპალიტეტის თავმჯდომარედ ამორჩეულია სოციალ-დემოკრატი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგებად—ნაციონალისტი, დემოკრატი და სახალხო პარტიის წარმომადგენელი. (ადს).

მაჩეკის განცხადება

ვენა, 11 იანვარი. უნგრეთის გაზეთი „პეშტი ჰირლაპი" აქვეყნებს ზაგრების ბელადის მაჩეკის განცხადებას, რომელიც მან გაუკეთებია მეგობართა წრეში. ამ განცხადებაში მაჩეკი ცდილობს გაამართლოს ხმები მისი მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო გადატრიალებაში. მაჩეკმა განაცხადა, რომ უაზრობაა ხორვატელ ბელადებს მიეწეროს აზრი, თითქოს ხორვატები კმაყოფილნი არიან გადატრიალებით. დიქტატორული მთავრობის შექმნის დღიდან ხორვატია სავსებით მოწყვეტილია მსოფლიოს. ხორვატიის პოლიტიკურ მოღვაწეებს არ აძლევენ უცხოეთის პასპორტებს. ეს აძლევს მთავრობას შესაძლებლობას გაავრცელოს ხმები საზღვარგარეთ ხორვატების „აღფრთოვანების" შესახებ. „ხორვატების საერთო აზრია,—განაცხადა შემდეგ მაჩეკმა,—რომ დიქტატურა არის არა დროებითი, არამედ ხანგრძლივი მოვლენა". (ადს).

დუმერის ხელახალი არჩევა

პარიზი, 11 იანვარი. სენატმა თითქმის ერთხმად აირჩია დუმერი თავის თავმჯდომარედ. (ადს).

1.400 კაცის დახოცვა

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. როგორც „ჩიკაგო დეილი ნიუსის" კორესპონდენტი იუწყება, პლანტაციების მუშების უკანასკნელი გაფიცვის დროს მთავრობის ჯარებმა დახოცეს — 1.400 მუშა და დასჭრეს 2.000-ზე კაცი.

ხმები „ლატამი"-ს პოვნის შესახებ უსაფუძვლოა

ოსლო, 10 იანვარი. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ჩრდილოეთის კონცხთან ნაპოვნი აეროპლანის ნამსხვრევები ამუნდსენის აეროპლანს „ლატამ"-ს არ ეკუთვნის, (ადს)

[illegible]

სტამბოლი, 10 იანვარი. ქაიროდან იუწყებიან: ეგვიპტის მთავრობამ გადასწყვიტა—შეიძინოს კრეისერი. (ადს).

—:—

აკადემიკოს ლევინსონ-ლესინგის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა აკადემიკოსი ლევინსონ-ლესინგი. მისი თბილისში ჩამოსვლა დაკავშირებულია სამეცნიერო აკადემიის მუშაობასთან სომხეთში სევანის ტბის რაიონში.

„გერმანული ტეხნიკის კვირეული"

მოსკოვი, 11 იანვარი. „გერმანული ტეხნიკის კვირეული"-ს მეორე დღეს მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. მიულერმა წაიკითხა მოხსენება წყლის ენერგიის გამოყენებისა და ელექტრო-ენერგიის განაწილების შესახებ. ვრცელ მოხსენებაში პროფ. მიულერმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროფიკაციის საქმეში მდინარეებს. საბჭოთა კავშირი მდიდარია ასეთი მდინარეებით და მის წინაშე იშლება იაფ-ფასიანი ელექტრო-ენერგიის მიღების ფართო შესაძლებლობა.



პროფ. ფრ. ფიშერი, პროფ. ზ. არკო

„ამ ბოლო დროს,—განაცხადა მომხსენებელმა,—თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ხდება ელექტროენერგიის ცენტრალიზაციაქმნილი განაწილების იდეა. 1918—29 წლებში მე თვით მომიხდა ენერგიის განაწილების საქმის ხელმძღვანელობა მთელს ბავარიაში ელექტრო-გადაცემის სპეციალური ხაზების მოწყობის გზით. ამ ბოლო დროს დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ მთელი გერმანია მომარაგებულ იქმნას ცენტრალიზაციაქმნილი ელექტროენერგიით".



პროფ. ბესსი ჰანს ცერნერი
პროფ.-დოცენტი.

ამ საკითხის დამუშავება გერმანიის მთავრობამ მიანდო პროფ. მიულერს, რუსეთის პირობები, მომხსენებელის აზრით, ამ მხრივ გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე გერმანიისა. საბჭოთა კავშირში უფრო ადვილია ელექტროენერგიით მომარაგების მთლიანი გეგმის შემუშავება და განხორციელება. მოკლე ხანში ამის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ ეხლავე, ახალი ელექტრო-სადგურების აგების დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ სადგურების შეტანა სახელმწიფოს ელექტრომომარაგების საერთო გეგმაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განაპირა ოლქებს.

პროფესორ მიულერის მოხსენებამ ხანგრძლივი ტაში გამოიწვია.

იმავე დღეს პროფ. ცერნერმა წაიკითხა მოხსენება გერმანიის სოფლის მეურნეობის შესახებ. მოხსენებამ დიდის წარმატებით ჩაიარა.

„კულტურა და ტეხნიკა"-ს საზოგადოებას მრავალი განცხადება მოსდის „კვირეულის" განგრძობისა და ზოგიერთი მოხსენების განმეორების შესახებ (ადს).

გერმანიის მეცნიერები საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებებში

მოსკოვი, 11 იანვარი. 10 იანვარს გერმანელმა პროფესორებმა მიულერმა, მატჩოსმა, ვენდტმა და ცანდერმა ინახულეს ცენტრალური აეროჰიდროდინამიური ინსტიტუტი. სტუმრებს დახვდნენ ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ჩაპლიგინი და ინსტიტუტის თანამშრომელნი. კონფერენც-დარბაზში გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც ინსტიტუტის მუშაკებმა სტუმრებს გააცნეს ინსტიტუტის ისტორია და მისი მუშაობა სტუმრებმა დაათვალიერეს ინსტიტუტში დამზადებული აერომარხილი, საავიაციო მასალის საცდელი ლაბორატორია, აეროდინამიური მილი, ჰიდროარხი, ქარის მამოძრავებელთა განყოფილება და სხვა განყოფილებები. ინსტიტუტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელ მეცნიერებზე. თანამშრომლებთან საუბრის დროს მათ აღნიშნეს, რომ გერმანიაში ასეთი გრანდიოზული დაწესებულებები არ არსებობენო. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ატმოსფერული ძალების საცდელმა აეროდინამიურმა მილმა. ეს მილი უდიდესია ევროპაში. შემდეგ სტუმრებმა ინახულეს გამოყენებითი მინერალოგიის, მეტალურგიის და ფერადი ლითონების ინსტიტუტი. დათვალიერების შემდეგ მათ ინსტიტუტის თანამშრომლებს განუცხადეს, რომ გერმანიაში არ მოიპოვება ისეთი დაწესებულება, რომელიც შეიცავდეს საკითხების ასეთ დიდ კომპლექს. გამოყენებითი მინერალოგიის საკითხებს ჩვეულებრივად სწყვეტენ პატარა განცალკევებულ ლაბორატორიებში. გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტიდან მეცნიერები გადავიდნენ სასუქი მასალის ინსტიტუტში, რომელიც მოთავსებულია იმავე შენობაში. სტუმრებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ინსტიტუტის მუშაობამ ფოსფორისა და მარილის დარგში (ადს).



პროფ. ოსკარ ფონ-მილლერი
ბრუნო ტაუტი ხუროთ-მოძღვარი

კულიკის ახალი ექსპედიცია

მოსკოვი, 11 იანვარი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. კულიკის მოხსენება მომავალ (1929 წ.) სამეტეორიტო ექსპედიციის შესახებ.

იმ უდიდესი მნიშვნელობის გამო, რომელიც მომავალ ექსპედიციას აქვს, პრეზიდიუმმა დაადგინა—აღმოუჩინოს მას ყოველგვარი დახმარება.

თავდაცვა-ავიაქიმს განზრახვა აქვს აღძრას საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა კულიკის ექსპედიციისათვის საჭირო სახსრების გაღების შესახებ. თავის რეზოლიუციაში თავდაცვა-ავიაქიმი აღნიშნავს ამხ. კულიკის თავგანწირულ მუშაობას წარსული ექსპედიციის განმავლობაში. (ადს)..

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ი საქართველოს ტყეების მტაცებლური ექსპლოატაციის შესახებ

მოსკოვი, 11 იანვარი. გაზეთი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ი თავის დღევანდელ ნომერში ეხება ამიერ - კავკასიის ტყეების ექსპლოატაციის საკითხს და შეკითხვას აძლევს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღო სახალხო მეურნეობის საბჭოს საქართველოს ტყეების მტაცებლურ ექსპლოატაციის წინააღმდეგ. გაზეთი აცხადებს, რომ საქართველოს სატყეო ტრესტმა და ტყის დამმუშავებელ სხვა ორგანიზაციებმა საქართველოში გაჩეხეს ჯიშიან ტყეების დიდი რაოდენობა და არ გამოიყენეს ეს მასალა დანიშნულებისამებრ. ამასთანავე „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ი ეხება აზერბეიჯანის ტყეების ექსპლოატაციას და აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის სატყეო ტრესტის გეგმები შეუსრულებელი რჩება, ხოლო ამავე დროს ტყეების დაუზოგავად განადგურება აქ დღესაც გრძელდება.

სოციალურ უმაღლეს სასწავლებელთა კავშირი უცხოეთთან

მოსკოვი, 11 იანვარი. სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერული კავშირი უცხოეთთან მეტად აქტუალურად სდგას განათლების სახალხო კომისარიატში. გადაწყვეტილია, მიმდინარე სამოსწავლო წლიდანვე გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები უმაღლეს სასწავლებელთა დასაახლოვებლად უცხოეთის მეცნიერებასთან. ამ მიზნით განათლების სახალხო კომისარიატი აწყობს სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების ექსკურსიას უცხოეთში, განსაკუთრებით გერმანიაში. ამას გარდა გადაწყვეტილია ცალკე კურსების წასაკითხავად მოწვეულ იქნან უცხოელი პროფესორები.

ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს დადგენილებით, ახლო მომავალში ტრანსპორტზე სამუშაოდ მოწვეულ იქნება უცხოელ ინჟინერების მნიშვნელოვანი ჯგუფი.

სრულიად საკავშირო თათბირი ბამბის კულტურის შესახებ

მოსკოვი, 11 იანვარი. სრულიად საკავშირო თათბირი ბამბის კულტურის შესახებ გაიხსნება მოსკოვში, მიმდინარე წლის 25 იანვარს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილი პარიზიდან

ფინანსიური პანამა პოლიტიკურ პანამად გადაიქცა.—ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ავტორი ლოზუნგისა „გერმანელი ყველაფერს გადაიხდის". — დეპუტატების ჯამაგირი და მემარჯვენეთა დემაგოგია. — ელზასის საკითხი.

ფინანსიური პანამა, რომლის ცენტრშიაც მოქცეულია ავანტიურისტი ქალი ანო, დღითი-დღე ფართოვდება და ღრმავდება და დიდ პოლიტიკურ სკანდალად იქცევა. საქმე იმაშია, რომ ქალბატონმა ანომ კარგად გამოიყენა ის ჩვეულებები, რომლებიც გაბატონებულია ბურჟუაზიულ პოლიტიკურ წრეებში და დიდძალი თანხების გაღებით და ჯილდოების გაცემით მოიპოვა უდიდესი პოლიტიკური გაზეთების და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების დახმარება. „ფრანკისა და ნაციის" გაზეთში მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ სფეროების ყველა მნათობი, პუანკარეს მეთაურობით. ამ გაზეთის რედაქტორად იყო ფინანსთა მინისტრის დე-მონზის კაბინეტის ყოფილი შეფი, ვინმე ოდიბერი. დაკითხვის დროს ამ უკანასკნელმა აჩვენა, რომ ქალბატონ ანოს ბანდის საგარეო საქმეთა სამინისტროში თავდებობას უწევდნენ და რომ მას, ოდიბერს, ამის შესახებ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა თვით პუანკარესთან.

ამ საქმეში ძალიან გაუტყდა სახელი აგრეთვე დიდ პოლიტიკურ გაზეთს „კოტიდიენ"-ს. ფინანსიურმა შანტაჟისტებმა იჯარით აიღეს „კოტიდიენ"-ი და მისი დახმარებით ტყავს აძრობდნენ წვრილ მეანაბრეს, რომელსაც 48 პროცენტ მოგებას ჰპირდებოდნენ. მახეში გაება საგაზეთო შანტაჟის მეორე რაინდიც, პროვოკატორი ანკეტილი, რომლის გაზეთ „რიუმერ"-ში (ხმები) მუშაობდნენ სხვადასხვა მემარცხენე კორიფეები და ნახევრად კორიფეები. ეს ვაჟბატონი, იმ მიზნით, რომ თავი გადაირჩინოს, იმუქრება სხვადასხვა გამომჟღავნებებით და გადაკვრით აღნიშნავს, რომ კავშირი ჰქონდა უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში. ეს არ არის უსაფუძვლო მუქარა. „კოტიდიენ"-ის მთავარი პატრონი არის მიწათმოქმედების მინისტრი გენესი. ამავე დროს ის კონიაკის დიდი ვაჭარიცაა. „ლუმანიტე" ყოველდღე კითხულობს: „რატომ ჯერ კიდევ არ დაუპატიმრებიათ გენესი"-ო. ხოლო პალატაში, საზოგადოების ტრიბუნიდან გაისმოდა ხმები — გენესი „ქურდი მინისტრიაო".

ქალბატონ ანოს ფინანსიურ სკანდალს დაემატა კლემანსოს კაბინეტის ყოფილი ფინანსთა მინისტრის, ბ-ნ კლოცის სკანდალი. ამ დიდმა ფინანსისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომელსაც ვერსალის ტრაქტატზე უწერია ხელი, სახელი გაითქვა ისტორიული ფრაზით — „გერმანელი ყველაფერს გადაიხდისო". ამ „ყველაფერს" 700 მილიარდზე მეტი ოქროს მარკით ანგარიშობდნენ. ბატონი კლოცი, ალბად, ფიქრობდა, რომ გერმანელს მისი პირადი ვალებიც უნდა გადაეხადა. ამიტომ მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდა დიდ „უპროვიზიო" ჩეკებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ჩეკები უზრუნველყოფილი არ იყო ფულადი ანაბარებით იმ ბანკებში, საიდანაც ამ ჩეკებით ფული უნდა გაეტანათ. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მთავრობა იძულებული გახდა დაეპატიმრებია კლოცი. მოელიან კიდევ ახალ დაპატიმრებებს, მაგრამ კაპიტალისტური პრესა, რა თქმა უნდა, ყველაფერს აკეთებს, რათა მიაფუჩეჩოს სკანდალი და ყოველ შემთხვევაში მისი ნამდვილი მნიშვნელობა მაინც შეამციროს. ბატონი ბლიუმიც კი თავისი სოციალისტური პარტიის ორგანოში ჯენტლემენურად ექცევა ბურჟუაზიულ სასამართლოს. მან შესწყვიტა კამპანია ფინანსიური და პოლიტიკური შანტაჟისტების წინააღმდეგ. იგი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ისეთი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებითაც კაპიტალისტური ბირჟა ზნეობრივ დაწესებულებად უნდა გადაიქცეს. ამრიგად, მთავარი დამნაშავენი, როგორც პოლიტიკურ, ისე საგაზეთო წრეებიდან, ალბად, დაუსჯელნი დარჩებიან.

თავისი „გარეშე შემოსავლის" მიუხედავად, დეპუტატები იმზედაც ზრუნავენ, რომ თავიანთი ჯამაგირი 60 ათას ფრანკამდე გაადიდონ. ჯამაგირების გადიდების ფაქტზე კიდევ უფრო სკანდალურია ის გარემოება, რომ ამას აკეთებენ ფარულად, ამომრჩევლის სურვილის წინააღმდეგ, ამომრჩეველს უმალავენ ამ ზომას. მემარჯვენე დემაგოგები და ფაშისტები, რომლებიც თითქმის მთლიანად მდიდარ კლასებს ეკუთვნიან, თავიანთი ანტიდემოკრატიული მიზნებისათვის იყენებენ ამას. დეპუტატები თითონ აკეთებენ რეაქციონერთა საქმეს. და ეს პირველი შემთხვევა როდია.

ელზასელის თავდასხმა პროკურორ ფაშოზე, რომელიც ელზასელი ავტონომისტების პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობდა, მოწმობს, რომ ელზასში ყველაფერი თავის რიგზე არაა. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ელზასის წარმომადგენელთათვის სადეპუტატო რწმუნების წართმევამ კიდევ უფრო გააძლიერა მოსახლეობის აღშფოთება. საფრანგეთის იმპერიალისტები ელზას-ლოტარინგიას უყურებენ, როგორც თავიანთ კოლონიას, და განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჰყავთ ის კუთხე. ისინი სდევნიან აქაური მოსახლეობის ენას, ძალას ატანენ მის ნებისყოფას და ყოველნაირად ავიწროვებენ მას. თუ რაიმე დათმობა იძლევა, ისევ მხოლოდ და მხოლოდ კლერიკალებს. ელზასელები იძულებულნი არიან გაიღონ გადასახადები ეკლესიის სასარგებლოდ, მაშინ, როდესაც მთელ რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ათი ათასობით ელზასელები, რომლებსაც გერმანიასთან ჰქონდათ საქმე, გალატაკდნენ. მთელი მინერალური სიმდიდრე, ფაბრიკები, ქარხნები საფრანგეთის კაპიტალისტებმა ჩაიგდეს ხელში. ფაშოზე თავდასხმის შემდეგ მთავრობა, ალბათ, კიდევ უფრო გააძლიერებს რეპრესიებს. რეპრესიების მსხვერპლი გახდებიან არა მარტო ავტონომისტები, არამედ კომუნისტებიც, როგორც დღემდე ხდებოდა. საფრანგეთს ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნება მეტად ძვირად დაუჯდა (2.000.000 მოკლული და აუწერელი დასახიჩრებული, რამდენიმე ასი მილიარდი ფრანკი) და ამავე დროს ირკვევა, რომ მოსახლეობა აღშფოთებულია და კიდევ უფრო გაბოროტებული საფრანგეთის წინააღმდეგ, ვიდრე ომამდე იყო გერმანიის წინააღმდეგ.

დასასრულ, მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითი კაპიტალისტური ყოფა-ცხოვრებიდან. ინგლისის მეფის ავადმყოფობის გამო გაზეთები იხსენიებენ პრინცს, რომელმაც ზაფხული გაატარა საფრანგეთის კურორტ ბიარიცში. მისთვის გაიყვანეს განსაკუთრებული გზა ზღვაში ჩასასვლელად. კლდეში გამოჰკვეთეს სპეციალური კიბე. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ საჩქაროდ დაიქირავა ამ მიდამოებში მყოფი ყველა ვილა, რათა საშუალება ჰქონოდა საკუთარი თვალით დაენახა უმაღლესი პირი, როდესაც ის ზღვისაკენ მიბრძანდებოდა. ამისათვის საზოგადოება რამდენიმე საათს იცდიდა ხოლმე. ერთ ბურჟუა ქალბატონს პრინცთან ტენისის თამაშის დროს შუბლში მოხვდა პრინცისაგან გამოსროლილი ბურთი და კოპი ამოუვიდა. ეს ქალბატონი ხელოვნურად ინახავდა ამ „უმაღლეს" კოპს და სცდილობდა არ გაქრობოდა იგი, რათა ქვეყნისათვის ეჩვენებინა. ამბობენ აგრეთვე, რომ ამერიკელები 1.500 ფრანკს იხდიდნენ დღეში იმ ოთახში, რომელშიაც მისმა უდიდებულესობამ ესპანეთის მეფემ რამდენიმე სასიამოვნო საათი გაატარა მეძავ ქალთან...

ხ. რაპოპორტი.

პარიზი, 31 დეკემბერი 1928 წ.

საბჭოთა კავშირში

პარტისების გამგეთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 11 იანვარი. დასრულდა პარტისების გამგეთა მე-5 სრულიად საკავშირო თათბირი. უკანასკნელ სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს: ამხ. მიცკევიჩმა რევოლუციის მუზეუმის მუშაობის შესახებ, ამხ. მოლოტოვმა—საკავშირო პროფსაბჭოს ისტორიის განყოფილების მუშაობის შესახებ, ამხ. ისტნიუკმა პარტიული აქტივების შესახებ. შემდეგ თათბირმა მიიღო ვრცელი რეზოლუცია ძირითადი მოხსენებების გამო.

„ლენინის ინსტიტუტის ყველაზე უფრო პოლიტიკურად საყურადღებო ამოცანას,—ნათქვამია რეზოლუციაში,—შეადგენს ლენინის მემკვიდრეობის, რაც შეიძლება საჩქაროდ გამოქვეყნება.

ამასთან ერთად, ინსტიტუტისა და ადგილობრივი პარტისების წინაშე სდგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა,—ეს არის, მე-15 ყრილობის დირექტივის თანახმად, პარტიის ნამდვილი მეცნიერული ისტორიის გამოცემის მომზადება.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ საკავშირო რესპუბლიკებში მოეწყოს პარტიის ისტორიის და ოქტომბრის რევოლუციის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი.

თათბირმა აღნიშნა მიღწევები და დეფექტები ადგილობრივი პარტისების მუშაობაში და გადასწყვიტა—აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების (ბუნდი, ბელორუსიის გრომადა) ყოველგვარი იდეალიზაციის ცდის წინააღმდეგ. საჭიროა გამოაშკარავდეს ამ პარტიების ნამდვილი წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბუნება. ეს პარტიები სრულიადაც არ წარმოადგენენ ბოლშევიზმის წინამორბედებს.

ამავე დროს საჭიროა უფრო ღრმად იქნას შესწავლილი ადგილობრ. პარტორგანიზაციების რევოლუციის წინა დროის წარსული, შესწავლილ უნდა იქნეს თვით საქარხნო არალეგალური წრეების ცხოვრება.

პარტისების მუშაობა არ უნდა მოსწყდეს პარტიის მიმდინარე ამოცანებსა და მუშაობას. ამიტომ ამჟამად პარტიის წარსულის შესწავლის საქმეში საჭიროა გამოაშკარავდეს გადახვრა სწორი ბოლშევიკური ხაზიდან და ბრძოლა ამ გადახრასთან.

საბჭოთა მეშაღაროების დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 11 იანვარი. 10 იანვარს ოსლოში გაემგზავრა რუსულ-შვედური კომიტეტის სხდომაზე დასასწრებლად მეშაღაროეთა ცეკას დელეგაცია, რომელშიაც შედიან ამხ. შვარცი და სლუცკი. კომიტეტის სხდომა დაიწყება 15 იანვარს. (ადს).

ყრილობა მეთესლეობისა და მესაქონლეობის საკითხების შესახებ

ლენინგრადი, 11 იანვარი. გაიხსნა სრულიად საკავშირო ყრილობა გენეტიკის, სელექციის, მეთესლეობისა და მესაქონლეობის საკითხების შესახებ. ჩამოვიდა 2.000 დელეგატზე მეტი. ჩამოვიდა აგრეთვე უდიდესი გერმანელი გენეტიკოსი-სელექციონერი ბაუერი, ცნობილი გენეტიკოსი გოლდშმიდტი და სხვ. ყრილობა გახსნა პროფესორმა ვავილოვმა. პარტიისა და მთავრობის სახელით დიდი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კიროვმა. გერმანელმა პროფესორმა ბაუერმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ბოლო დროს გამოკვლევის საქმეში რუსმა მეცნიერებმა გაუსწრეს ევროპის მეცნიერებს. საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იქნენ ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, სმირნოვი და კიროვი.

სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა

მოსკოვი, 11 იანვარი. გამოქვეყნებულ იქნა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ამხ. კუიბიშევის ბრძანება მოკავშირე რესპუბლიკების სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყველა მთავარი სამმართველოსადმი. ბრძანებაში წინადადება ეძლევათ მთავარ სამმართველოებს—აქტიური მონაწილეობა მიიღონ უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების სტუდენტთა განუწყვეტელი საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებელ მუშაობაში.

უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების და ტეხნიკუმების სტუდენტები, დაწყებული მეორე სემესტრიდან, უზრუნველყოფილ უნდა იქნან პრაქტიკით, მიუხედავად შრომის სახ. კომისარიატის ნორმებისა. პრაქტიკანტებს ხელფასს აძლევენ სამეურნეო ორგანოები ფაქტიურად ნამუშევარი დროის მიხედვით. 1—2 კურსის სტუდენტები დღეში იღებენ 1 მანეთს, უფროსი კურსის სტუდენტები — 1,5 მანეთს. (ადს).

საფოსტო კავშირის გაფართოება

მოსკოვი, 11 იანვარი. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი გაზაფხულზე შეუდგა საფოსტო კავშირის საშუალებათა (ავტომობილები, ავტობუსები, თვითმავლები, მოტორიანი ნავები) თვალსაჩინოდ გაფართოებას. კერძოდ მოეწყობა ყოველდღიური საფოსტო და სამგზავრო მიმოსვლა ავტობუსებით სოხუმ-ხოშასა და სოხუმ-ახალ-სენაკს შორის. (ადს).

მზადება ბაქოს ბაზრობისათვის

ბაქო, 11 იანვარი. წარმატებით მიმდინარეობს მზადება ბაქოს ბაზრობისთვის. ბაზრობა გაიხსნება 15 მარტს. იმ სამეურნეო ორგანოების უმრავლესობამ, რომლებიც ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებენ უკვე შეიმუშავეს საქონლის ასორტიმენტები. საკავშირო მრეწველობა წარმოდგენილი იქნება ყველა ძირითადი ტრესტით და სინდიკატით. ადგილობრივი მრეწველობა წარმოდგენილი იქნება: ცემენტით, „აზნეფტი"-ს [illegible], ტრესტების პროდუქციით და სხვ. ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ლოქტიონოვის სიტყვით, წარსული წლის ბაზრობის სავაჭრო პრაქტიკამ დადებითი შედეგი მოგვცა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებისთვის. ამავე დროს ბაზრობის პრაქტიკამ ბევრი არანორმალური მოვლენა გამოაშკარავა, სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში. ამან მომწესრიგებელ ორგანოებს დიდი მასალა მისცა და გააადვილა სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგება. ბაზრობის საქონლის ბრუნვა თითქმის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. მე-6 ბაზრობის ბრუნვამ 10-ჯერ გადააჭარბა პირველი ბაზრობის ბრუნვას. ბაქოს მომავალი ბაზრობის ამოცანას შეადგენს ის, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობაში ჩააბას სპარსეთის წვრილი და საშუალო ვაჭრების უფრო მეტი რიცხვი, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. (ადს).

ქარბუქი ბაქოში

ბაქო, 11 იანვარი. 9 იანვარს ღამით. ღრმა თოვლისა და ქარბუქის გამო შეჩერდა ტრამვაი, გაფუჭდა ტელეფონის ხაზი, შესწყდა მიმოსვლა ცალკე რაიონებს შორის. თოვლისა და სიცივის გამო იყო შემთხვევა საბურღილების მუშაობის შეჩერებისა. კასპიის ზღვაზე ქარბუქი მძვინვარებს. სამხრეთის სანაპიროებზე თოვლმა ერთი მეტრის სიმაღლეზე დადო. (ადს).

პარტიაში

სოხუმის პარტორგანიზაცია მხარს უჭერს ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს

სოხუმი, 11 იანვარი. სოხუმის ორგანიზაციის საოლქო პარტიულმა კრებამ, მოისმინა რა ამხ. **ნაზარეტიანის** მოხსენება ც. კ.-ისა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ, მთლიანად მოიწონა და შეუერთდა ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ტემპის შემდგომი გაძლიერების უზრუნველყოფა. კრება გადაჭრით უარყოფს პანიკურ განცხადებებს სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ იმ მიზნით, რომ სოფლის მეურნეობის დონე ამაღლებულ იქნას ინდუსტრიალიზაციის ტემპის შესაფერ დონეზე. იგი საჭიროდ სცნობს, რომ სასწრაფოდ და გეგმიანად განხორციელდეს მეათე საოლქო კონფერენციის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ, ამავე დროს ღარიბი და საშუალო გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობათათვის ხელის შეწყობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეურნეობის კოლექტიურ ფორმათა ორგანიზაციასა და განვითარებას.

საერთო საქალაქო კრება აცხადებს, რომ სოხუმის ორგანიზაცია გადამწყვეტ ზომებს მიიღებს მემარჯვენე გადახრის აქტივიზაციის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. ამ გადახრის გამომხატველია ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელების ცდა, უყურადღებო ან უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობისადმი, კულაკთან გაძლიერებული ბრძოლის მიფუჩეჩება და უარყოფა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას! გაუმარჯოს ლენინურ ცენტ. კომიტეტს!

პარტიული განათლების მტკივნეული საკითხები

საქართველოს აგიტპროპგანყოფილებათა მუშაკების მომავალ თათბირის დღის წესრიგში დასმულია საკითხი პარტიული განათლების შესახებ. ეს საკითხი მართლაც დიდი ყურადღების ღირსია. ამხ. კრინიცკი საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ-ის აგიტაციის, პროპაგანდის და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებისადმი მიძღვნილ წერილში ამბობდა: „აღიარებულ უნდა იქნას საქართველოს კომპარტიის მუშაობის აშკარა სისუსტე პარტგანათლების დარგში"-ო.

რასაკვირველია, წინა წლებთან შედარებით პარტგანათლება უკეთ არის დაყენებული, მაგრამ მას ჯერ კიდევ დიდი ნაკლი აქვს.

რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს ნაკლი?

პარტიულ განათლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად მრავალი პირობაა საჭირო. ასეთია მაგ., ხელმძღვანელობა, გეგმიანობა, შეგნება პარტსწავლის მნიშვნელობის, მატერიალური საშუალებები, პროპაგანდისტები, ლიტერატურა და სხვ. თუ ეს მთავარი პირობები არ არსებობს, ისე პარტგანათლება ჯეროვნად ვერ მოეწყობა.

როგორია ხელმძღვანელობა? აქ მხედველობაში გვაქვს როგორც ცენტრის, ისე მაზრის მუშაკების მიერ ხელმძღვანელობა. საერთოთ ხელმძღვანელობა სუსტია. ნაწილობრივად ეს იმით აიხსნება, რომ საჭირო ყურადღებას ვერ აქცევენ პარტგანათლებას, ადგილი აქვს მის შეუფასებლობას. ნაწილობრივად იმითაც, რომ ზოგიერთმა მუშაკებმა არ იციან როდის რა გააკეთონ, ან როგორ გააკეთონ პარტგანათლების დარგში. ხელმძღვანელობის სისტემა პარტგანათლების დარგში უვარგისია. არ არის აგრეთვე კონტროლი, შემოწმება პარტსწავლისა, სუსტია ინსტრუქტაჟი და სხვ. აქედან აშკარაა, თუ რა მდგომარეობაში იქნება პარტგანათლება.

გეგმიანობა დღესაც ჩანასახის მდგომარეობაშია. ძირითადი პარტქსელის გეგმა ან არ სდგება, თუ სდგება ზერელედ, ცარიელად, საჭიროების, მოთხოვნილების და შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად.

პარტგანათლების მნიშვნელობა ყველა პარტიულს და კომკავშირელს არ აქვთ შეგნებული. ამას ამტკიცებს მისი დამოკიდებულება პარტსწავლისადმი. ბევრი ასე ფიქრობს: „თუ თავისუფალი დრო და სურვილი მექნა, ვისწავლი, თუ არა, მაშინ სწავლაზე ფიქრიც არ შეიძლებაო". ისინი მიდიან სკოლიდან. არის შემთხვევები, რომ სკოლა მთლად იშლება იმის გამო, რომ მსმენელები შესწყვეტენ სკოლაში და წრეში სიარულს.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში მიეცა ადგილებს დირექტივა პარტგანათლების მნიშვნელობის ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარების შესახებ. მაგრამ ახსნა-განმარტებითი კამპანია ყველგან არ ჩაუტარებიათ, ერთი მოხსენება არ კმარა იმისათვის, რომ პარტსწავლის მნიშვნელობა შეაგნებინო მსმენელს. ამიტომ დღესაც საგრძნობი ნაწილი პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციისა (უპარტო მასებზე ხომ ლაპარაკი მეტია) არაა გარკვეული, არაა დარწმუნებული პარტგანათლების საჭიროებაში. ეს ძლიერ უშლის ხელს საქმეს.

მატერიალური საშუალებები პარტგანათლებისათვის არ იყო საკმარისი. ის არც დღესაა საკმაო. წინა წლებში ბევრი მაზრა სრულიადაც არ იწუხებდა თავს პარტგანათლებაზე. რომ გკითხა: რატომ არის სუსტი პარტქსელი—გიპასუხებდა: „არაა თანხებიო". თუ რაშია საქმე? თანხები იშოვება, მხოლოდ ყურადღება და ზრუნვაა საჭირო. ამას ამტკიცებს მიმდინარე წელი. ცეკამ თავის დირექტივაში მიუთითა აგიტპროპგანყოფილებებს, რომ მათ ადგილობრივად ეზრუნათ გამოენახათ თანხები და 100 პროც. მაინც გაეფართოვებიათ პარტქსელი. მართლაც ბევრმა მაზრამ ამ მხრივ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 3—4 ჯერ გააფართოვა ქსელი. პარტგანათლების მთავარმმართველობამ კი 50 პროცენტით. აქედან ცხადია, რომ შესაძლებლობა არის. მხოლოდ მეტი ენერგიაა საჭირო მატერიალური სახსრების გამოძებნის საქმეში.

პროპაგანდისტთა ჩამოყალიბებული კადრი ჩვენ გასულ წლამდე არც კი გვყავდა. მათი არც შერჩევა, არც გადამზადება არ ხდებოდა. 1927—28 სასწ. წლის დასაწყისში პირველად მოეწყო პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები 50 კაცისათვის. ამრიგად, მცირე კადრი პროპაგანდისტების მაინც ჩამოყალიბდა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს კადრი საკმარისი იქნება პარტქსელისათვის. მათი რიცხვი ათჯერ მეტი რომ იყოს, ესეც არ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. ადგილობრივად მრავალი პროპაგანდისტი მუშაობს, რომლებიც სხვათა შორის ეწევა პროპაგანდისტობას. ეს საკითხიც მოითხოვს მეტ ყურადღებას.

ლიტერატურა. აქ უმთავრესია სახელმძღვანელოები. ეს საკითხი მოგვარებული კიდევ არაა. ყოველწლიურად იცვლება პროგრამა და სახელმძღვანელო. კიდევ კარგი, რომ შეცვლილი სახელმძღვანელო და პროგრამა თოროზე იბეჭდებოდეს რუსულად მაინც. წელს ორივე დაგვიანდა. „ლენინიზმის ანბანი" რუსულად გამოვიდა ოქტომბრის პირველ ნახევარში. ქართულად ნოემბრის დასაწყისში. ადგილებმა მიიღეს დეკემბრის პირველ რიცხვებში. ამ გარემოებამ შეუშალა ხელი სწავლას. ნაცუმცირესობის სკოლებში უარესი მდგომარეობაა. თურქულ, ოსურ, აფხაზურ და სხვ. რაიონებს წიგნები დღემდე არა აქვთ. სომხურმა—კი დეკემბრის ბოლო რიცხვებში მიიღეს. ასე გვიან იღებენ რვეულებს, თაბახებს, ფანქრებს და სხვ. პროპაგანდისტები კი უწიგნოთ და ურვეულოთ პირდაპირ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ჩვენში პარტგანათლება მართლაც სუსტათ არის. და მის გაჯანსაღებისათვის უფრო მეტი ყურადღება და ზომებია საჭირო.

დ. ორაგველიძე.

კომკავშირში

ლენრაიონის მე-12 კონფერენცია

მეცხრე სხდომა

კონფერენციის მეცხრე სხდომაზე მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

კონფერენციას ესწრებოდა 404 კაცი გადამწყვეტი ხმის და 90—სათათბირო ხმის უფლებით.

დელეგატებს შორის 41 (10. პროც.) ქალი იყო. 330 (81.8 პროც.) მუშა, 32 (7,9 პრ.) ღარიბი გლეხები და სხვა.

მეათე სხდომა

მეათე სხდომა გახსნა ამხ. გიორგობიანმა.

კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუციები ამხ. გიორგობიანის და სპირიდონოვის მოხსენებების გარშემო.

ამის შემდეგ არჩეულ იქნა ლენრაიკომის ახალი შემადგენლობა. რაიკომში წევრად არჩეულია 107 აქტიური ამხანაგი და კანდიდატებათ 17 კაცი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა წევრად—15 კაცი და კანდიდატებათ —4.

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-16 კონფერენციაზე დასასწრებლად არჩეულ იქნა 127 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 24 კაცი სათათბირო ხმით.

ამის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ლენრაიკომის ახალ შემადგენლობის პირველი პლენუმი შესდგება დღეს საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე.

წითელ არმიაში

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მე-7 კონფერენცია

მესამე სხდომა

11 იანვარს, დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. **პეტუხოვის** მოხსენება წითელ არმიის პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ.

წითელი არმიის მატერიალური პირობები უმჯობესდება

პარტიის მე-15 ყრილობის მიერ აღებული ხაზი—ამბობს ამხ. პეტუხოვი—ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის სავსებით უზრუნველყოფს თავდაცვისათვის საჭირო ტეხნიკურ საშუალებების გაძლიერებას. ჩვენი მეურნეობის ზრდასთან ერთად უმჯობესდება წითელი არმიის მატერიალური პირობებიც. საკავშირო რევსაბჭომ მიიღო ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ მომავალ შემოდგომიდან ყველა წითელარმიელებისათვის შექმნილ იქნას მაუდის ტანისამოსი. განზრახულია აგრეთვე კაპიტალურ თანხების გადადება ყაზარმების მშენებლობისათვის. სპეციალური თანხა იქნება გაღებული უფშემადგენლობისათვის ბინების ასაგებად, ამასთანავე ერთად გადიდებულია თანხები 3,4 მილიონიდან 6 მილიონამდე ჯარში პოლიტიკურ მუშაობისათვის. მიმდინარე წლიდან გაუმჯობესდება წითელ-არმიელების კვების საქმეც.

მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად დიდი გაუმჯობესება დაეტყო წითელარმიის ბრძოლის უნარიანობასაც, რაც დამტკიცდა საშემოდგომო მანევრებზე, განსაკუთრებით კი კიევის დიდ მანევრებზე. ამ მანევრებმა გამოამჟღავნა მტკიცე კავშირი წითელ-არმიისა მშრომელ მოსახლეობასთან.

როგორია ჩვენი მეთაურთა შემადგენლობა

შემდეგ მომხსენებელი გადადის უფშემადგენლობის დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ წითელ-არმიის მეთაურთა შემადგენლობაში მუშების რიცხვი უდრის 28 პროც., გლეხების—40 პროცენტზე მეტს. 55 პროცენტი მეთაურთა შემადგენლობისა არიან პარტიის და კომკავშირის წევრები. მეთაურთა შემადგენლობის 95 პროც. სამხედრო ცოდნა აქვთ მიღებული წითელ-არმიის საშუალო და უმაღლეს სამხედრო სკოლებში, რაც დიდი წილწევაა წითელ-არმიის მშენებლობისათვის.

ყოველწლიურად უმჯობესდება სამხედრო სკოლებში მუშურ შემადგენლობის შერჩევის საქმეც. თუ 1926 წ. სამხედრო სკოლებში ახლად მიღებულთა შემადგენლობაში მუშები შეადგენდნენ 34 პროცენტს და 1927 წ.—39 პროც., წელს მუშების რიცხვი უდრის 56 პროცენტს.

ჩვენ გვყავს სავსებით დამაკმაყოფილებელი უფროსთა შემადგენლობა, მხოლოდ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიულ ორგანიზაციის მიერ უფშემადგენლობის კულტურული დონის უფრო მეტად ამაღლების საქმეს.

წითელი არმიის პარტიული ორგანიზაციის ზრდა

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წითელი არმიის პარტიულ ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა პარტიაში 70 ათასი კაცი. ეს კიდევ ერთი საუცხოვო მაგალითია იმისა, თუ როგორი მტკიცე კავშირი არსებობს პარტიის და წითელ-არმიელთა შორის. პარტორგანიზაციის ზრდა მიმდინარეობდა უმთავრესად წითელარმიელების და საშუალო უფშემადგენლობის ხარჯზე. [illegible] საღი იყო, რომლის დასამტკიცებლად მომხსენებელს მოჰყავს ციფრები პარტორგანიზაციის სოციალური მდგომარეობის შესახებ.

1926 წელში პარტორგანიზაციის შემადგენლობაში ჩვენ გვყავდა მუშები 41,8 პროცენტი, გლეხები—41,6 პროც., დანარჩენები 16,6 პროც., 1928 წელში გვყავს მუშები—47,9 პროცენტი, გლეხები—35 პროც. და დანარჩენები—17,1 პროც.

ამჟამად პარტიულ ორგანიზაციების წინაშე დასმულია ამოცანა იმის შესახებ, რომ პარტიაში მიღებულთა შემადგენლობაში მუშების რიცხვი უდრიდეს 80 პროც. სავსებით ამის გატარებას ჩვენ ვერ შევძლებთ, ვინაიდან წითელი არმია 80 პროცენტით ივსება გლეხური შემადგენლობით, მაგრამ აღნიშნული დირექტივა აუცილებლად უნდა შესრულდეს სპეციალურ ნაწილებში, და საზღვაო ფლოტში, სადაც მუშების რიცხვი ძალიან მაღალია. სხვა ნაწილებიდან ჯარის პარტორგანიზაციებში ჩვენ უნდა მივიღოთ უმთავრესად ღარიბი გლეხები და კოლექტიურ მეურნეობის წევრები.

შემდეგ ამხ. პეტუხოვი მიუთითებს იმ ნაკლოვანებაზე, რომლის აღმოფხვრას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მომავლისათვის. მაგალითად ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს კომუნისტების გათქვეფას მეშჩანურ ელემენტებთან, ლოთობას და სხვა.

თვითკრიტიკა არ არის საკმაოდ გამოყენებული სამხედრო პარტორგანიზაციებში, როგორც მეთოდი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ მომხსენებელი აგრეთვე აღნიშნავს, რომ წითელ არმიის პარტორგანიზაციებმა გაიმარჯვეს ტროცკიზმთან ბრძოლაში და ახლაც, როდესაც აღმოჩნდა მემარჯვენე საფრთხე,—მტკიცედ დგას ლენინურ ხაზზე. ჩვენი წითელი არმია 80 პროც. გლეხურია და ამიტომ გასაგებია, რომ მერყეობას მაინც ჰქონდა ადგილი. ამის გამო მთელი პარტიული მასა უნდა დავრაზმოთ მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლისათვის. ამ მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა პარტკოლექტივებში საერთო და კერძოდ პარტგანათლების ხაზით, სემინარიებზე და სხვ.

ახალგაზრდათა კომკავშირის შესახებ მომხსენებელი ამბობს, რომ ეს არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უშუალო მონაწილეობას იღებს მასებს შორის მუშაობაში. წითელ არმიაში ჩვენ გვყავს 140 ათასი კომკავშირელი. სათანადო ნაბიჯები უნდა გადავდგათ იმისათვის, რომ ეს მასა მოვამზადოთ და ისე შევაიარაღოთ იდეურად, რომ ამ ორგანიზაციამ წარმატებით ჩაატაროს პარტიის მიერ მის წინაშე დასმული ამოცანები.

რევსაბჭოს უკანასკნელ დადგენილებებში ამბობს მომხსენებელი—ნათქვამია, რომ წითელი არმიის წარმატებითი მშენებლობის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობის შეურყეველი მთლიანობა.

ეს უნდა დაისახონ, როგორც ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა სამხედრო პარტორგანიზაციებმა მომავალ მუშაობის დროს.

გუშინ საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. პეტუხოვის მოხსენების გარშემო.

უმსგავსოებანი ფოთის გემების შემკეთებელ ქარხანაში

დაშლილია ქარხკომი და წყალზე მომუშავეთა ფოთის რაიონული კომიტეტი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა წყალზე მომუშავეთა კავშირის რაიონულ კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება ამხ. ელიავას სახელობის ქარხანაში (ფოთში) შექმნილ მდგომარეობისა და ქარხანაში აღმოჩენილ უმსგავსოებათა აღმოსაფხვრელად მიღებულ ღონისძიებების შესახებ. მოხსენების გამო პრეზიდიუმმა დაადგინა:

მიეთითოს საქ. წყალზე მომუშავეთა კავშირის რაიონულ კომიტეტს და ფოთის სამაზრო პროკურორს იმაზე, რომ მათ თავის დროზე არ მიიღეს ზომები იმ უმსგავსოებათა გამოსააშკარავებლად და აღმოსაფხვრელად, რომელსაც ადგილი ჰქონდა ელიავას სახელობის ქარხანაში.

წინადადება მიეცეს წყალზე მომუშავეთა რაიონულ კომიტეტს დაშალოს ელიავას სახელობის ქარხნის ქარხკომი და წყალზე მომუშავეთა რაიონული ქვე-კომიტეტი ფოთში და დანიშნოს ორივე პროფორგანიზაციაში ახალი არჩევნები. წინადადება მიეცეს საქართველოს წყალზე მომუშავეთა რაიონულ კომიტეტს გაგზავნოს ფოთში ერთი თვით პასუხისმგებელი მუშაკი სათანადო მუშაობის ჩასატარებლად.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს ლენინურ კომკავშირის

თბილისის მე-16 სამაზრო საქალაქო კონფერენცია

გაიხსნება 1929 წლის 15 იანვარს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პროსპ.).

დღის წესრიგი:

1. საკავშირო ლენინურ კომკავშირის ა. კ. საოლქო კომიტეტის მოხსენება—მომხსენებელი **ახუნდ-ზადე.**
2. საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენება—მომხ. **აზარაშვილი.**
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება—მომხ. **მისკინი.**
4. განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება—მომხ. **კანდელაკი.**
5. ბავშვთა შორის მუშაობის შესახებ—მომხ. **აბესაძე.**
6. არჩევნები.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის ბიურო.

ასე შეუძლებელია გაგრძელდეს

(სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ)

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ერთ-ერთი ძირითად იარაღს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის, მისი ახალ ნიადაგზე გარდაქმნისათვის, კოლექტიური ფორმების შემოღებისა და გაძლიერებისათვის, სოფლის მოსახლეობის ძირითადი მასის მეურნეობათა განმტკიცებისათვის.

ყოველ იარაღს, როგორც გაუმჯობესებული არ უნდა იყოს იგი, დადებითი შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოგვცეს, თუ ეს იარაღი იხმარება სისწორით და მიზანშეწონილად. განსაკუთრებით შეეხება ეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტს, რომელიც უშუალო ზეგავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესებზე. სას.-სამეურნეო კრედიტს ფართო სამეურნეო ეფექტი შეუძლია მოგვცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ბრუნვა შეეფარდება ბრუნვას მსესხებლის მეურნეობაში და როცა ეს კრედიტი, მიაღწევს რა საწარმოო შედეგებს ერთ მეურნეობაში განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, მიეცემა სხვა მეურნეობებს სხვა პერიოდების განმავლობაში.

კრედიტის დაბრუნება შეფარდებულ უნდა იქნას იმ დროსთან როცა ფული აქვს მსესხებელ მეურნეობას, როცა ხდება მისი პროდუქციის რეალიზაცია.

მთავრობის დადგენილება ამომწურავ დირექტივებს გვაძლევს, როგორც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სოციალ-ეკონომიური დანიშნულების, ისე ყველა იმ ძირითადი მომენტების შესახებ, რომლებიც უზრუნველჰყოფენ კრედიტის სწორ ბრუნვას.

მაგრამ დაცულია თუ არა ყველა ეს პირობები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გაცემის დარგში?

არა ერთხელ ყოფილა ადგილობრივ ჩატარებული იმ თანხების გამოყენების გამოკვლევა და შემოწმება, რომლებსაც სახელმწიფო აწვდის სოფლის მეურნეობას. აქედან მიღებულ მასალები ამტკიცებენ, რომ მთავრობის დირექტივებს ამ დარგში მეტად სუსტად ასრულებენ ადგილებზე.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს, რომლებიც უშუალოდ აწვდიან კრედიტს გლეხურ მეურნეობებს, არაერთხელ მიეცა დირექტივა, რომ ბოლო მოეღებოდა კრედიტების ვადის და დანიშნულების დარღვევას, რომ საწარმოო კრედიტი არ მისცემოდა სოფლის შეძლებულ ფენებს, რომ ამ თუ იმ დანიშნულების კრედიტისათვის დაწესებული ვადები შეფარდებული ყოფილიყო მსესხებელი მეურნეობის სამეურნეო შესაძლებლობასთან. რომ სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის თავის დროზე და დაუბრკოლებლად მისაცემად დამყარებულიყო მტკიცე საკრედიტო დისციპლინა.

საკრედიტო დისციპლინა ნიშნავს სამეურნეო დისციპლინას. იგი იწვევს საწარმოო ენერგიის გაშლას და ყურადღებას კრედიტის მიმღების მხრივ. ეს დისციპლინა ხელს უწყობს სამეურნეო ეფექტის გაძლიერებას. მაგრამ ამ დარგში ადგილი აქვს მეტად არანორმალურ მდგომარეობას. საკრედიტო დისციპლინას არ იცავენ არა მარტო ცალკე მსესხებლები, არამედ კრედიტის გამტარებელი ორგანიზაციებიც. საკრედიტო დისციპლინას საკრედიტო ამხანაგობებში ყველგან არღვევენ და სისტემატიურად იზრდება კრედიტის დასაბრუნებელ ვადის გადაცილება. ეს თავის მხრივ იწვევს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მთელი სისტემის საკრედიტო საქმიანობის სრულ დეზორგანიზაციას და მისი მუშაობის ჩაშლას. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს სრული სურათი, თუ როგორია მდგომარეობა კრედიტის დასაბრუნებელი ვადის გადაცილების მხრივ ყველა საკრედიტო ამხანაგობაში, მაგრამ არსებული ცნობებიც მოწმობენ, რომ საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ზომები საქმის გამოსასწორებლად. ზემონათქვამს ნათლად ამტკიცებენ შემდეგი ციფრები:

საქართველოში არსებობს 134 საკრედიტო ამხანაგობა. კრედიტის გადახდის ვადის გადაცილების ცნობები გვაქვს მხოლოდ 60 ამხანაგობის შესახებ, სადაც ვადა გადაცილებული კრედიტის რაოდენობა უდრის: 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის — 318 ათასი მან., 1 ნოემბრისათვის — 439 ათასი მან., 1 დეკემბრისათვის — 550 ათასი მანეთი. სრული სურათის მისაღებად საჭიროა ეს თანხა ერთი-ორად მაინც იქნას გადიდებული, რადგან აღნიშნული ცნობები შეეხება საკრედიტო ამხანაგობათა მთელი რაოდენობის ნახევარზე ნაკლებს. მაშასადამე, ზემოხსენებული თანხა დეკემბრისათვის შეადგენს 1.100 ათას მანეთზე არა ნაკლებს.

აფხაზეთში 14 საკრედიტო ამხანაგობიდან 7 ამხანაგობაში კრედიტი თავის დროზე არ ყოფილა გადახდილი შემდეგი რაოდენობით: 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის — 185 ათასი მანეთი, 1 ნოემბრისათვის 184 ათასი მანეთი და 1 დეკემბრისათვის — 180 ათასი მანეთი. ყველა საკრედიტო ამხანაგობაში — 360 ათას მან., არანაკლები.

აჭარისტანში ყველა საკრედიტო ამხანაგობაში კრედიტი თავის დროზე არ ყოფილა შეტანილი: 1928 წ. 1 ოქტომბრისათვის — 69 ათასი მანეთი, 1 ნოემბრისათვის — 74 ათასი მანეთი და 1 დეკემბრისათვის 75 ათასი მანეთი.

აზერბეიჯანის შესახებ უკანასკნელი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის საშუალოდ 1 ამხანაგობაზე კრედიტი თავის დროზე არ ყოფილა შეტანილი 5.435 მანეთის რაოდენობით; აზერბეიჯანში სულ არის 110 საკრედიტო ამხანაგობა, მაშასადამე, ეს თანხა უდრის 600 ათას მან. არანაკლებს.

სომხეთში 41 საკრედიტო ამხანაგობიდან 23 ამხანაგობაში კრედიტი თავის დროზე არ ყოფილა შეტანილი შემდეგი რაოდენობით: 1 ოქტომბრისათვის 270 ათასი მანეთი, 1 ნოემბრისათვის — 314 ათასი მანეთი და 1 დეკემბრისათვის — 349 ათასი მანეთი. მაშასადამე, ყველა საკრედიტო ამხანაგობაში თავის დროზე არ ყოფილა შეტანილი 600 ათას მან. არანაკლები.

ნახიჩევანის რესპუბლიკაში 12 საკრედიტო ამხანაგობიდან მხოლოდ 3 ამხანაგობაში კრედიტი თავის დროზე არ ყოფილა შეტანილი შემდეგი რაოდენობით: 1 ოქტომბრისათვის — 75 ათასი მანეთი, 1 ნოემბრისათვის — 78 ათასი მანეთი და 1 დეკემბრისათვის — 61 ათასი მანეთი.

ამგვარად, 1928 წლის 1 დეკემბრისათვის ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკაში მხოლოდ 93 საკრედიტო ამხანაგობაში კრედიტი თავის დროზე არ ყოფილა შეტანილი 1.183 ათასი მანეთის რაოდენობით.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ცნობებს ჩვეულებრივ არ იძლევიან უფრო ნაკლებ ბეჯითი საკრედიტო ამხანაგობები, რომლებშიაც ჩვეულებრივ მეტია თავის დროზე შეუტანელი კრედიტის თანხა, აღნიშნული რაოდენობა — 1.183 ათასი მანეთი უნდა გავამრავლოთ სამჯერ მაინც; მაშასადამე, თავის დროზე შეუტანელი კრედიტის თანხა შეადგენს 3 მილიონ მან. მეტს, ანუ მთელი კრედიტის 20 პროც.-ს. ეს პროცენტი ზოგიერთ საკრედიტო ამხანაგობაში აღწევს 70-მდე.

ასეთი დიდი თანხა უმოძრაოდაა გაჩერებული სოფლის მეურნეობაში იმის გამო, რომ დაუდევრად და გულგრილად ეკიდებიან სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმეს. ეს ამტკიცებს, რომ 3 მილიონი მანეთი დაბანდებული კი არაა, არამედ დამარხულია სოფლის მეურნეობაში.

მაგრამ უკეთესი მდგომარეობა არ არის თვით სასოფლო-სამეურნეო ბანკებში, რომლებშიც თავის დროზე გადაუხდელი კრედიტების თანხა 1 ოქტომბრისათვის, 1 ნოემბრისათვის და 1 დეკემბრისათვის შეადგენს:

საქართ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში — 178 ათ., 154 ათ., 592 ათას მანეთს.

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკში — 279 ათ., 276 ათ. და 316 ათას მანეთს.

აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკში — 618 ათ., 900 ათ. და 1.285 ათ. მანეთს.

ნახიჩევანის სასოფლო-სამეურნეო ბანკში — 112 ათ., 130 ათ. და 153 ათ. მანეთს.

სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკში — 325 ათ., 443 ათ. და 201 ათ. მანეთს.

ყველა სასოფლო-სამეურნეო ბანკებში, მთიანი ყარაბახის გარდა თავის დროზე შეუტანელი კრედიტების თანხა 1928 წ. 1 დეკემბრისათვის უდრის 2.547 ათას მანეთს.

როგორი საბუთი შეიძლება იქნას წარმოდგენილი ამგვარი ფაქტების გასამართლებლად? სრულებით არავითარი.

იქნებ ამის მიზეზია ის, რომ ვალის გადახდის ვადა არაა შეფარდებული იმ პერიოდთან, როცა მეტი ფული აქვთ სოფლად? მაგრამ ამას აბათილებს ის ფაქტი, რომ მთელი წლის განმავლობაში არ არსებობს ისეთი პერიოდი, როცა თვალსაჩინოდ იკლებს კრედიტის ვადაზე შეუტანლობა. ავიღოთ კრედიტის ვადაზე შეუტანელი თანხები 1 ამხანაგობაზე 1927-28 წლის განმავლობაში: 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის 1 საკრედიტო ამხანაგობაზე მოდის — 5.714 მანეთი, 1928 წ. 1 იანვრისათვის — 6.794 მანეთი, 1 აპრილისათვის — 7.273 მანეთი და 1 ივლისისათვის — 7.148 მანეთი.

წლის პირველი კვარტალი ამიერკავკასიის პირობებში ჩვეულებრივ ისეთი პერიოდია სოფლად, როცა მეტი ფული აქვთ. კრედიტების ვადაზე შეუტანელი თანხა ამ კვარტალში ყოველ საკრედიტო ამხანაგობაში მომატებულია 1.000 მანეთის რაოდენობით, ხოლო მესამე კვარტალში, ე. ი. ივლისში, როცა გაძლიერებული საწარმოო მუშაობა მიმდინარეობს და მეტი ხარჯებია სოფლის მეურნეობაში, ვადაზე შეუტანელი თანხა ცოტაოდენადაა შემცირებული. ეს ციფრები ამტკიცებენ, რომ კრედიტის ვადაზე შეუტანლობა დამოკიდებულია არა მარტო სეზონზე, არამედ უმთავრესად საკრედიტო ამხანაგობების მიერ მიღებულ ზომებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად არ ჩანს, ვადაზეა კრედიტი გადახდილი თუ არა. ეს ხდება იმის გამო, რომ გამსესხებელი ორგანიზაციები ახლად გაცემული კრედიტების ხარჯზე ანაღდებენ წინედ გაცემულ კრედიტს. კრედიტს აძლევენ იმისათვის, რომ დაფარონ წინანდელი დავალიანება.

ეს ძალიან ამცირებს მსესხებელთა რაოდენობას, არ გვაძლევს საშუალებას კრედიტი გავავრცელოთ ახალ მსესხებლებზე. მეტად ცუდ მაგალითს გვაძლევენ ამ მხრივ თვით სასოფლო-სამეურნეო ბანკები. აი რას სწერს ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო ბანკი ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს 1928 წ. 29 დეკემბერს: „მეორედ დაჟინებით გთხოვთ, რომ რადგან პირველი კვარტალი უკვე თავდება, სასწრაფოდ მოახდინოთ დარჩენილი კრედიტების რეალიზაცია და დაფაროთ ჩვენი დავალიანება ვადა-გასულ სესხებზე".

მეორე ბანკი, რომელსაც კრედიტი მიეცა განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულებისათვის (კრედიტი ამ დანიშნულებისათვის საჭიროა მხოლოდ განსაზღვრულ პერიოდებში), ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს უწყებს იმას, რომ რადგან ავანსად არ იღებს მომავალი კრედიტებისათვის საჭირო თანხებს, „არა აქვს საშუალება მოახდინოს თანხების მანევრები მწვავე საჭიროების დროს", ე. ი. ამ ბანკს სურს კრედიტები გამოიყენოს არადანიშნულებისამებრ.

თავის თავად ცხადია, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს, რომლებიც თავის დროზე არ იღებენ დავალიანებას საკრედიტო ამხანაგობათაგან არ შეუძლიათ დაფარონ თავიანთი დავალიანება მაღლამდგომი საკრედიტო ორგანოების წინაშე. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ბანკები ვალდებულნი არიან შემოიღონ ისეთი წესი, რომლის დროსაც საკრედიტო ამხანაგობათა ხელმძღვანელების უდისციპლინობას, უყაირათობას და დაუდევრობას აღარ შეეძლება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობის შეფერხება.

ამ მხრივ კი საკრედიტო ამხანაგობანი მეტ წილად მუშაობენ სრული დაუდევრობის და უპასუხისმგებლობის პირობებში. საკრედიტო ამხანაგობანი დარწმუნებულნი არიან, რომ თუ ვალს არ გადაიხდიან ვადაზე, სულ ერთია, მათი ვალდებულებანი არ იქნება გაპროტესტებული და სწორედ ამიტომ ისინი ყაირათიანად არ ეკიდებიან სახელმწიფო და საზოგადო თანხებს, არ იჩენენ ინიციატივას ვალების ვადაზე შეგროვებისათვის.

ასეთი დამოკიდებულება კრედიტისადმი სასარგებლოა მხოლოდ კულაკებისა და შეძლებული მეურნეობებისათვის, რადგან სესხი ვადაზე არ შეაქვთ უმთავრესად სწორედ მათ. მსესხებელთა საერთო მასაში ყველაზე ბეჯითი და დისციპლინის მქონე მსესხებელია ღარიბთა მეურნეობანი, და ეს იმ დროს, როცა საკრედიტო პოლიტიკის დამახინჯება საკრედიტო ამხანაგობათა მხრივ მძიმე ტვირთად აწვება უმთავრესად ღარიბთა მეურნეობებს.

ჩვენ ვამბობდით, რომ თანხები, რომლებსაც სახელმწიფო აწვდის სოფლის მეურნეობას, ვერ აღწევს გლეხურ მეურნეობამდე, რომ გრძელვადიანი კრედიტები იქცევა მოკლე-ვადიან კრედიტად, ან ამ კრედიტს საკრედიტო ამხანაგობები იყენებენ სავაჭრო ოპერაციებისათვის.

ამას ამტკიცებს ის შეუფერებლობა, რომელიც არსებობს გრძელ-ვადიან სესხებსა და მოკლევადიან სესხებს შორის ქვედა საფეხურის ქსელში. 1 ივლისისათვის ის შეუფარდებლობა შეადგენდა 2.500 ათას მანეთს, ე. ი. საკრედიტო ამხანაგობებმა მიიღეს 9.741 ათასი მან. გრძელვადიანი კრედიტი, ხოლო გასცეს — 7.273 ათასი მანეთი. ეს შეუფარდებლობა ამტკიცებს, რომ კრედიტის ვადაზე შეუტანლობა თვით საკრედიტო ამხანაგობათა მხრივ უმთავრესად ხდება იმის გამო, რომ სწორედ არ იყენებენ კრედიტს და საკრედიტო საშუალებები დაბანდებულია სავაჭრო ოპერაციებში.

იწყება საგაზაფხულო თესვის კამპანია, ე. ი. იგი ის პერიოდი, როცა ხდება თანხების დაბანდება სოფლის მეურნეობის საწარმოო სამუშაოებსა და ღონისძიებებში. სახელმწიფო ახდენს ყველა შესაძლებელ მობილიზაციას სოფლის საწარმოო ძალთა გასაძლიერებლად, დახმარებას უწევს ღარიბ-საშუალო მეურნეობათა ძირითად მასებს. მაგრამ საშუალებები სრულებით არაა საკმაო სოფლის ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საჭიროა საზოგადოებრივი, კოოპერატიული და გლეხობის საშუალებათა მობილიზაცია. ასეთ დროს კრედიტების ვადაზე შეუტანლობა ისეთი დიდი რაოდენობით, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყოვლად შეუწყნარებელია. შეუწყნარებელია აგრეთვე არსებული თანხების დაქსაქსვა წვრილ და უწვრილეს სესხებად. ასეთი გზით ვერ შევსძლებთ სოფლის მეურნეობის განვითარებას და ახალ ნიადაგზე გარდაქმნას.

ზაფხულში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის გამოკვლევა მოახდინა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, რომელმაც, სხვათა შორის, აღნიშნა კრედიტების მეტად დიდი დაქსაქსულობა.

მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიულად იყო აკრძალული ასეთი დაქსაქსვა, იგი დღემდე გრძელდება. ასე მაგალითად, ამას წინედ საქართველოში **ღარიბთათვის კრედიტების დასარიგებლად ერთ საკრედიტო ამხანაგობას მიეცა 44 მანეთი, მეორეს—58 მანეთი და მესამეს—55 მანეთი. კოლმეურნეობასაც კი მიეცა 84 მანეთი.**

საჭიროა დაუყოვნებლივ საზოგადოებრივი წესით და საკანონმდებლო გზითაც მოეღოს ბოლო დაუდევარ და გულგრილ დამოკიდებულებას სახელმწიფო და საზოგადო საშუალებებისადმი. ყოვლად შეუძლებელია მუშაობა გაგრძელდეს ისე, როგორც დღემდე სწარმოებდა. სესხის ვადაზე შეუტანლობას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას გამოაშკარავებული ის შემთხვევები, როცა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი სესხის გაცემის დროს ამოკლებენ იმ ვადებს, რომლებიც დაწესებულია საკრედიტო სისტემის მაღლამდგომი საფეხურების მიერ. თუ ასეთი შემთხვევები აღმოჩნდა, სესხი დაუყოვნებლივ უნდა გადაიწეროს კანონიერ ვადაზე; ამასთანავე დაცულ უნდა იქნას ღარიბ მეურნეობათათვის დაწესებული ვადები. სოფლის აქტივის მონაწილეობით აღმოჩენილ უნდა იქნან ის პირები, რომლებიც განზრახ არ იხდიან სესხს. ა. ქ. ყველა რესპუბლიკებში, იმ რაიონებში, რომლებშიაც განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სესხის ვადაზე გადაუხდელობის მხრივ, დანიშნულ იქნან სასამართლოს სპეციალური აღმასრულებლები. საჭიროა ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარება სოფლად; სოფლის ფართო აქტივი ჩაბმულ უნდა იქნას სესხის ვადაზე შეუტანლობის ლიკვიდაციის საქმეში. მიღებულ უნდა იქნას საკრედიტო-საფინანსო ზეგავლენის ზომები; ახალი კრედიტები გაცემულ უნდა იქნას მხოლოდ მაშინ, თუ თავის დროზე იქნება დაფარული წინედ გაცემული სესხი; ამასთანავე მტკიცედ უნდა იქნას დაცული საკრედიტო დისციპლინა. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ქვედა საფეხურის ქსელში სესხის ვადაზე შეუტანლობასთან ბრძოლისათვის საჭიროა საკრედიტო ამხანაგობათა ვალდებულებების გაპროტესტება და საკრედიტო ამხანაგობათა იმ ხელმძღვანელების პასუხისგებაში მიცემა, რომლებმაც დაუშვეს თავიანთი ვალდებულებათა გაპროტესტება. სასამართლოს პასუხისგებაში იქნან მიცემული საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობანი, რომლებიც მიზნობრივ კრედიტებს არადანიშნულებისამებრ გამოიყენებენ. ვადამდე იქნან გამორთმეული ის სესხები, რომლებიც კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს მიეცა წინააღმდეგ მთავრობის ორგანოების სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მაღალი საფეხურების დირექტივებისა.

ყველა ეს ზომა დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული, და კამპანია სესხის ვადაზე შეუტანლობის წინააღმდეგ უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს მარტისა.

დაყოვნება სესხის ვადაზე შეუტანლობასთან ბრძოლაში დიდ დაბრკოლებას შექმნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ეს დაყოვნება შექმნის საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩაშლის საფრთხეს.

ჰ. ჩხენკელი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

თბილისის საბჭო ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს

თვითკრიტიკის კრება

წაუდის ფაბრიკაში შესდგა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. კრებაზე საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. თავშავაძემ ქართულ ენაზე და ოგანეზოვმა რუსულ ენაზე. კრების ყურადღება მიქცეულ იქნა იქით, რომ ქალაქის საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდა მაზრას. მაზრაში ჩამოყალიბებულია 30 ულარიბეს გლეხთა კოლექტივი. 38 ათასი ჰექტარი მიწით. გადიდებულია აგრეთვე აგრონომთა შტატი: შეკეთებულია გზები და ხიდები და გამრავლებულია სამეურნეო იარაღების წერტები, გახსნილია მაზრაში ამბულატორიები და სხვა. მეძაობის საქმე ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული: მრავალ ქალები ზოგი გადაასახლეს, ზოგს სამუშაო მისცეს, მაგრამ მაინც არ ეშველა; მუშებმა ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციონ. გარე უბნებში ხასმელით სავაჭროები 25 პროცენტით შემცირდა და კიდევ არის საჭირო მათი შემცირება.

მომხსენებლებს მისცეს შემდეგი შეკითხვები: ქალაქის საბჭო რა ყურადღებას აქცევდა სოფლის საბჭოებს; აღმასკომს რატომ არა ჰყავს მშენებელთა შტატი. სხვადასხვა საიჯარო სამუშაოებს აღმასკომი კერძო პირებს რატომ აძლევს და მუშებს კი არა. რატომ არ გააგრძელეს დიდუბის ტრამვაის ხაზი, დაზღვეულებზე უფასოთ არ ხდება, აღმშენებლო აფთიაქიდან რატომ არ ხდება. აღმშენებლობაზე შეჯიბრის საკითხს რა ყურადღებას აქცევენ. აღმასკომის შტატის შენახვა რა ჯდება წლიურათ. და სხ.

კამათში გამოსული მუშები ასაბუთებდნენ თავიანთ შეკითხვებს ცალკე ფაქტებით. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და საარჩევნო კომისიას დაავალა შეიმუშაოს პრაქტიკული წინადადებები.

საბჭოს მუშაობით კმაყოფილი ვართ

11 იანვარს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა, „დორპროფობრი"-ს ადგილკომში შემავალ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა: საბჭოს ანგარიში მოხსენებას ამ საკითხზე აკეთებენ ამხ. ანდრიაშვილი და ტერიკაშვილი. მომხსენებლებს მისცეს მრავალი შეკითხვები, რის შემდეგ გაიმართა კამათი. მოკამათენი აღნიშნავდნენ: ზამესის სინათლის გაყვანა ბინებში გვიანდება. საბჭოთა ორგანოები სამხედრო ხალხს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ, რათა ჩატარებულ იქნეს კავშირის წევრთა ბინების შევიწროება, რადგან ბევრს აქვს ზედმეტი ბინა. ლენინის უბანი განიცდის სკოლების შენობების ნაკლებობას. საჭიროა საბჭომ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს.

ჯანმრთელობის საკითხის გამოსარკვევად საჭიროა ქალაქში ჩატარებული იქნეს საყოველთაო საექიმო შემოწმება. აგრეთვე საჭიროა მოწყობილი იქნეს საერთო მუშათა დასასვენებელი ბაღი, როგორც ეს არის საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

მომხსენებლების საბოლოო სიტყვების შემდეგ, კრებამ საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და საარჩევნო კომისიას დაავალა შეიმუშაოს პრაქტიკული წინადადებები.

საბინაო კოოპერაციის მონაწილეობა არჩევნებში

გუშინ, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა ქალაქის რაიონში შემავალ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა გამგეობების და სარევიზიო კომისიების წევრთა თათბირი ამხანაგობებში გაერთიანებულ სახლების რწმუნებულებთან ერთად.

თათბირზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა თბ. აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. მესხმა, რომელმაც გააცნო თათბირის მონაწილეთ, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ საბინაო-საიჯარო ამხანაგობების გამგეობებმა საბჭოების გადარჩევის მიმდინარე კამპანიაში.

მოხსენების დამთავრებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თათბირმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნულია:

20 იანვრამდე საბინაო-საიჯარო ამხანაგობების საშუალებით უნდა ჩატარდეს ხმა ჩამორთმეულთა აღრიცხვა, და 27 იანვრამდე მათი სიები გადაიგზავნოს სარაიონო საარჩევნო კომისიაში.

ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ქალორგანიზატორებს საბინაო ამხანაგობებს სახლებში მცხოვრებ დიასახლისების საერთო კრებების ჩატარებაში, რათა ამ გზით მიღწეულ იქნას დიასახლისების 100 პროცენტით ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში.

მომზადებულ იქნას აქტივი საანგარიშო კამპანიის ირგვლივ გამართულ კამათში საბინაო მშენებლობის, საბინაო ფართობის და საერთოდ საბინაო-საიჯარო ამხანაგობების მდგომარეობის გასაშუქებლად.

ჩატარებულ იქნას მოსამზადებელი მუშაობა, რათა საბინაო-საიჯარო ამხანაგობების აქტივმა ცხოველი მონაწილეობა მიიღოს განაწესის შემუშავებაში განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის საკითხებზე.

საარჩევნო პუნქტებში ამომრჩეველთა ფართოდ მიზიდვის მიზნით მიღებულ იქნას საჭირო ზომები.

საარჩევნო კრება მუშების აქტიური მონაწილეობით ჩატარდა

ა.-კ. წითელ დროშოსან არმიის ლიტოგრაფიის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ივანოვმა, რომელმაც ვრცლად გააცნო ამომრჩევლებს საბჭოს მუშაობა და აღნიშნა მუშაობის როგორც ნაკლი ისე მიღწევებიც.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მუშებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ორატორები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ თბილისის საბჭოს მრავალ მიღწევებს და ამავე დროს მიუთითებდნენ იმ ნაკლზეც, რომელიც თან სდევდა საბჭოს მუშაობას, ამხანაგები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ: საბინაო მშენებლობას, კოოპერატივების მუშაობას, სწავლა-განათლების საქმეს, მუშათა ჯანმრთელობის დაცვას, გარე უბნების კეთილ მოწყობას, სანიტარულ პირობების დაცვას, ბიუროკრატიზმის და პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვ. ისინი მოითხოვდნენ აგრეთვე პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და მომავალი საბჭოს მუშაობისათვის პრაქტიკული ღონისძიებების შესამუშავებლად აირჩია კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით.

ვიწვევთ ლენრაიონის დელეგატ ქალებს

ქალაქის რაიონის დელეგატ-ქალთა ჯგუფურ კრებებზე მოისმინეს მოხსენებები საბჭოთა მომავალ არჩევნების ჩატარების შესახებ. ჯგუფურმა კრებებმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარების და მასში მშრომელ ქალთა მთელი ასი პროცენტით ჩაბმის მიზნით შეჯიბრებაში გამოიწვიონ ლენინის რაიონის დელეგატი ქალები.

ამ მიზნით შეჯიბრებაში გამოწვეულმა უნდა შეასრულოს შემდეგი პირობები: აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კამპანიაში; ასი პროცენტით ჩააბას საანგარიშო-საარჩევნო კრებებში როგორც მუშა ქალები, ისე დიასახლისები; აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საანგარიშო მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში და განაწესის შემუშავებაში დეპუტატებისათვის; საუკეთესო მუშა ქალები უნდა გაიყვანონ საბჭოში.

ბ.

ლენრაიონის მშრომელი ქალების სამზადისი

საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელ მუშაობაში ლენინის რაიონის მუშა და დიასახლისი ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ქალთა განყოფილებამ მობილიზაცია უყო მთელ ქალთა აქტივს და ჩააბა ისინი საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელ კამპანიაში.

ამ დღეებში შესდგა აღნიშნულ რაიონის მუშა და დიასახლის ქალთა აქტივის კრება, რომელზედაც საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გუდავაძემ.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა საბჭოთა არჩევნების უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვა იმ ნაკლოვანებას, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელ მუშაობაში. მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ, რათა ჩაებან მოსამზადებელ მუშაობაში და ხელი შეუწყონ საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებას. ამ მიზნით მომხსენებლის აზრით სასურველია საბინაო კოოპერაციაში გაერთიანებულ მუშათა სახლებში დიასახლის ქალთა შორის ჩატარდეს საუბრები საბჭოთა არჩევნებში ქალთა მონაწილეობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს დიასახლისი ქალებმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ გასულ არჩევნებში ქალთა მონაწილეობა ერთობ სუსტი იყო, რადგან მაშინ დიასახლისთა კრებები ცალკე არ იწვევოდა. მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში დიასახლის ქალთა ფართო მონაწილეობისათვის, მოკამათენი საჭიროდ სცნობდენ დიასახლის ქალთა ცალკე კრებების მოწვევას თვით მუშათა სახლებში.

დასასრულ თათბირმა ლენინის რაიონი ქალთა კრებების მოსაწვევად გაყო ორ უბნად; ლენინის უბანი (ნაძალადევი) და დიდუბე, ასეთი საშუალებით შევძლებთ ჩავაბათ საარჩევნო კამპანიაში დიასახლის ქალთა მთელი ასი პროცენტი.

ნ. მაისურაძე.

მუშაობა ჩავატარეთ

გუშინ, საღამოს შესდგა სადგ. თბილისის მუშა-მოსამსახურეთა კრება რომელსაც დაესწრო 270 კაცი. კრებამ მოისმინა ამხ. ლადო მასურაძის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები საბჭოსა და აღმასკომის მუშაობაში და შეეხო ზოგიერთ დეფექტებსაც. მომხსენებელს მისცეს 45-მდე შეკითხვა, რაზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა. ამის შემდეგ გაიმართა ცხოველი კამათი.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მუშკლუბის სექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს განათლების დარგში არსებულ უწესობებს. ამის შესახებ პრესაში აუარებელი წერილები იყო მოთავსებული. მუშები მოითხოვდნენ, რათა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს „თელას"-ში არსებულ ბიუროკრატიზმს; მილიციის საგუშაგოებთან მოეწყოს სარაიონო ტელეფონები და სხვ.

კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა.

ზეთსახდელ ქარხანაში

თბილისის მეორე ზეთსახდელ ქარხანა „ცეროსმ"-ში გუშინ ნაშუადღევს 3 საათზე შესდგა ამავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხოდჯოვამ.

მომხსენებელმა გააცნო კრებას საბჭოს მუშაობის საანგარიშო ხნის განმავლობაში. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვს საბჭოთა დაწესებულებებში, როგორიც არის ბიუროკრატიზმი, ქაღალდის [illegible] და სხვ. აღნიშნავდნენ აგრეთვე ქალაქის ზოგიერთ რაიონების კეთილმოუწყობლობას, საბინაო საკითხის მოუგვარებლობას, ავლაბრის მუშათა თეატრის მოუწყობლობას და სხვ.

მომხსენებელმა თავის საბოლოო სიტყვაში ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც თბილისის საბჭოს მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო.

საქმიანი წინადადებანი

გუშინ საღამოს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოსთან არსებულ სამკურნალო დარგის მუშაკთა კლუბში შესდგა რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს, ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფოს და სადეზინფექციო კამერის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საბჭოს წევრი ამხ. არ. ხანუმიანი.

კლუბის დიდი დარბაზი ვერ იტევდა კრებაზე გამოცხადებულთა რაოდენობას. საბჭოს მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენება მოსმენილ იქნა დიდი ყურადღებით. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 15-ზე მეტმა ორატორმა.

— კრება სიამოვნებით აღნიშნავს,—ნათქვამია კრებაზე მიღებულ რეზოლიუციაში,— რომ თბილისის მეექვსე მოწვევის საბჭოს მუშაობას ახასიათებს მრავალგვარი მიღწევები, მაგრამ ამავე დროს არსებობენ მთელი რიგი დარგები როგორც საქალაქო მეურნეობის ხაზით, ისე მაზრის მასშტაბითაც, რომელთაც ეჭირვებათ უფრო ფხიზელი ყურადღების მოპყრობა, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. კრებას საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალმა საბჭომ საბინაო მშენებლობის განვითარებას და საბინაო კოოპერაციის მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

კრებაზე გამოსული ორატორების წინადადებით, თბილისის ახალ საბჭოსადმი წარსადგენ ნაკაზში უნდა იქნეს შეტანილი შემდეგი მუხლები:

— ყურადღება მიექცეს ქალაქში ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგებას და მიღებულ იქნეს ზომები, რომ ზამთრის პერიოდისათვის ხაზებზე გამოშვებულ იქნეს დახურული ტრამვაის ვაგონების საკმაო რაოდენობა.

— ქალაქის განაპირა რაიონებში გაფართოებულ იქნეს ტრამვაის ქსელი.

— მიღებულ იქნეს ზომები და ღონისძიებები საავადმყოფოებში და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში „ჯუდების" მოსასპობათ და სხვ.

საანგარიშო კრებას დაესწრო 800-მდე მუშა მოსამსახურე.

სად შესდგება დღეს საანგარიშო კრებები

ლენინის რაიონში

დღეს ლენინის რაიონის მსხვილ საწარმოებში: ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში, თბ. დეპოში, 26 კომუნარის მექანიკურ ქარხანაში, სავაგონო პარკში და სხვ. მუშაობის შემდეგ დანიშნულია [illegible] მიტინგები. ამიტომ საანგარიშო კრება ლენინის რაიონში შესდგება მხოლოდ ხვალ. თბილისში და რკ. გზის მაღალი ტიპის სასწავლებელში.

26 კომუნარის რაიონში

26 კომუნარის რაიონში საბჭოთა საანგარიშო კრებები შესდგება შემდეგ წარმოება-დაწესებულებებში: სამხედრო წისქვილში და აღმასკომის მამულში (ორთაჭალა).

საანგარიშო კამპანია მაზრებში

გორის მაზრა იწვევს ქუთაისის მაზრას

გორის სამაზრო საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით საბჭოთა არჩევნების საუკეთესოდ ჩატარებისათვის შეჯიბრებაზე იწვევს ქუთაისის სამაზრო საარჩევნო კომისიას.

შეჯიბრებაში გამოწვეულმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

1) ცენტრალურ საარჩევნო კომისიიდან გადმოგზავნილი ყოველგვარი დირექტივები გადაუხვევლად და დაუბრკოლებლივ უნდა გაატაროს ცხოვრებაში.

2) შედარებით გასულ წლებთან, საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე გაადიდოს დამსწრეთა რიცხვი, განსაკუთრებით ქალები.

3) ანგარიშის ჩაბარების დროს ხელი შეუწყოს ამომრჩეველთა აქტივობის ზრდას.

4) სისწორით აღნუსხოს კამათში მონაწილეთა სოციალური მდგომარეობა.

5) მიიღოს ზომები საბჭოების სოციალური შემადგენლობის გასაუმჯობესებლად.

6) უნდა გააძლიეროს სათემო-საარჩევნო კომისიებზე ხელმძღვანელობა და ცოცხალი კავშირი.

7) მიიღოს სათანადო ზომები საანგარიშო კამპანიაში შემჩნეული ყველა ნაკლოვანებების აღნუსხვისათვის.

8) თავის დროზე და წესიერად შევსებული სახით უნდა გადაუგზავნოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადარჩევებთან დაკავშირებული ყველა საღრიცხვო ფორმები.

გორის სამაზრო საარჩევნო კომისია.

კულაკების თავხედობის ფაქტები

(წერილი გორიდან)

8 იანვარს სოფ. შინდისში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: ამ სოფელში არსებობს სას.-სამ. კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანებულია ულარიბესი გლეხობა, კოლექტივის წევრი ღარიბი გლეხები აქტიურად მონაწილეობენ მიწადმოწყობის ჩატარებაში. საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში, თვითდაბეგვრაში და სხვ. განსაკუთრებული აქტივობით განირჩეოდა ვასო ბაჩაძე, რომელმაც ამხილა შინდისელ კულაკებს ზრახვები საბჭოსა და ულარიბეს გლეხთა საერთო კრებაზე.

შინდისელმა კულაკებმა შეძლეს ბაჩაძისთვის სამაგიეროს გადახდა. მათ წინასწარ განზრახვით ორი ხულიგნური ელემენტების საშუალებით 8 იანვარს, ღამით გზაზე მომავალი ბაჩაძეს სასიკვდილოდ სცემეს. როცა ხულიგნები დარწმუნდნენ, რომ მათ განზრახვა სისრულეში მოიყვანეს მიიმალნენ, მაგრამ ბოროტმოქმედნი მეორე დღესვე დააპატიმრა ხელისუფლებამ.

ხაშურის თემის სოფ. კრისხევში კულაკებმა სცემეს ამ სოფელში მიმაგრებულ ხაშურელ მუშა ჯიბლაძეს იმის გამო, რომ მან საუკეთესოდ დარაზმა ღარიბი გლეხობა, ხოლო კულაკები ინსტრუქციის თანახმად შეიტანა შავ სიაში.

გორელი.

ამომრჩეველთა აქტივობამ მოლოდინს გადააჭარბა

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის მაზრაში გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს საბჭოების საანგარიშო კამპანია. ღარიბ და საშუალო გლეხების, ქალთა და მოჯამაგირეთა აქტიობამ მოლოდინს გადააჭარბა.

ტობანიერის თემში, 12 საარჩევნო უბანში დამთავრდა ანგარიშების ჩაბარება ამომრჩევლებზე. ამომრჩეველთა დასწრება ხსენებულ თემში უდრიდა 70 პროცენტს.

რიონის თემის ერთ საარჩევნო უბანში საანგარიშო კრებას ამომრჩეველთა 80 პროცენტი დაესწრო.

საბჭოების მუშაობის შესახებ კამათში გამოსული ამომრჩევლები ხიდი კრიტიკით უდგებიან დღის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვას.

მესხი.

საანგარიშო კამპანიას აფერხებს დიდი თოვლი

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

სენაკის მაზრაში საბჭოების საანგარიშო კამპანია დაიწყო.. დიდი-ჭყონის, სალხინოს და კურზუს თემში თოვლი ნახევარ არშინზე მეტია. კვლავ განუწყვეტლივ თოვს, ქრის ცივი ქარი, რის გამო საანგარიშო კრებების ჩატარება ფერხდება.

მუშაობის ნაყოფიერების და საერთოდ მშრომელი მოსახლეობის და განსაკუთრებით ქალების საანგარიშო კამპანიაში ფართოდ ჩაბმის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საანგარიშო კამპანიის დროებით გადადება, ამ მიზნით უკვე აღძრულია შუამდგომლობა სამაზრო საარჩევნო კომისიის წინაშე.

მიხეილ ბარამია.

მოჯამაგირეთა აქტივობა

(სოფ. ხელთუბანი, გორის მაზრა)

სოფ. ხელთუბანში 7 იანვარს მოწვეული იყო საანგარიშო კრება, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 68 პროც. კრებამ მოისმინა თემ.-საბჭოს მუშაობის ანგარიში, რის შემდეგ მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები.

კამათში პირველად გამოვიდა ადგილობრივი მოჯამაგირე, რომელმაც გამოამჟღავნა საბჭოს ზოგიერთი წევრების უმოქმედობა, მისი სიტყვით, ხელთუბნის საბჭოს ზოგიერთი წევრები პირველ ხანებში ძლიერ აქტიობას იჩენდენ, განსაკუთრებით მიწადმოწყობის ჩატარების საქმეში, ხოლო როდესაც მიწადმოწყობა დამთავრდა და ზოგიერთმა საბჭოს წევრებმა თავისთვის მიიზომეს მიწის მსუქანი ნაჭრები, მას შემდეგ ისინი სოფლის საერთო საქმეზე აღარ ზრუნავდენ.

მოჯამაგირის გამოსვლამ დამსწრე ღარიბ გლეხებში გამოიწვია აქტიობა და 7 მოკამათე ღარიბი გლეხები აშკარად გამოდიოდენ ადგილობრივ საბჭოს პასიურ წევრების წინააღმდეგ.. მათ მოითხოვეს საბჭოს უმოქმედო წევრების შეცვლა მოჯამაგირეებით და აქტიური ღარიბი და საშუალო გლეხებით. კრებას მეტად საქმიანი ხასიათი ჰქონდა.

ქ. მ—ძე.

სამზადისი გაცხოველდა

(ს. აწყური, ახალციხის მაზრა)

აწყურის თემში საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი კამპანია სუსტად მიმდინარეობდა, რომლის მიზეზები უკვე იყო აღნიშნული გაზ. „კომუნისტ"-ში. მაგიეროთ ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა. საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობს ამხ. ს. პ. ივანიძე. უკვე დამთავრდა მოჯამაგირეების ღარიბ და საშუალო გლეხობის შეკავშირება. ეხლა იმართება ღარიბ გლეხობის კონფერენცია მაზრაში, სადაც ჩვენი თემიდან გაგზავნილია ღარიბთა დელეგატები.

არჩევნებთან დაკავშირებით 6 იანვარს შესდგა ჩვენი თემის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. არჩევნების მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. პ. ივანიძემ, რომელმაც გასაგებ ენაზე აგვიხსნა თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა არჩევნებს. დაახასიათა ისიც, თუ გასულ არჩევნებში როგორ მოახერხეს გაძრომა საბჭოში ბეგებმა და კულაკებმა. მან მოუწოდა კრებას მიეღოთ აქტიური მონაწილეობა მომავალ არჩევნებში. ილაპარაკა აგრეთვე სასოფლო სამეურნეო საკრ. ამხანაგობის თავმჯდომარემ ამხ. შელიძემ.

კრებამ ერთხმად დაადგინა მიიღონ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა ღარიბ და საშუალო გლეხებთან და მოჯამაგირეებთან ერთად კულაკებისა და ბეგების წინააღმდეგ. აგრეთვე კრებამ დაავალა კოოპერაციას, სასოფლო სამეურნეო ამხ. და თემაღმასკომს მიიღონ აქტიური მონაწილეობა არჩევნებში.

აწყურელი.

საარჩევნო სამზადისი აფხაზეთში

სოხუმი, 11 იანვარი. საოლქო კომიტეტში გაიმართა ფართო თათბირი საბჭოების არჩევნების შესახებ.

დღის წესრიგში იყო: მოხსენებანი ადგილებიდან კამპანიის მსვლელობის შესახებ. სოხუმის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ანასტასიადის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მოსამზადებელი მუშაობის დაწყების დროს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა შეცდომას: საარჩევნო კომისიებში არ შეიყვანეს მოჯამაგირეთა კომკავშირელთა და ქალთა წარმომადგენლები.

ეს შეცდომები გამოსწორებულ იქნენ და ამჟამად საარჩევნო კომისიების სოციალური შემადგენლობა მთლიანად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებას.

უნდა აღინიშნოს ღარიბი გლეხობის არაჩვეულებრივი აქტივობა. ზოგიერთ რაიონში შემჩნეულია ღარიბი გლეხობისა და საშუალო გლეხობის ერთმანეთისაგან გათიშვა. მაგალითად. ვლადიმიროვკის რაიონში ღარიბი გლეხობის კრებაზე არ მიიწვიეს არც ერთი საშუალო გლეხი.

მუშაობის ერთ-ერთ ნაკლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეშერისა და გულრიფშის უჯრედებში აღმოჩნდნენ პარტიისათვის უცხო ელემენტები; ეს ელემენტები ხელს უშლიან იმ მუშაობას, რომლის მიზანია სოფლის პროლეტარული ნაწილის ჩაბმა არჩევნებში და კულაკების იზოლიაცია. კულაკური ელემენტი შემჩნეულია აგრეთვე წებელდის კომკავშირელთა უჯრედში; გამოაშკარავდა ისეთი შემთხვევები, როდესაც სათემო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ყოფილან ისეთი პირები, რომლებსაც საარჩევნო უფლება არ უნდა ჰქონდეთ. სულ მაზრაში ითვლება 18.246 ამომრჩეველი, აქედან საარჩევნო უფლება წართმეული აქვს 934 კაცს (7.5 პროც.).

გაგრის მაზრაში საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ მოხსენება წაიკითხა სამაზრო კომიტეტის მდივანმა ამხ. კოტუმ, მან აღნიშნა, რომ კამპანიის დაწყების დროს საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ზოგან მოჯამაგირეებს წარმომადგენლობა არ ჰყავდათ, ზოგიერთ საარჩევნო კომისიებში კი კულაკები აღმოჩნდნენ. თუ პირველ ხანებში მუშაობის საქმე რიგიანად ვერ მიდიოდა, სამაგიეროდ ღარიბი გლეხობის ჯგუფთა მდივნების თათბირისა, ღარიბი გლეხებისა და ქალების კრებების აგრეთვე მუშგლეხკორთა კონფერენციების შემდეგ მუშაობა თვალსაჩინოდ გამოსწორდა და სავსებით მოწესრიგდა.

გუდაუთის სამაზრო კომიტეტის მდივნის ამხ. გარიკას მოხსენებიდან გამოირკვა, რომ, საარჩევნო კამპანიამ, კერძოდ, მოსამზადებელმა მუშაობამ, პირველ ხანებში მცირედ შეაგვიანა, მაგრამ როცა კალენდარული გეგმა შესდგა, მუშაობა გაიშალა და ამჟამად იგი გაჩაღებულია. სოფ. ლიხნის უჯრედის სხდომაზე ადგილი ჰქონდა დამახასიათებელ ხულიგნურ განწყობილებას, რომელიც მოწმობს, რომ ზოგიერთ პირს არ ესმის ღარიბი გლეხობის როლი და კულაკების ოინები. აღნიშნულ სხდომაზე ერთმა პარტიულმა განაცხადა: „რა აზრი აქვს იმას, რომ ვაწინაურებთ ღარიბ გლეხებს, რომლებსაც თავიანთი მეურნეობისათვისაც კი ვერ მოუვლიათ"-ო.

მასთან შეხმატკბილებით ერთმა კომკავშირელმა განაცხადა: სჯობს ამოვირჩიოთ კულაკები, რომლებსაც მეტი დრო აქვთ და უზრუნველყოფილნი არიან იმისათვის რომ საზოგადოებრივ საქმეებს მისდიონ.

გალის მაზრის წარმომადგენელმა ამხ. თორიამ აღნიშნა ყველა მაზრისათვის დამახასიათებელი დეფექტები და სთქვა რომ საარჩევნო კამპანია სრულის წარმატებით მიმდინარეობს. ამხ. თორია შეეხო ღარიბი გლეხობის დაქრთამვის დამახასიათებელ მაგალითს: კულაკმა ჯანდულიამ ღარიბ გლეხებს მიჰყიდა 10 ტონა სიმინდი ორჯერ ნაკლებ ფასად, ვიდრე ბაზარზე იყიდება.

უკანასკნელად მოხსენება გააკეთა კოდორის სამაზრო კომიტეტის მდივანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პირველ ხანებში იყო ისეთი შემთხვევები, როცა სოფლის საბჭოები ინსტრუქციებში ვერ ერკვეოდნენ და არ იცოდნენ, თუ ვის უნდა წართმეოდა საარჩევნო უფლება. მაგრამ სამაზრო ცენტრიდან დროით გაიგზავნენ ამხანაგები რომლებმაც ეს საკითხი ნათელი გახადეს და მუშაობაც გაჩაღდა. (ადს).

წინასწარი სამზადისი სამხრეთ-ოსეთში

(წერილი ცხინვალიდან)

სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი იყოფა 15 ადმინისტრატიულ (რაიონი) ერთეულად. 8 რაიონში საბჭოთა არჩევნები ჩატარებულ იქნა გასული წლის შემოდგომაზე. დანარჩენ 7 რაიონში საარჩევნო კამპანია დაიწყო დაგვიანებით საოლქო საარჩევნო კომისია მუშაობას შეუდგა დეკემბრის ბოლო რიცხვებიდან.

რაიონებში უკვე ჩამოყალიბებულია საარჩევნო კომისიები და მიმდინარეობს ამომრჩეველთა და ხმის უფლების არ მქონეთა აღრიცხვა.

ადგილებს დაეგზავნა საარჩევნო მასალები, ინსტრუქციები და დაწვრილებით დამუშავებული გეგმები წინასწარი, საანგარიშო და საგადარჩევო მუშაობის გეგმიანათ ჩატარებისათვის.

ამ უკანასკნელ დღეებში ყველა რაიონებში დაიგზავნა კამპანიის უშუალოდ ხელმძღვანელობისათვის 15 სათანადოთ მომზადებული პ. მგ. ამხანაგები.

მოსამზადებელი და საარჩევნო კრებების მოსახლეობასთან დაახლოებისა და ამ კრებების ბინებით უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული 7 საარჩევნო რაიონი დაყოფილია 107 საარჩევნო უბნებათ, გაცემულია განკარგულება, რათა ყველა წინასწარი კრებები, რაიონული საბჭოს საანგარიშო მოხსენებები და საგადარჩევო კრებები ჩატარებულ იქნას ყველა საარჩევნო უბნებში.

უნდა აღინიშნოს ზოგიერთ რაიონების ხელმძღვანელ ამხანაგების მხრივ მემარჯვენე გადახრა, რაც გამოიხატება მათ მიერ პარტიის ხაზის დირექტივების დაუფასებლობაში კულაკობის მიმართ. ასე მაგალითად: წუნარის რაიონის აღმასკომსა და ადგილობრივ კომუჯრედს თავის ვეებერთელა და ამასთანავე კულაკურ რაიონში „ვერ უპოვნია" ვერც ერთი კულაკი შავ სიაში შესატანად. აღნიშნული რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ და კომუჯრედის მდივანმა განაცხადეს, რომ ჩვენს რაიონში არ არის არც ერთი კულაკიო, მხოლოდ ოლქის პ. მგ. ამხანაგებთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ ხსენებულ რაიონში საკმაოდ მოიპოვება კულაკობა.

საერთოდ მოსახლეობის განწყობილებისა და აქტიობაზე ჯერ ჯერობით ლაპარაკი ნაადრევია, ვინაიდან კამპანიის მსვლელობა არ მისულა ამ წერტილამდე. მხოლოდ აღსანიშნავია დეკემბრის ბოლო რიცხვებში ჩატარებული ქალთა საოლქო კონფერენცია, სადაც დელეგატ გლეხ ქალებმა დიდი აქტივობა და დაინტერესება გამოიჩინეს მომავალ საბჭოთა არჩევნებისადმი. მათ აღნიშნეს შემოდგომაზე ჩატარებულ არჩევნების ნაკლი, მიუთითეს განსაკუთრებით ქალების სუსტად ჩაბმაზე საარჩევნო კამპანიაში და თვით არჩევნებში. ერთმა დელეგატ ქალმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ერთ-ერთ რაიონში საბჭოს წევრათ ამოირჩიეს მღვდლის ცოლი, „ამბობენ აქტიური ქალიაო, მაგრამ ჩვენ არ გვინდა მღვდლისა და მისი ცოლის აქტიობა უმჯობესი იქნებოდა მოჯამაგირე გლეხი-ქალი აგვერჩია"-ო.

საერთოდ ქალთა აქტივი და კომკავშირი დიდ ენერგიას იჩენენ და პირნათლად ასრულებენ ყოველივე დავალებებს.

სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ძლიერ მოიკოჭლებს სხვადასხვა ორგანიზაციების საბჭოთა არჩევნებში აქტიურათ ჩაბმის საკითხი.

საჭიროა მათი გამოცოცხლება და მათი მხრივ იმ დავალებების შესრულება, რომელიც მიღებული აქვთ როგორც ცენტრიდან, ისე ადგილობრივ საოლქო ხელისუფლებისაგან.

იანვრის პირველ რიცხვებში გაიწვიეს თბილისის მუშების 8 წარმომადგენელი საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებათ. ისინი უკვე გაემგზავრენ ოლქის სხვადასხვა რაიონებში.

ბ. რამიშვილი.

მუშების გაგზავნა მაზრებში

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ საქართველოს მაზრებში და მეზობელ რესპუბლიკებში აზერბეიჯანში და სომხეთში თბილისის სხვადასხვა წარმოებებიდან მიავლინა 55 დაზგის მუშა, აქედან აზერბეიჯანში გაიგზავნა 5 მუშა, სომხეთში—5; საქართველოს მაზრებში: გორში—2, ქუთაისში—2, შორაპანში—2, ახალქალაქის მაზრაში—4, ახალციხეში—4, ბორჩალოს მაზრაში—5; კახეთში—5, რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში—4, ზუგდიდში—4, სენაკის მაზრაში—4, ოზურგეთის მაზრაში—3, აჭარისტანში—2; აფხაზეთში—1 და სამხრეთ-ოსეთში—3.

აჭარისტანში—2, აფხაზეთში—1 და სამხრეთ-ოსეთში—3.

საქართველოს მაზრებში და ავტონომიურ ერთეულებში მივლინებულ მუშებს ევალებათ ხელმძღვანელობა გაუწიონ ადგილებზე საარჩევნო მუშაობას ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სამაზრო საარჩევნო კომისიის დირექტივების მიხედვით. მათვე ევალებათ ყოველკვირეულათ აცნობონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თავიანთ მუშაობისა და საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე გაზეთებს მიაწოდონ შესაფერი ინფორმაცია.

მეზობელ რესპუბლიკებში მივლინებულებს კი დაკისრებული აქვთ თვალყური ადევნონ ადგილობრივ საარჩევნო კამპანიის მსვლელობას და საბჭოების მუშაობას და ამავე დროს იქაურ მუშებს გააცნონ თბილისის საბჭოს მუშაობა.

მუშები გაიგზავნენ ერთი თვით ისე რომ 15 დღე მონაწილეობას მიიღებენ საანგარიშო კამპანიაში და 15 დღე საარჩევნო კამპანიაში.

გარდა ამისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილი აქვს ავტონომიურ ერთეულებისა და მაზრების სოფლებში გაგზავნოს 10 მუშა ქალი.

შეჯიბრების ხელმძღვანელ კომისიის სხდომა

საარჩევნო კამპანიის საუკეთესოთ ჩატარებაზე მაზრებს შორის შეჯიბრებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ საქ. ცაკთან დაარსებულია სპეციალური კომისია, დღეს საღამოს 8 საათზე შესდგება ამ კომისიის სხდომა, რომელზედაც გამომუშავებული იქნება შეჯიბრებების ჩატარების გეგმა.

მშრომელი ქალები ემზადებიან არჩევნებისათვის

(წერილი სენაკიდან)

8 იანვარს, მუშათა კლუბში გაიხსნა სენაკის მაზრის აქტივ-ქალთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრნენ დელეგატი-ქალები თითქმის ყველა თემებიდან, რომლებიც არჩეულ იყვნენ სათემო ქალთა კონფერენციებზე. კონფერენციას დაესწრნენ აგრეთვე ქალაქის მშრომელი ქალებიც.

კონფერენციის დღის წესრიგში მთავარი საკითხი იყო „საბჭოს წევრ-ქალთა მუშაობა საბჭოებში". მოხსენებაში აღნიშნა ქალთა აქტივის ზრდა და აგრეთვე საბჭოს წევრ-ქალთა აქტიური მუშაობა საბჭოს აღმშენებლობაში, მაგრამ ეს აქტივობა ყველგან არა ჩანს, ზოგან მუშაობა საბჭოს წევრ-ქალებისა დამაკმაყოფილებელია, ზოგან კი სუსტი.

ქალთა სუსტი მონაწილეობის მიზეზი ისევ ყოფა-ცხოვრების ჯერ მოუგვარებელი საკითხებია. და აგრეთვე მამაკაცების პასიური დამოკიდებულება ქალების მუშაობაში ჩაბმის საქმეში.

მიუხედავად ამისა, მაზრის თითქმის ყველა თემებში გვაქვს ქალთა შორის მუშაობის გამოცოცხლება, ქალთა აქტივობა და მამაკაცებთან ერთად საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმა.

მოხსენებამ ისეთი ცხოველი კამათი გამოიწვია, რაც ჯერ არავის უნახავს ქალთა კრებებზე.

რას ამბობდენ ქალები? მოუსმინოთ თითოეულ მათგანს:

ამხ. კუჩუხიძე (ნაესაკოვის თემი). საბჭოში მარტო ერთი ქალია, ისიც არაფერს აკეთებს, რაც ქალებში ძლიერ უკმაყოფილებას იწვევს, თვით ხელმძღვანელობაც ქალებისადმი სუსტია, ჩვენ, ქალებში ბევრი გვყავს მუშაობის მოყვარულნი, მაგრამ სამუშაოზე ნაკლებად გვიძახიან. თემში გაფუჭებულია გზები; ქალებმა ვითხოვეთ ზომების მიღება, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია.

ამხ. გოგიავა (აბაშიდან), საბჭოთა საარჩევნო კრებებზე ბევრ ადგილას ქალები მეტი ცხადდებიან მამაკაცებზე, მაგრამ როცა არჩევნებში მიდგება საქმე, ქალს მხოლოდ ორსამს თუ აირჩევენ, ქალები საბჭოებში მეტი უნდა გავიყვანოთ და ისინი ჩავაბათ მუშაობაში. მათ შეუძლიათ მუშაობა.

ამხ. ქვანია—(მარტვილიდან), სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად თვით ქალები ამბობენ—მე ქალი ვარ და მუშაობა არ შემიძლია, მამაკაცებმა იმუშაონო, რაც ყალბი შეხედულებაა. ჩვენ თვითონ არ უნდა დავიჩაგროთ თავი და უნდა აქტიურად ვიმუშაოთ. საჭიროა სადელეგატო პუნქტების მუშაობის გამოცოცხლება და იქ ახალი ძალების აღზრდა.

ამხ. გოგიავა—(ძველი სენაკი), კოლექტივში ჩვენ, ქალები აქტიურად ვმუშაობთ, აქ მამაკაცებს არ ჩამოუვარდებით. სასკოლო მშენებლობაშიაც ვიღებთ მონაწილეობას. საჭიროა საბჭოებში ქალების მეტი რიცხვის ჩაბმა.

ამხ. ფარულავა (ზუნწიდან), მიქაძე (სამიქაოდან), ქარტოზია (ძვ. სენაკიდან), ეხებოდნენ საბჭოში არჩეულ ზოგიერთი ქალების უმოქმედობას, ქალთა რიცხვის სიმცირეს საბჭოებში, აგრეთვე ქალთა ჩაბმას კოოპერაციისა და სამკითხველოს მუშაობაში.

ქ. პ. სამაზრკომის საორგანიზაციო განყ. გამგე ამხ. ჩარგაზიამ მოუწოდა ქალებს მეტი თვითმოქმედებისაკენ, ნაყოფიერი მუშაობისაკენ, საბჭოთა აღმშენებლობაში ფართოდ ჩაბმისაკენ და სხვ.

მეორე დღის სხდომაზე გაგრძელდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სხვა დელეგატებმაც: დიხამინჯია (ლეძაძამიდან), უჩანეიშვილი (სენაკიდან), მელიქაძე (თბილისიდან) და სხვა.

ამხ. ო. ჩიჩუას საპასუხო სიტყვის შემდეგ მიღებულ რეზოლიუციაში სხვათა შორის აღნიშნულია:

ა) საბჭოს წევრ ქალების უფრო მეტი ჩაბმა მუშაობაში და დავალებების მიცემა,

ბ) ქალთა დაწინაურებისათვის მთავარი ყურადღების მიქცევა.

გ) ძაფსახვევი ქარხნის აგება ქალაქ სენაკში, მშრომელ ქალთა მასში ჩაბმის მიზნით.

შემდეგ მოსმენილ იქნას სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ალ. კაჭარავას მოხსენება საბჭოთა არჩევნებში ქალთა მონაწილეობის შესახებ.

კამათში გამოსული ქალები აღუთქვამდნენ მშრომელ ქალთა დარაზმვას არჩევნების ირგვლივ და აქტიურ მონაწილეობას. ამასთან აღნიშნავდნენ ლოთობის გავრცელებას მამაკაცებში, ზოგიერთი დელეგატი ქალები მოითხოვდნენ ლოთობასთან მებრძოლი საზოგადოების დაარსებას სენაკის მაზრაში და გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება ლოთებთან და ლოთობასთან.

მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ დელეგატი ქალები ადგილებზე აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში და ფართოდ ჩააბამენ ქალებს საანგარიშო და საარჩევნო კრებებში.

დასასრულ მოსმენილ იქნა აგრონომ ამხ. ჭანტურიას მოხსენება კოლექტიური მეურნეობების შესახებ და სათანადო რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენცია დამთავრდა.

ბ. უჩანეიშვილი.

ა. კ. პროფსაბჭოში

ამიერ-კავკასიის საორგანიზაციო თათბირი

ა. კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეული იქნეს 20 იანვრისათვის ამიერ-კავკასიის პროფკავშირების საორგანიზაციო თათბირი შემდეგი დღის წესრიგით:

ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალების სექციის ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები: მასიური მუშაობის შემოწმების შედეგები ერთიერთ დამხმარე სალაროების შესახებ; ა. კ. პროფსაბჭოს და რესპუბლიკანური პროფსაბჭოების საგამოკვლევო მუშაობის გეგმების შეთანხმება; პროფმუშაკების შემადგენლობის შესახებ; არჩეულ მუშაკთა—დაწინაურებულების ხელფასის შესახებ.

ა. კ. პროფსაბჭოს პლენუმი

ა. კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ა. კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მეორე პლენუმი მოწვეული იქნეს მარტის პირველ ნახევარში თბილისში.

დამტკიცებულია პლენუმის შემდეგი დღის წესრიგი: ა. კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ანგარიში; ა. კ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა; პროფკავშირების მუშაობა სოფლად; კოლხელშეკრულებების დადების კამპანიის შედეგები; წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ; 1928—29 წლის საკურორტო კამპანიის შესახებ.

ქაღალდის მომჭირნეობა

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს, ამიერ-კავკასიის რკინის გზების პროფსაბჭოს და ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველოს მსხვილ დაწესებულებათა ეკონომიურ თათბირებს—დღის წესრიგში დასვან ქაღალდის მომჭირნეობის განხორციელების საკითხი.

თათბირის გადადება

ამიერ-კავკასიის თათბირი ფიზკულტურის საკითხების შესახებ რომელიც დანიშნული იყო 11 იანვარს, სხვა დროისთვის გადაიდო.

გლეხთა სახლის მუშაობა

1928 წლის განმავლობაში

1928 წლის განმავლობაში გლეხთა სახლში გაუვლია სულ 16456 კაცს, რომელთაგან ულარიბესი გლეხები შეადგენენ 22,3 პროც., საშუალო 24.2 პროც., პროფკავშირის წევრები 9,6 პროც., დელეგატები და სხვ. 43,9 პროც.

ეროვნულ შემადგენლობის მხრივ სურათი ასეთია: ქართველები 12261 (74,5 პროც.), რუსები 1687 (10,2 პროც.), სომხები 1152 (7 პროც.), თათარი 796 (4,8 პროც.), სხვა ეროვნების 560 (3.5 პროც.). ამ ხნის განმავლობაში გლეხთა სასახლეს გაუწევია ჩამოსულ გლეხებისათვის შემდეგი სახის დახმარება: გაუცია 3287 უფასო სადილი, 105 სადილი შეღავათიან ფასებში (50 პროცენტის დაკლებით), აღმოუჩენია ამბულატორიული დახმარება 1335 კაცისთვის, გადაუგზავნია საექიმოდ საავადმყოფოში 361 კაცი; აღმოუჩინა იურიდიული დახმარება 625-ს, ღამე გაუთევია უფასოდ 7201 კაცს და გარდა ამისა აღძრა შუამდგომლობა სხვადასხვა დაწესებულებების წინაშე სხვადასხვა დახმარების აღმოჩენის შესახებ 140 კაცს.

ამასთან ერთად გლეხთა სახლი აწარმოებდა ჩამოსულ გლეხთა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, რაც გამოიხატა შემდეგში: წლის განმავლობაში ჩატარებულია 184 ლექცია-მოხსენება, ნაჩვენები იქნა კინო-სურათი ახსნა-განმარტებით 123-ჯერ, მოწყობილია 2 ექსკურსია, გამართულია 7 წარმოდგენა, დარიგებულია უფასოდ 6686 ბროშურა. ლექციებზე, კინო-სურათებზე, რადიოკონცერტებზე, წარმოდგენებზე და სხვ. გატარდა 70700 კაცი. ერთი წლის განმავლობაში ბაკში გაუვლია 10375 ურემს და 29403 ოთხფეხა საქონელს.

მინერალური წყაროები საქართველოში

საქართველოს ჯანსახკომი ფართოდ იკვლევს იმ მინერალურ წყაროებს, რომლებიც დღემდე შეუსწავლელია, მაგრამ ცნობილი ადგილობრივ მოსახლეობაში.

ჯანსახკომის ქიმიურ ლაბორატორიას აქვს 336 ნიმუში მინერალური წყლებისა, რომელიც წყაროები 170 ადგილასაა, უმთავრესად დასავლეთ საქართველოში.

უკვე გამოკვლეული წყაროებიდან თავისი ქიმიური შემადგენლობით და სამკურნალო თვისებებით ყველაზე მეტად ირჩევა ეგრედ წოდებული „კობის ნარზანი", რომელიც თავისი შემადგენლობით ცნობილ „ნარზანზე" უფრო მაღლა სდგას.

ეს წყაროები იმდენ წყალს იძლევიან, რომ შეიძლება 8 წისქვილის ამუშავება.

ალაზნის ველზე (კახეთი) აღმოჩენილ იქნა მწარე წყალი, რომელიც ცნობილ „ფრანც იოსეფის" წყალს არ ჩამოუვარდება.

სენაკის მაზრის სოფელ [illegible] აღმოაჩინეს წყლის წყაროები, რომლებიც შეიცავენ დიდძალ გოგირდ-წყალბადს.

ხევსურეთში არის ისეთი წყაროები, რომლებიც გოგირდს, ტუტეს და კირს შეიცავენ.

ყველა ამ წყაროში წყლის დებეტი იმდენად დიდია, რომ სავსებით შესაძლებელია მათი ფართო ექსპლოატაცია. (ადს).

მუშკორზე თავდამსხმელთა გასამართლება

პროცესის მეორე დღე

(წინასწარი მოკლე ანგარიში)

პროცესის მეორე სხდომაზე, რომელიც გაიხსნა საღამოს 8 საათზე და 20 წუთზე მელითონეთა კლუბში, სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას.

პირველად დაკითხულ იქნა ბრალდებული არქიპო ბახტაძე, რომელიც ურცხვად აცხადებს, რომ მან არც კი იცოდა, ვაჩეიშვილი მუშკორი იყო თუ არა. და არც იყო დარწმუნებული, რომ რედაქციაში გაგზავნილი წერილი მას ეკუთვნოდა. ამავე დროს, წინასწარ ჩვენებაში ბახტაძე აცხადებს ამის წინააღმდეგს. მე კიდეც რომ დავრწმუნებულიყავ ვაჩეიშვილის ავტორობაში და სამაგიეროს გადახდა განმეზრახა, ამ შურისძიებას ვერ მივანდობდი ჩემს დეიდაშვილს ბრეგაძეს, რომელიც ჩემთან მომდურავათ იყო. ნამდვილად კი ბრალდებულთა დაკითხვების დროს ირკვევა, რომ ბრეგაძე და ბახტაძე ახლო ამხანაგურ და ნათესავურ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან.

მეორე ბრალდებული ბრეგაძეც, რომელიც დაკითხულ იქნა ამავე სხდომაზე, — ცდილობს დამტკიცოს, რომ მისი ვაჩეიშვილთან შეტაკება მოხდა არა წინასწარი განზრახვით, არა ბახტაძის წაქეზებით და დავალებით, არამედ შემთხვევით. ჩვენების დროს იგი მრავალჯერ ვარდება წინააღმდეგობაში. ვაჩეიშვილის საქციელმა, რომლის შესახებ მან თითქოს შემთხვევით გაიგო, იგი იმდენად აღაშფოთა, რომ წავიდა ვაჩეიშვილთან მხოლოდ იმის გამოსაკვლევად (?) თუ რა დაუშავა მას ბახტაძემ ისეთი რომ მან ამნაირი წერილი გაგზავნა მის წინააღმდეგ? თითქოს ვაჩეიშვილსა და ბრეგაძეს შორის ადგილი ჰქონდა ჩვეულებრივ დამშვიდებულ ლაპარაკს და სხვა არაფერი.

ბრალმდებლები ხშირად იჭერდნენ ბრეგაძესა და ბახტაძეს წინააღმდეგობაში ჩვენების მიცემის დროს. ირკვევა მრავალი ფაქტები მათი საეჭვო, სისხლის სამართლის ხასიათის წარსულის დასახასიათებლად.

სასამართლოს სხდომამ გასტანა დაახლოვებით ნაშუაღამევის 1 ნახ. საათამდე.

დაწვრილებითი ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში.



ბრალდებულნი მარცხნიდან მარჯვნით: ივ. ბრეგაძე, არქ. ბახტაძე და ის. ლეიბმანი.

დიდი ხანძარი თელავში

დაწვრილებითი ცნობები ხანძრის შესახებ

(ჩვენი თელაველი კორესპონდენტისაგან)

9 იანვარს დილით მთლად გადაიწვა თელავის საავადმყოფოს ორსართულიანი შენობა; რომელიც შესდგებოდა 18 ოთახისაგან. ამ შენობაში წინედ მოთავსებული იყო სამაზრო აღმასკომი. სამაზრო ცენტრის გურჯაანში გადატანის გამო, ეს შენობა, როგორც ფართე და საუკეთესო, დაეთმო საავადმყოფოს.

9 იანვარს დილით საავადმყოფოში ჩვეულებრივი მუშაობა მიდინარეობდა. სადოსტაქრო განყოფილებაში რთული ოპერაციის გათავების შემდეგ დაახლოებით პირველ საათზე, თანამშრომელმა ქალმა კვამლის სუნი იგრძნო და შენიშნა, რომ კვამლი ჭერიდან მოდიოდა. მან ეს ამბავი მაშინვე აცნობა საავადმყოფოს გამგეს. მოცვივდნენ თანამშრომლები და დაინახეს, რომ ჭერს ეკიდებოდა ცეცხლი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

ცეცხლის გაჩენის შესახებ მაშინვე აცნობეს მილიციას, თემ-აღმასკომს, № ცხენოსანთა პოლკს და ტერ-ნაწილებს. პირველ რიგში საჭირო იყო ავადმყოფების გადარჩენა და უნდა ითქვას, საავადმყოფოს გამგე ექ. ბაღდოშვილის და დოქტორ დანილოვის მეცადინეობით და თანამშრომელთა დახმარებით ყველა ავადმყოფები უვნებლად იქნენ გადაყვანილი შვიდწლედის შენობაში.

მალე გამოცხადდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ჯარის ნაწილები და ადგილობრივ სახანძრო რაზმთან ერთად თავგამოდებით შეებრძოლნენ გაძლიერებულ ცეცხლს მაგრამ სამწუხაროდ წყლის ნაკლებობა და ძლიერი ქარი, რომელიც სწორედ ცეცხლის გაჩენის დროს ამოვარდა, ხელს უშლიდა ცეცხლის ქრობას..

ხანძარი ერთ ხანად ისე გაძლიერდა რომ ემუქრებოდა ახლო მდებარე შენობებს, შვიდწლედის შენობის ფანჯარას მიეკიდა ცეცხლი, მაგრამ მალე ჩააქრეს, მახლობელი სახლები დაცალეს. არავინ იცოდა რა განსაცდელს უმზადებდა გამძვინვარებული სტიქიონი, რომელიც ძლიერდებოდა ქარის გამო.

მშრომელი მასა შეუპოვრად შემოერტყა რკალივით ხანძარს და თუ საავადმყოფოს გადარჩენა შეუძლებელი გახდა, სამაგიეროდ გადაარჩინეს მახლობელი შენობები.

გურჯაანიდან სახანძრო რაზმთან ერთად ჩამოვიდა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. აფციაური და მაზრის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

საღამოთი ცეცხლი უკვე აღარ წარმოადგენდა საშიშროებას.

მეორე დღეს დილით ადრე თბილისიდან ჩამოვიდა სახანძრო რაზმი.

ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის მაგრამ როგორც ირკვევა ცეცხლი გაჩენილა საკვამლე მილიდან და მის განვითარებას ხელი შეუწყო ძლიერმა ქარმა.

როგორც აღვნიშნეთ ავადმყოფები უვნებლად გადაიყვანეს სკოლის შენობაში. საავადმყოფოს ქონება გადაარჩინეს,—თუმცა ბევრი დაიმტვრა და გაფუჭდა შენობა და ქონება დაზღვეულია.

მან—ლი.

მოწამეთის კირის ქარხანა

ქუთაისი, 10 იანვარი. ახლო მომავალში დასრულდება მოწამეთის კირის ქარხნის აგება (ქუთაისიდან 5 ვერსის მანძილზე). ქარხანა მუშაობას დაიწყებს მიმდინარე წლის 1-ლ თებერვლამდე. ქარხანას აქვს ორი ღუმელი, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში 47 ტონამდე კირს დასწვავენ. როცა წარმოება გაფართოვდება, გაიმართება მესამე ღუმელიც.

ქარხანაში განხორციელებულია ისეთი ოპერაციების სრული მექანიზაცია, როგორიც არის: ღუმელში ნედლი მასალის ჩაწყობა, ღუმელიდან კირის ამოღება და ვაგონების დატვირთვაც კი. ყოველწლიურად უნდა დამზადდეს 13.000 ტონამდე კირი. ნედლი მასალით ქარხანა უზრუნველყოფილია ერთი წლის განმავლობაში. ქარხანაში 100-მდე მუშა-მოსამსახურე იქნება. (ადს).

გორის საკონსერვო ფაბრიკას გამოეცხადა საყვედური

საქართველოს საექსპორტო თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება გორის საკონსერვო ფაბრიკის მუშაობის შესახებ. გორის საკონსერვო ფაბრიკას გასულ წელს დავალებული ჰქონდა დაემზადებია საექსპორტოთ 100 ტონა ხილის კონსერვი და 50 ტონა ვაშლის ჩირი. ფაბრიკამ დავალება არ შეასრულა არც რაოდენობის და არც ხარისხის მხრივ; კონსერვები დამზადებულია მხოლოდ 70 ტონა და ვაშლის ჩირი მხოლოდ 14 ტონა. საქონლის მთელი დამზადებული რაოდენობა; ერთსა და იმავე კოლოფში აღმოჩნდა მხოლოდ 2 ვაგონი კონსერვი და 6,5 ტონა ვაშლის ჩირი. ამ საქონლის დამზადების დროს დარღვეული აღმოჩნდა სტანდარტის მთელი რიგი პირობები: კონსერვის კოლოფებში ჩაწყობილი იყო ხილის არა ერთნაირი რაოდენობა; ერთსა და იმავე კოლოფში აღმოჩნდა როგორც ძალზე დამწიფებული ისე მწიფე და უმწიფარი ხილი; ამასთანავე კონსერვებათ გაკეთებული ხილი არ იყო გაწმენდილი სათანადოთ. მთელი დამზადებული ვაშლის ჩირიდან 25 პროცენტი არ იყო საკმაოდ გაწმენდილი.

საქართველოს საექსპორტო თათბირმა განიხილა ეს საკითხი და დაადგინა საყვედური გამოეცხადოს საკონსერვო ფაბრიკის გამგეს ამხ. კალანდარიშვილს და სპეციალისტ ვერიტაშვილს, რომლებსაც დაკისრებული ჰქონდათ პასუხისმგებლობა საექსპორტო საქონლის დამზადებისათვის.

ამასთანავე საქართველოს საექსპორტო თათბირმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გორის საკონსერვო ფაბრიკის ფინანსიური მდგომარეობის მოწესრიგება. ფაბრიკის უზრუნველყოფა ნედლეულით და ნედლეულზე კონტრაქტაციის ჩატარების საკითხის დამუშავება. კომისიაში არჩეული არიან ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები.

ჭიათურა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შრომის დაცვის დეფექტები

კონცესიონერის დროს ჭიათურის წარმოებაში ადგილი ჰქონდა შრომის კანონების დარღვევის მრავალ ფაქტს. ამის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდნენ შრომის დაცვის ორგანოები, მაგრამ ეს ბრძოლა იმდენად სისტემატიური და ენერგიული არ იყო. შრომის ინსპექტორებს ბევრჯერ არ ჰქონდათ შეძლება თვალ-ყური ედევნებიათ შრომის კანონების დარღვევისათვის.

ჭიათურის მაღაროების ტრესტის ხელში გადმოსვლის შემდეგ სურათი სრულებით შეიცვალა, მაგრამ ეხლაც არის შეცდომები, რაც გამოიხატება იმაში, რომ მუშებს თავის დროზე არ ეძლევათ სპეც-ტანსაცმელი მიუხედავად იმისა, რომ ტრესტს საკმაოდ მოეპოვება ასეთი.

დაუდევრობას აქვს ადგილი საანგარიშო წიგნაკების გაცემის დროსაც, რითაც ხშირად ჭიანურდება ნაცდური (ნაავადმყოფარი) დღეების ფულის მიღება დამზღვევ სალაროდან, სადაც აუცილებელია საანგარიშო წიგნაკის წარდგენა. შრომის ინსპექტორი სისტემატიურად ათვალიერებს ქარხანა მაღაროებს და არკვევს მუშების მდგომარეობას, შემჩნეულ დეფექტების ირგვლივ ინსპექტორი იძლევა წერილობით წინადადებას დეფექტის დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის. ინსპექტორის წინადადებები თითქმის ყოველთვის სრულდება.

უბედური შემთხვევების რიცხვი შედარებით კონცესიონერის დროსთან ძალზე მცირეა. მაგალითად, შავი ქვის ტრესტის მოქმედების შემდეგ ყოველ თვიურად არის 15 უბედური შემთხვევის მაგალითი ხოლო კონცესიონერის დროს ყოველ თვიურად იყო საშუალოდ 25 შემთხვევა. შრომის ინსპექციის ცნობით დღევანდელი უბედური შემთხვევების რიცხვი კიდევ უფრო მცირე უნდა იყოს, მაგრამ არსებული მდგომარეობა გამოწვეულია ძველ მაღაროებში რემონტის მიმდინარეობით.

ჭიათურაში მუშათა საცხოვრებელი ბინები არ არის საკმაო რაოდენობით. საბინაო კრიზისის შენელების მიზნით ტრესტი ახდენს მუშების ერთი სამუშაოდან მეორეზე გადაჯგუფებას, რათა მუშები მოხვდენ ისეთ ადგილას, რომ შეეძლოთ ღამის გათევა საკუთარ სახლში.

ტრესტს განზრახული აქვს ახალი მუშათა ბინების აგება. სწარმოებს აგრეთვე მუშათა საცხოვრებელ ბინების რემონტი. ეს ბინები უმთავრესად გამოყენებული იქნება შორიდან ჩამოსული მუშებისათვის.

ქ. ღვალაძე.

ჭიათურის ქრონიკა

ახალი მუშათა სახლი

ჭიათურის საბინაო საამშენებლო კოოპერატიულმა ამხანაგობამ დაამთავრა ერთი ახალი მუშათა სახლი, რომელიც შეიცავს 18 ოთახს, 4 ბინით. ამ დღეებში სახლში ჩასახლებული იქნება 4 ოჯახი.

ფართალი ჭიათურისათვის

ჭიათურის მუშათა კოოპერატივმა 4 იანვარს მიიღო ნახევარი ვაგონი ფართალი და 7.000 მანეთის შალეულობა. შალეულობა განაწილებულ იქნა მუშებს შორის.

სიმინდი

ჭიათურის მუშათა კოოპერატივი ამ დღეებში მიიღებს სამ ვაგონ სიმინდს.

მუშკოოპმა თავის თავზე მიიღო ვალდებულება ქალაქის დასაკმაყოფილებლად საჭირო ფურაჟისათვის.

ახალი სავაჭრო განყოფილებები

ჭიათურის მუშკოოპმა ქარხანა მაღაროებთან გახსნა 10 პურის საცხობი და 6 მანუფაქტურის განყოფილება.

არქეოლოგიური აღმოჩენა

ამ რამდენიმე დღის წინად საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში ჩამოიტანეს ორი ოქროს ფული, ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი და ძეწკვი. ეს ნივთები იპოვეს სოფელ ალიანში (გორის მაზრა) გლეხებმა საძირკველის თხრის დროს.

ფული და ოქროს სამკაული გლეხებმა იპოვეს თიხის კუბოში.

როგორც მუზეუმის სპეციალისტებმა გამოარკვიეს ფული და ოქროს სამკაული ეკუთვნის მე-4 საუკუნეს ქრისტეს შემდეგ, ე. ი. საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის ხანას. ერთ ფულზე გამოხატულია ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე და ზედ წარწერილია ლათინური ასოებით: „მთელი კაცობრიობის მძლეველი".

ვინაიდან ნაპოვნი ნივთები დიდ სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენენ, საქართველოს მუზეუმს განზრახული აქვს ახლო მომავალში გათხაროს და დაწვრილებით გამოიკვლიოს სამარხი. ნაპოვნი ფული საშუალებას იძლევა დადგენილ იქნას თიხის კუბოების შემოღების თარიღი, რაც დღემდი გამოურკვეველი იყო. როგორც ირკვევა, თიხის კუბოები საქართველოში შემოუღიათ ქრისტიანობის შემოსვლის დროს.

მეაბრეშუმეობა აჭარისტანში

გასულ წელს აბრეშუმის მოსავალი აჭარისტანში უდრიდა 20.600 კილოგრამს, აქედან 11.200 კილოგრამი ჩაბარდა დამამზადებელ პუნქტებს. დანარჩენი რაოდენობა დარჩა მეაბრეშუმეებთან კუსტარული წესით გადასამუშავებლად.

იმ მიზნით, რომ მოსახლეობა გაეცნოს მეაბრეშუმეობის რაციონალურად გაძღოლის წესებს აჭარისტანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი წელს მაზრებში გაგზავნის თითო ინსტრუქტორს.

მეაბრეშუმეობის თუთის ხეებით მომარაგების მიზნით, წელს „საქართველოს აბრეშუმის" ჭოპორტის სანერგიდან გაგზავნილი იქნება 20.000 ც. ნერგი. ნერგების გაცემა შემდეგ წლებში გაძლიერებული იქნება. აბრეშუმის პარკის ჩაბარების გასაადვილებლად მომავალ სეზონში დამამზადებელი პუნქტები გახსნილი იქნება ქედაში და აჭარის-წყალში.

ფორთოხლის მოსავალი

წელს ფორთოხლის მოსავალი აჭარისტანში ძალიან კარგია; წლევანდელი მოსავალი თვალსაჩინოდ აღემატება უკანასკნელი ათი წლის მოსავალს როგორც ღირსების, ისე ასორტიმენტის მხრივ. წელს ფორთოხლის მოსავალი არ დაუზიანებია სიცივეს და ავადმყოფობას.

კარგი მოსავალია აგრეთვე რიზეში და ტრაპეზუნდში (თურქეთი). ამ დღეებში ამ რაიონებიდან ბათომში ჩამოტანილი იქნება ფორთოხლის დიდი პარტია. ფასები დაწესებული იქნება დაახლოვებით 50—75 მანეთამდე 1.000 ცალი.

ქრონიკა

გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე

ამიერ-კავკასიის მთავრობის კომისიამ საბოლოოდ შეიმუშავა იმ საწარმოოთა სია, რომელნიც ამიერ-კავკასიის ფედერაციაში 1928—29 წელს გადაყვანილ უნდა იქნან შვიდი საათის სამუშაო დღეზე.

სულ მიმდინარე წელს შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იქნება 16.356 მუშა, ე. ი. ამიერ-კავკასიის მუშათა საერთო რიცხვის 21 პროცენტი.

აზერბეიჯანში 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იქნება 13.873 მუშა (28,5 პროც.); საქართველოში 1.802 მუშა (7,8 პროც.) და სომხეთში 680 მუშა (10,9 პროცენტი). (ადს).

ცნობები სესხებისა და მოგებათა შესახებ

სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის სოლო-კონტორამ შემოიღო სახელმწიფო სესხებისა და მოგებათა შესახებ ფოსტით ცნობების გაცემა. ცნობების მისაღებად შეკითხვები უნდა გაეგზავნონ ადგილობრივმა და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა წერილობით, რომელშიაც უნდა აღნიშნონ ობლიგაციების ნომრები და სერიები.

ამ მიზნით მსხვილ საწარმოო ერთეულებზე მიმაგრებული იქნებიან სახელმწიფო ბანკის თანამშრომლები.

სას. სამ. გადასახადი

ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობით, 1 იანვრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში შეგროვებული იყო 7.507.310 მან. აქედან აზერბეიჯანში შეკრებილი იყო 4.106.570 მან., საქართველოში—1.922.349 მან. და სომხეთში—1.478.985 მან. სავადასახადო დავალება შესრულებულია საქართველოში 64 პროცენტით, აზერბეიჯანში—98.6 პროცენტით და სომხეთში 91,2 პროცენტით.

ბრძოლა უმუშევრობასთან

უმუშევართა ფონდის გასაძლიერებლად საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა შრომის ბირჟას გადასცა 35.700 მან. ეს თანხა შემდეგნაირად არის განაწილებული: საზოგადოებრივ სამუშაოებისათვის—8.000 მან., უმუშევართა შრომის კოლექტივებისათვის—10.000 მან., უმუშევართა გადასამზადებლად—15.000 მან., ექსპერტიზისათვის—2.000 მან. უმუშევართა გადასაგზავნად—700 მან.

სასოფ.-სამ. ბანკების და საკრედიტო ამხანაგობების თათბირი

კვირას, 13 იანვარს, ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკთან მოწვეულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების და საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს: გასაზოგადოებულ სექტორისა და ღარიბ მეურნეობათათვის კრედიტების მიწოდება, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემაში, მოსახლეობის და თანხების მოზიდვა, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სისტემის 1928—29 წლის საკრედიტო გეგმა. საორგანიზაციო საკითხები და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის ცალკე საფეხურთა შორის ოპერატიულ-ფინანსიური ურთიერთ დამოკიდებულება.

თათბირი ამიერ-კავკასიის სტატისტიკურ სამმართველოში

10 იანვარს ამიერ-კავკასიის სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოში გაიხსნა ამიერ-კავკასიის თათბირი სამრეწველო სტატისტიკის საკითხების შესახებ. თათბირზე გაირჩევა 1927—28 წლის მრეწველობის გამოკვლევის მასალა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკების სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოებისა და ს. მ. უ. საბჭოების წარმომადგენლები. სხვა საკითხებს შორის თათბირს განზრახული აქვს მსხვილ სამრეწველო წამოწყებათა ახალი მშენებლობის გამოკვლევა.

თათბირის დღეს დამთავრდება.

თბილისის აღმასკომში

◆ ტრამვაის ახალი ხაზების გასაყვანად თბილისის აღმასკომმა გადასდო 87.000 მ.

◆ აგრონომიული რაიონები. თბილისის აღმასკომმა საადგილ-მამულო განყოფილებას დაავალა თბილისის მაზრა დაყოს აგრონომიულ რაიონებად ძირითად სასოფლო-მეურნეობის მიხედვით.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში

◆ მევენახეობის კურსები. სოფ. ანაგაში (კახეთის მაზრა) გაიხსნა მევენახეობის კურსები, რომელზედაც ირიცხება 30 გლეხი.

◆ ახალი ვენახების გასაშენებლად მიწსახკომმა კახეთის მაზრაში გამოყო 100 ჰექტარი მიწა.

სხვადასხვა

◆ ქუთაისის აბრეშუმის ძაფის სართავი ქარხანა ამოქმედებული იქნება 15 იანვარს.

◆ „ფიზკულტურა და თავდაცვა“. გამოვიდა ჟურ. „ფიზკულტურა და თავდაცვა“-ს № 3—4.

◆ განათლების მუშაკთა სახლში დღეს, 12 იანვარს, საღ. 8 ს. მელიქ-ფაშაევი წაიკითხავს მოხსენებას: „მომავლის ადამიანი“.

◆ „საზოგადოებათა მეცნიერება“. რედაქციამ მიიღო პროფ. ტარასოვის წიგნი „საზოგადოებათა მეცნიერება ქართულ ენაზე“.

◆ ტრესტების წარმომადგენელთა თათბირი. დღეს, შუადღის 12 საათისათვის, ს. მ. უ. ს. საწარმოო საგეგმო განყოფილებაში მოწვეულია ს. მ. უ. ს. ყველა ტრესტებისა და ცალკე წარმოებების კომერციულ განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში სდგას საკითხი მრეწველობის შინაგან რესურსების მობილიზაციის შესახებ.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ბათომიდან—ავეტისიანცს, ფოთიდან—რომანოვისას, წინანდალიდან — კოლოდატკინს, ერევნიდან—გრიგორიანს, ბორჯომიდან—ვაშაკიძეს, მახაჩკალიდან—ტერ-ოვანესოვს, ლაგოდეხიდან—ლევინეროვს.

ახალი წიგნები

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა: 1) „გლეხი ქალი კოლმეურნეობაში“ ელენე კრავჩენკოს (თარგმანი), 2) „კოლმეურნეობათა მშენებლობა და მისი ამოცანები“—ვლ. ცაგარელის (საბჭოთა არჩევნებისათვის) და 3) „კოლმეურნეობების ორგანიზატორ კომკავშირელის თანამგზავრი“—ვ. დიაკოვის (თარგმანი).

ამინდი საქართველოში

უკანასკნელ 3—4 დღის განმავლობაში ამინდი საქართველოში გაუარესდა. 6 იანვრამდე უმეტესად მოწმენდილი და მშრალი დარები იდგა მხოლოდ ღამით 6—7 იანვარს დასავლეთ საქართველოში დაეტყო ტემპერატურის დაწევა და დილით 7 იანვარს მთელს საქართველოში დაიწყო წვიმა და თოვა. იმავე დღეს დასავლეთ საქართველოში გაძლიერდა ზღვის ქარი.

8 იანვარს წვიმა და თოვა გრძელდებოდა. დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის ნაპირებზე, ადგილი ჰქონდა ტემპერატურის საგრძნობ დაცემას. დილის 7 საათისათვის ტემპერატურა დაეცა მინუს 7 გრადუსით. 9 იანვარს, შუადღისას გაძლიერდა ქარი. მისი ძალა ფოთში 8 ბალს აღწევდა, ხოლო ჩაქვში 9 ბალს მიაღწია. ამ დღეს მთელს საქართველოში ადგილი ჰქონდა თოვას და ქარბუქს.

10 იანვარს ქარმა შესუსტება იწყო და საღამოსათვის უკვე შესწყდა. 11 იანვარს ღამით მთელ საქართველოში თოვდა. თბილისში ტემპერატურა მინუს 6 გრადუსს უდრიდა.

რკინის გზებზე

ა.-კ. რკინის გზების სამმართველოში მიღებული ცნობით, ქარბუქი გზის დასავლეთ უბანზე შესწყდა. 10 იანვარს სურამის ქედზე და ბათომ-ფოთის უბანზე მოდიოდა ძლიერი თოვლი და ქროდა სუსტი ქარი.

სამტრედიიდან გაგზავნეს თოვლმწმენდი, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობს გზის გაწმენდაზე.

ყველა მატარებლები იგვიანებენ. აღმოსავლეთ უბანზე ქარბუქი მძვინვარებდა: ფუთაში, ციბატში, ხურდალანში და ბალაჯარში. თოვლი ფარავდა ისრებს და სადგურის ხაზებს.

11 იანვარს, დილით ქარბუქი მიწყნარდა.

თოვლი ფოთში

ფოთი, 11 იანვარი. ქალაქში დიდი თოვლი მოვიდა, თოვლი კვლავ მოდის. (ადს).

საზამთრო არდადეგები

შრომის სკოლებსა და პროფტექნიკურ განათლების სკოლებში

განათლების კომისარიატის ცნობით, საზამთრო არდადეგები ყველა შრომის სკოლებში, სასოფლო-სამეურნეო და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში, პროფტექნიკურ განათლების სკოლებში დაიწყება 24 იანვრიდან. სწავლა განახლდება 7 თებერვალს.

ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საზამთრო არდადეგები გამოცხადებულია 1-ლ თებერვლიდან 15 თებერვლამდე, ხოლო 15 თებერვლიდან 1 მარტამდე დანიშნულია საგამოცდო სესიები. 1 მარტს დაიწყება ნორმალური მეცადინეობა.

მუშფაკებში

მუშფაკებში საზამთრო არდადეგები დაიწყება იანვრის 20-დან.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტში საზამთრო არდადეგები დაიწყო 1-ლ იანვრიდან და გასტანს 1-ლ თებერვლამდე, ხოლო 15 იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე დანიშნულია საზამთრო საგამოცდო სესიები.

სახ. კონსერვატორიაში

სახ. კონსერვატორიაში საზამთრო საგამოცდო სესიები დანიშნულია 25 იანვრიდან და გასტანს 1 თებერვლამდე. 15 იანვრიდან 25 იანვრამდე იწარმოებს სტუდენტთა ხელახალი რეგისტრაცია, რისთვისაც ყველა სტუდენტი მოვალეა 25 იანვრამდე წარადგინოს საბუთები პროფესიის, სამსახურის, კავშირის წევრობის, პარტიულობის და სოციალური მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე საბუთი იმის შესახებ, თუ ვის კმაყოფაზე იმყოფება.

არდადეგების გამო თბილისიდან წასულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ საბუთები წარადგინონ 1-დან 5 თებერვლამდე.

ვინც აღნიშნულ ვადებში არ წარადგენს საბუთებს, იგი ჩაითვლება კონსერვატორიიდან მექანიკურად გამორიცხულად.

ხელოვნება

„ჰაიარტუნის“ სურათების გამოფენა

ჩვენ იმდენად პასუხსაგებ დროში ვცხოვრობთ, რომ თვით დიდ ოსტატებსაც ვერ ვაპატიებთ „ესთეტიური მზერით“ შემოფარგვლას.

ჩვენს დროში ყველაფერი უნდა დაიწყოს შინაარსიდან. მხატვრის უპირველესი ამოცანაა დაეხმაროს თანამედროვეობას რევოლიუციონური შეგნების განმტკიცებაში.

ჩვენი ეპოქისათვის მიუღებელია ყოველი მხატვრობა და მხატვარი, რომელიც არ არღვევს ჩაკეტილ ყოფის ინდივიდუალურ წარმოდგენას, არ უწყობს ხელს ადამიანის კოლექტიურ შეგნებაზე დაფუძნებას და გაურბის პროლეტარიატის კლასიურ შეგნების ასახვას.

თუ ამ გამოფენაზე წარმოდგენილ ისტორიულ და ეტნოგრაფიულ მნიშვნელობის კარგად დამუშავებულ სურათებს გამოვაკლებთ, დაგვრჩება ისეთი სურათები, რომლებიც თავისი შინაარსით არ განსხვავდებიან ამ ცხრა და ათი წლების წინად გამართულ გამოფენებისაგან. იგივე „ეტიუდები“, „ნატიურ-მორტები“, „პორტრეტები“ და შემთხვევითი კუთხეები „ლამაზ ბუნებიდან“.

ზოგიერთი მათგანი ოსტატურად არის შესრულებული. ფერებით და ხაზით დამთავრებული.

მხოლოდ, თუ მაყურებელი მოინდომებს აარიდოს თვალი ამ უამრავ და ბურჟუაზიულ ინდივიდუალურ განცხრომისათვის შექმნილ პეიზაჟებს,—ვერ „დაიჭერს“ ვერც ერთ სურათს თანამედროვე სოციალური ფუნქციით.

„მომავალი თბილისის“ სურათებთან ერთად საბჭოთა ახალი მოქალაქე გრძნობს, რომ ამ სურათების უმრავლესობაც მიმავალია ძველ ეპოქასთან ერთად და ჩვენი დროისათვის გამოუსადეგარი.

ბ. ბ.

ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამაში

—შაბათს, 12-ს და კვირას 13 იანვარს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში მიდის მორიგი მეხუთე პრემიერა „ლიანდაგი გუგუნებს“ დადგმა ვახ. აბაშიძის, მხატვარი ელ. ახვლედიანი. მთავარ როლებში: შ. ღამბაშიძე (ვასილი), შ. გომელაური (ტელისფორი), ი. ზარდალიშვილი (პაველ პავლოვიჩ) მაღლაკელიძე (ზახარ ზახარიჩ), ალ. ჟორჟოლიანი და ხონელი (პარშინი), ს. ჭელიძე (ჩეჩოტკინ) მასწავლებელი), ხ. ჭიჭინაძე, ან. ქიქოძე და სხვები.

— შემდეგ პრემიერა იქნება „ურიელ აკოსტა“, რომელშიაც მთავარი როლებს ასრულებენ: უშანგი ჩხეიძე (ურიელი) ვ. ანჯაფარიძე (ივდითი). ა. იმედაშვილი (ტესანტოს), ჟორჟოლიანი (ბენ-აკიბა). შ. ღამბაშიძე და კოსტავა (დე-სილვა). გომელაური და ზარდალიშვილი (ვანდის ელდენ).

— „ურიელ აკოსტა“-ს გარდა მზადდება დასადგმელად „მაკბეტი“ (მაკბეტი—ა. იმედაშვილი) და ორი ახალი ორიგინალური პიესა „როგორ“—კარლო კალაძის და „ყვარყვარე თუთაბერი“—პოლ. კაკაბაძის კომედია თანამედროვე ცხოვრებიდან. კ. კალაძის პიესა წავა კ. მარჯანიშვილის დადგმით.

— თეატრის სეზონი დამთავრდება 31 მარტს. უკანასკნელ წარმოდგენად წავა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. რომლითაც გაიხსნა თეატრის 1928—29 წლის სეზონი. 3 აპრილიდან თეატრი გასტროლებს ჩაატარებს თბილისში—სახელ. ოპერის თეატრში. თბილისში გასტროლები გასტანს ერთი თვე. ამ ხნის განმავლობაში დადგმული იქნება 24 წარმოდგენა.

— თეატრმა შეადგინა მოსკოვში გასტროლების ჩატარების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დასამტკიცებლად გაეგზავნა ხელოვნებათა მეცნიერების აკადემიას. გასტროლებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს კისრულობს აკადემია.

ხელოვნების ქრონიკა

მოხსენება ჰომიროსის პოემების შესახებ

დღეს, 12 იანვარს, საღამოს 8 ს. ხელოვნების სასახლეში სრ. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საჯარო სხდომაზე პეტრე მირიანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „რა მიზეზით არ ყოფილა თარგმნილი კლასიკურ პერიოდში ჰომიროსის პოემები—ილიადა და ოდისეა. მსგავსება ელინ-ტროელთა და ფშავ-ხევსურთა ზნე-ჩვეულებებს შორის“. შესვლა თავისუფალია.

◆ კონსერვატორიის დარბაზში ავადმყოფი მსახიობ ელო ანდრონიკაშვილის სასარგებლოდ კვირას, 13 იანვარს გაიმართება დიდი კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

◆ ხელოვანთა სასახლეში დღეს, 12 ს. „ნარუბეჟე ვოსტოკა“-ს რედაქცია გააკეთებს მოხსენებას 1929 წელში ჟურნალის მუშაობის შესახებ. მოწვეულნი არიან პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყველა სექციები, მუშკორები და მთარგმნელები.

კინო

სომხეთის სახკინმრეწვი

„მეთექვსმეტე“.—რ. ეჟ. ბარხუდაროვი

(სანიმუშო ჩვენება)

ახალგაზრდა რეჟისორს მასალად აუღია სამოქალაქო ომების პერიოდი.

რეჟ. პროტოზანოვის მიერ „41-ელ“-ით შემოტანილი ფსიხოლოგიზმი“ ამ სურათშიაც საკმაოდაა გამოყენებული. ვფიქრობთ საქმის კარგად მცოდნე რეჟისორის მიერ „ავ სულში“ არჩეული გეზის გაგრძელება და ადგილობრივი ხასიათის მასალაზე დაყრდნობა უფრო ნაყოფიერად გამოაჩენდა იმ ღირსებებს, რომლებიც „მეთექვსმეტეს“ ახასიათებს.

თუ ზოგჯერ სურათის მთლიანობა შიგა და შიგ ირღვევა „ნივთების გათამაშების“ დაუსრულებლობით. სამაგიეროდ წვრიმალშიაც კი არ არის გამოჩენილი ის სპეციალური ხედვა საგნებს, რომელიც აუცილებელია კინო-რეჟისორისათვის.

მთელი ექვსი ნაწილის მანძილზე მოსჩანს მხედველობით მოაზროვნე და გემოვნების მქონე ოსტატი.

წარწერის მინიმუმამდე შემცირება დიდ მიღწევად ჩაეთვლებოდა რეჟისორს, რომ ამას ხელს უწყობდეს მეტად საკამათო და „შტამპ“-იანი სცენარის სიუჟეტური განვითარება.

ბ. ბ.

სასამართლო

გამფლანგველი, სიმულიანტი და აფერისტი

ნესტორ სიმონის ძე ხოშტარია გასულ წელს მანგლისის ერთიან სამომხმარებლო კოოპერატივის სათავეში იდგა, როგორც გამგეობის წევრი.

მართალია გამგეობაში სხვებიც შედიოდნენ, მაგრამ თანხებთან მხოლოდ ხოშტარიას ჰქონდა საქმე. მას ეძლეოდა თანხები კოოპერატივისათვის სხვადასხვა საქონლის შესაძენად, იგი უსწორდებოდა ანგარიშს სხვადასხვა დაწესებულებებს.

სულ 5—6 თვის განმავლობაში ხოშტარიამ 5.000 მანეთამდე დააკლო მანგლისის კოოპერატივს, ხოლო შემდეგ თავი მოიავადმყოფა და სამსახურს თავი გაანება.

იმ ხანებში, როცა ხოშტარია კოოპერატივის გამგეობის წევრად ითვლებოდა, მას თბილისის სადგურზე თურმე ჯიბგირები თავს დაესხმიან (!) და დიდძალი ფული წაურთმევიათ.

ეს მან არ განაცხადა, როგორც თვითონ ლაპარაკობს, იმიტომ, რომ არ დაუჯერებდნენ და სიმულიანტობას დასწამებდნენ. ეხლა კი, როცა ამოდენა თანხა აკლია მის სალაროს, მთავარ „არგუმენტად“ სწორედ ჯიბგირების თავდასხმა მოჰყავს.

გარდა ამისა მანგლისელ „კოოპერატორს“ თბილისის ქალაქის ბანკის სახელზე გაუკეთებია ყალბი საბუთი, რომლითაც 1000 მანეთი გაუქაფავს..

ყოველივე ეს დადასტურებულია წინასწარი გამოძიებით.

ხოშტარია ნაწილობრივ კისრულობს გაფლანგულ თანხას, ხოლო მეტ ნაწილს ამ თანხისას ჯიბგირებს „აკისრებს“.

ხოშტარიას გაასამართლებს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო. ვერ.

შემთხვევები

გვამის პოვნა

11 იანვარს, კრამიტის ქ. სახლი № 13-ის ეზოში იპოვნეს ახლად დაბადებულ ბავშვის გვამი მამრობითი სქესისა. გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

ქურდობა მუშკოოპის მაღაზიაში

მუშკოოპის მაღაზიის (№ 157) მოლარე მაკინე თელიამ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მუშაობის დროს მას სალაროდან მოპარეს 324 მანეთი.

ჯიბგირობა

ელენე მიხეილის ასულს შოლუხას კარლ მარქსის მოედანზე ვიღაც ჯიბგირმა რედიკულიდან მოპარა ფული და ორი ოქროს ბეჭედი.

გარყვნილების ბუდე

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ პასუხისგებაში მისცა პრასკოვია პეტრეს ასული ატამანენკო და სიმონ ვასილის ძე რიეკოვი, რომლებსაც თავიანთ ბინაზე (კვირესელიძის ქ. № 11) მოწყობილი ჰქონდათ გარყვნილების ბუდე.

ხანძარი

გუშინ საბჭოთა ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 14, სასწრაფოდ გამოიწვიეს სახანძრო რაზმი, რომელმაც ცეცხლი ჩააქრო 10 წუთში.

ქურდობა

10 იანვარს, ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის სამი შემთხვევა.

მეცნიერება და ტეხნიკა

„მფრინავი ფორტი“

საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო ახდენს ხუთტონიან სამხედრო აეროპლანის გამოცდებს. ეს აეროპლანი დანიშნულია სპეციალურად ბომბების გადმოსაყრელად მტრის ბანაკზე. აეროპლანის კონსტრუქციაში შეტანილია მთელი რიგი გაუმჯობესებანი. ასე მაგალითად, ერთი რომელიმე მოტორი გაჩერების შემთხვევაში, სპეციალური აპარატი ისე ცვლის საჭეების მართვას, რომ ნორმალური ფრენა არ ირღვევა. მიუხედავათ იმისა, რომ აეროპლანი გაუმჯობესებული ტიპისაა, კატასტროფას ვერ ასცდა. რამდენიმე წარმატებით დასრულებული გაფრენის შემდეგ აეროპლანს მოტორი გამოუცვალეს. ახალი მოტორით პირველი გაფრენისთანავე მოხდა კატასტროფა, რომლის დროს დაიღუპა საფრანგეთის საუკეთესო მფრინავი მორის დრუენი და მისი თანაშემწე.

ახალი გაზი

გერმანელმა ქიმიკოსმა რედემანმა აღმოაჩინა ახალი ქიმიური ნივთიერება, რომელიც არაჩვეულებრივად მოკლე ვადაში იძლევა 100 მეტრის სიმაღლე კვამლის საფარს. ქ. შტუტგარტში ცდების დროს რამდენიმე წუთის განმავლობაში სრულიად დაფარული იყო კვამლის საფარით, კვამლის საფარის წარმომშობი გაზი მოთავსებული იყო ათ სხვადასხვა პუნქტში, რომლებიც ელექტრონის მავთულებით იყვნენ შეერთებული ცენტრალურ სადგურთან. ამრიგად კვამლის საფარი ელექტრონის ფოლაქზე ერთი ხელის დაჭერით იქნა გამოწვეული.

რკინის გზებზე

ბრძოლა ეპიდემიასთან

მოსალოდნელ ეპიდემიურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად ა. კ. რკინის გზებზე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები სანიტარიის საქმის მოსაწესრიგებლად.

გაძლიერებულია ზედამხედველობა სახალხო ვაგონებში სისუფთავის დაცვაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მატარებლის რომელიმე ვაგონში აღმოჩენილი იქნება გადამდები სენით დაავადებული მგზავრი, ჯანმრთელ მგზავრებს გადაიყვანენ სხვა ვაგონებში, ხოლო იმ ვაგონს, სადაც აღმოაჩენენ ავადმყოფ მგზავრს, დაპლომბავენ და გადაგზავნიან მახლობელ სადგურზე დეზინფექციისათვის.

სადგურებში გაძლიერებული იქნება ხაზების გასუფთავება; სადგურების ტერიტორიიდან გაძევებული იქნებიან ყველა სურსათ-სანოვაგეებით მოვაჭრეები. სადგურის სალაროებთან რიგების მოსასპობად სალაროებს გააღებენ გაცილებით უფრო ადრე ვინემ ეხლა ხდება.

ნავთლუღის საცივარი

ნავთლუღის საცივარის საამშენებლო სამუშაოები დამთავრებულია. ამის გამო მთელ რიგ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებმა მიმართეს ა. კ. რკინის გზების გამგეობას თხოვნით, გამოჰყოს მათთვის საცივარში განსაზღვრული არე მალე გასაფუჭებელ პროდუქტების შესანახად.

მაცივარში შეიძლება შენახულ იქნას 800 ტონა პროდუქტები.

ბამბის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად

ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭომ წინადადება მისცა ა. კ. რკინის გზების გამგეობას მიიღოს ყველა ზომები ბამბის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად.

რელსის გატეხვის გამო

10 იანვარს სადგ. ძეგამიდან საქონლის მატარებლის გაშვების დროს, მოულოდნელად შემადგენლობის ქვეშ გასკდა რელსი. ამის გამო ლიანდაგიდან გადავარდა ათი დატვირთული ვაგონი და ხაზი დაზიანდა ასი მეტრის მანძილზე.

ვაგონების ამოსაღებად და ხაზის შესაკეთებლად განჯიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებელი.

ნარევი

ავტომობილის სისწრაფის ახალი რეკორდის დამყარების ცდა

ცნობილი ინგლისელი სპორტსმენი კაპიტანი სეგრეივი ემზადება სისწრაფის ახალი რეკორდის დასამყარებლად ავტომობილით.

სეგრეივი პირველი იყო, ვინც 300 კილომეტრის სისწრაფის საზღვრები გადალახა. წარსულ წელს ფლორიდაში (შეერთ. შტატები) მან თავისი ავტომობილით საათში გაიარა 300 კილომეტრზე მეტი, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ამერიკელმა სპორტსმენმა კებრიჯმა დაამყარა სისწრაფის ახალი რეკორდი—მან შესძლო 340 კილომეტრის გავლა საათში და ეს სისწრაფე დღემდე მსოფლიო რეკორდად ითვლება.

მართალია, მრავალმა სპორტსმენმა სცადა სისწრაფის ახალი რეკორდის დამყარება, მაგრამ ამაოთ. ერთი სპორტსმენი ასეთი ცდის დროს თავისი ავტომობილით ზღვაში გადაიჩეხა, მეორე თავის ავტო მანქანასთან ერთად დაიწვა. ამ კატასტროფებმა დიდი ხნით შეაჩერა სისწრაფის ახალი რეკორდის დამყარების ცდები.

სეგრეივი, რომელიც აპირობს ავტომობილის სისწრაფის ახალი რეკორდის დამყარებას მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენია: იგი არის მფრინავი, მეზღვაური, ალპინისტი, შოფერი. ის არა ერთხელ დამტვრეულა მსოფლიო შეჯიბრებების დროს, არა ერთხელ ცოცხალმკვდარი გამოუტანიათ მანქანის ნამტვრევებიდან, მაგრამ გამოჯანსაღებულა და განაგრძობდა მონაწილეობას სახიფათო შეჯიბრებებში. ინგლისში მას „სიკვდილის კაპიტანს“ უწოდებენ.

სეგრეივს „დახმარებას“ უწევს ორი მდიდარი ინგლისელი. ერთი მათგანი ცნობილი ინგლისური საავტომობილო ფირმის „სენბიმის“ პატრონია. იგი სეგრეივს უსასყიდლოთ „უთმობს“ ავტომობილს სისწრაფის ახალი რეკორდის დასამყარებლად (ფაბრიკანტმა იცის, რომ სეგრეივის ცდა მისი ფირმის საუკეთესო რეკლამა იქნება და რას დაგიდევს, თუგინდ სეგრეივმა კისერიც მოიტეხოს).

„სენბიმის“ ქარხნებში სეგრეივისათვის დამზადებულია სპეციალური ავტომობილი. რომელიც გარეგნულად სრულიად არა გავს ჩვეულებრივ ავტომობილს. ეს არის უზარმაზარი ნაღმი, სიგრძით 10 მეტ. მეტი. განით 1 მეტ. აქვს, რომ მას რაც შეიძლება გაუადვილდეს ჰაერის გაკვეთა. ავტომობილზე დადგმულია ორი ხუთასძალიანი მოტორი. ავტომობილის დამზადება ერთ მილიონ მანეთზე მეტი ჯდე-

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 12 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებული არიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: გ. როზაბეგოვი, ს. მერქულოვა, რ. მოსესოვი, ნ. მარგანაშვილი, ნ. შიშლოვი, გ. მალხაზოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: მ. გვარამაძე, ნ. გაბაშვილი, ა. მიროტაძე, ქ. ნაჭყეპია, ა. ბალიანცი.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ა. ქანანოვი.

ახალგაზრდათა მეოთხე სექციიდან: შალვა შავლიაშვილი, ანდრო სტეფანოვი, არმაის სანდურაჯიანი, მიკიჩ დანიელიანი, გალუსტ აკოპოვი, ბორის გოლდშტეინი, იაგორ ნოვოსარდოვი, ნადეჟდა ჩიტაძე, ვასილ კალინინი, სერგო ჭანანოვი, არმენაკ ბარსეგოვი, ბორის ლევანდოვსკი, ჟენია ქილიტაური, მიხეილ კალოშიანი, ალექსი ქართველიშვილი, ვიქტორ მაევსკი, ვასილ ჩუკინი, ფარნაოზ აივაზოვი, მამიკონ მამიკონიანი, კოტე ღლონტი, თედორე პროხოროვი, ა. მიხელაშვილი, ბარსეგ ბეგლარიანცი, სერგო ხუციევი, სერგო მანუკოვი, დავით როველაშვილი, გიორგი ონიაშვილი, ივანე ონიაშვილ, მიხეილ არუთინოვი, სერგო ღარიბოვი, არმენაკ იშხანოვი, ვასილ ჭოხონელიძე, ივანე ლოლობერიძე, კალისტრატე უბერიძე, სერგო კანაზოვი, ვასილ გოგიძე, კანდიბა, ნიკოლოზ ბახტაძე, ლეონ სარქისოვი, გალინა კაპლიანცი, ოგანეს გაბელიანი, გურგენ ხაჩიგიანი, არმენაკ ბაბაჯნიანი, გალაქტიონ ხუტუა, სერგო არუთინოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს ლენინის კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს 12 იანვარს საღამოს 5 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება თბილისის კომიტეტის მორიგი პლენუმი.

სავალდებულოა პლენუმის და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატთა დასწრება.

—:—

ს. ს. პ. ი. სამთო-ქიმიურ ფაკულტეტთან არსებულ ს. ა. ლ. კ. კ. უჯრედის მორიგი კრება შესდგება დღეს საღ. 5 საათ.

—:—

დღეს დილის 9 საათზე, ც. კ. აგიტპროპ. განყოფილებაში შესდგება სხდომა. რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ბიბინეიშვილი, (სახელგამი). ხ. ხუნდაძე (სახ. უნივერსიტეტი), ა. მიქაძე (პროფკავშირები), ლუარსამიძე (სახელგამი) და ბუაჩიძე (პროლეტ. მწ. ასოციაცია).

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს 12 იანვარს დღის სრულ 12 საათზე. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

თბ. სახელ. უნ-ტის აგრონომიული ფაკ. მესამე და მეოთხე კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს დღეს, 12 იანვარს საღამოს სრულ 5 საათზე გამოცხადდნენ აგრონომ. ფაკულტეტის შენობაში ამხ. აბესალომ სვანიძესთან:

გრიგოლ ძინძიბაძე, კარაპეტ კანდელაკი, გაბრიელ ახობაძე, გიორგი ბროსაძე, პარმენ ჯანჯღავა, მიხეილ რუსაძე, დომენტი ეძგვერაძე, დავით ჩარქვიანი, გრიგოლ ჭყონია.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 12 იანვარი

დღეს, 12 იანვარს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი; მხატვრული პროგრამა გლეხებისათვის: მოხსენება—„კოოპერაცია და საბჭოების არჩევნები“; ერთი კვირის პროგრამის გადაცემა: [illegible] კალური განმარტებები; [illegible] ცია; ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი.

დამწუხრებული მეუღლე სონა მიხეილის ასული, შვილები: ვენიკო, ალექსანდრე, მიშა, ქსენია, თამარა და ნინა; რძლები: სილვა და ნინა, შვილისშვილები: არჩილ, მედეია და ლეილა ბარამიძეები, სიძე თადეოზ სხილაძე შვილით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი

გიორგი მათეს-ძე ბარამიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 13 იანვარს, სოფელ ჯუმჯუათში (გურია). 89

მეუღლე პელაგია როსტომის ასული, შვილები ნიკოლოზ და თამარი, სიძე ივანე ხუბულავა შვილებით აუწყებენ ნათ სავ მეგობართ, რომ კვირას, 13 იანვარს 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ლევან იოსების-ძე გოგნიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 86

გაუბედურებული დედა ნინო პავლეს ასული აბესალაშვილისა, დეიდები: ეკატერინე ქუთათელაძისა შვილებით და მარიამ ბურჯანაძე, ბიძა ერეკლე ბურჯანაძე ოჯახობით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

დათიკო აბესალაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 12 იანვარს, საღამოს 6 საათზე, მთავარ საავადმყოფოს (ყ. მიხეილის) პროზექტურაში. გამოსვენება იქიდანვე კვირას 13 იანვარს, დილის 12 საათზე დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 87

დამწუხრებული შვილი ილიკო, რძალი ანიქა შვილებით, ძმები ზაქრო ცოლით ანეტათი, პავლუშა ცოლით ნინათი, მიხაკო ცოლით მინადორათი, პეტრე ცოლით იულიათი ვაშაკიძეები; დები: მარო კაკაბაძისა ქმრით ვლადიმერით, ლიზა ხუნდაძისა ქმრით ხარიტონით, მართიკო ქმრით სიო კალანდაძეთი გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი

ირინე ვაშაკიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება შერმეტიევის ქ. № 55, კვირას 13 იანვარს დილის 12 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 90

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტი იუწყება, რომ ა. წ. 8 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა № 1 ხე-ტყის მასალათა საწყობის დაუღალავი და პატიოსანი თანამშრომელი

პავლე სოლომონის ძე თათარაშვილი

გამოსვენება 13 იანვარს დღის 1 საათზე, საკუთარ ბინიდან—სურბ-კარაპეტის ქ. შემოსავლელი შესახვევი № 2. ნ. 2110

ამხ. კახიანის სახელობის მუშათა ფაკულტეტის ბიურო კოლექტივი, აღმასბიურო და კურსის უჯრედები მწუხარებით იუწყებიან კომუნისტური პარტიის წევრის

ამხ. პარიმონ ფრუიძის

უდროოდ გარდაცვალებას. 96

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ბარბალე, შვილები: რემახოზი და ანეტა, რძალი ნეონილა თევზაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 10 იანვარს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

სოლომონ პეპუს-ძე თევზაია

დაკრძალვა ქ. სოხუმში 13 იანვარს. ნ. 2112

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ოლღა და მელიტონი, ნათლიდედა სონა შვილით მერით, ძმები: აკაკი და ვალერიანი, დები: ვალენტინა, მაგლონია და ლიუბა, დეიდა ნინა და ბებია ალათი კალანდაძეები, ბიძები; სვიმონ, გერასიმე, ბიცოლა ოლღა, დეიდაშვილები კარო და თამარა ჩეჩვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს საყვარელ

ვანო მელიტონის-ძე წერეთლის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, ნაშუადღევის 2 საათზე. (საბჭოს ქ. № 143). 97

ღრმად დამწუხრებული ცოლი ეფემია, შვილები: ნესტორი, კოტე, საშა, ნინა, მარიამი, ანა, რძლები, სიძეები და შვილისშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

თომა ელიზბარის-ძე კორინთელი

გამოსვენება დაბა კოჯრიდან კვირას, 13 იანვარს, შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა სოფ. წავკისში. (ე)

რუსთაველის თეატრი

შაბათს 12 იანვარს

ფეიქართა და ხეზე მომუშავეთა კავშირების წევრთათვის

„ჯუმა-მაშიდ“ გ. ვენეციანოვის

დრამა 4 მოქ. და 6 სურათათ თარგ. ხ. შანშიაშვილის

დადგმა: ქ. პატარიძის მხატვარი: ირ. გამრეკელი

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში. მუშათა სასახლე ოთახი № 1.

2—2 ნ. 2107

რუსთაველის თეატრი

კვირას, 13 იანვარს ღია წარმოდგენა. ხოზიძას.

„ხოჭოების დოღი“ კომ. 3 მოქმ.

დადგმა ალ. ახმეტელისა მხატვარი ირ. გამრეკელი

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთახი № 1

2—1 ნ. 2079

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი არფასტო სოლეი აპოლო	ისტორიული სურათი ორ სერიათ დღეს პირველი სერია **ჯანყი** რეჟისორი—ა. წუწუნავა. ოპერატორი—ა. დიღმელოვი. საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.
პალასი	**ზვავი** ინა ლის, პერესტიანის და პანოვის მონაწილეობით
მინიონი	ცნობილი სურათი **მორალი** ელენ რიხტერის ძონაწ.
დარბაზი	უკანასკნელად თბილისში **მისს-მენდ** 1 და 2 სერია
პროლეტარი ავლაბარი	დუგლას ფერბენქსის მონაწილეობ. **ალანის სიზმარი**

0—8

** იჩქარეთ ნახოთ!**

პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!

საშინელ ცხოველთა სამყარო

ჟოკეი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში

ჩამოყვანილია იშვიათი ეგზემპლიარები



მფრინავი ძაღლები

ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეგზემპლიარები.

სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?

ნ. 2082 ս—2.

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

გლადილშჩიკოვის გასტროლების უკანასკნელი 3 დღე

დღეს

სენსაციური სანახაობა გლადილშჩიკოვის ბრძოლა ბუმბერაზ დათვთან, რომელიც იწონის 20 ფუთს. მონაწილეობს აგრეთვე მთელი დასი და ყველა გასტროლიორები

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

კვირას 13 იანვარს დღის სანახაობა

მწვრთნელი გლადილშჩიკოვის უკანასკნელი გამოსვლა. ახალი გასტროლიორები და მთელი დასი

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე

3—2 ნ. 2068

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1929 г.

НА ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ, ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ, НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ и ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ

ЖУРНАЛ ДЛЯ ВСЕХ

II год издания

Ответств. редактор Вл. БАХМЕТЬЕВ.

„ЖУРНАЛ ДЛЯ ВСЕХ“ журнал всех, кто своим трудом и знаниями участвует в строительстве социалистического общества.

„ЖУРНАЛ ДЛЯ ВСЕХ“ дает своим приложением ПОЛНОЕ СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ в 6 томах **Н. Н. ЛЯШКО**

УСЛОВИЯ ПОДПИСКИ (с доставкой и пересылкой):

ЦЕНА НА ГОД—3 руб., на ½ года—1 р. 60 к., на 3 мес.—85 к., на 1 мес.—30 коп.

ЦЕНА на год НА 12 НОМЕРОВ ЖУРНАЛА С ПРИЛОЖЕНИЕМ 6-ти книг Н. Н. ЛЯШКО 5 руб. 50 коп. (Подписка на журнал с приложениями принимается только на год).

Допускается рассрочка платежа при непосредственной подписке в Издательстве или его отделениях: для годовых подписчиков на журнал без приложений при подписке—2 р. и к 1 июля—1 р.; на журнал с приложен. при подписке—2 р. 60 к., к 15 апреля 2 р., к 1 июля 90 к.

ГОДОВЫЕ ПОДПИСЧИКИ НА ЖУРНАЛ С ПРИЛОЖЕН. сочин. Н. ЛЯШКО, внесшие не позднее 1-го января НЕПОСРЕДСТВЕННО В ИЗДАТЕЛЬСТВО или его ОТДЕЛЕНИЯ ПОЛНОСТЬЮ подписную плату (5 р. 50 к.), ПОЛУЧАТ БЕСПЛАТНО

АЛЬБОМ ПОРТРЕТОВ современных пролетарских писателей СССР.

ВСЕГО 12 ПОРТРЕТОВ на роскошной мелов. бумаге в красках. Размер каждого портрета 36×54 см.

Подписчики НА „ЖУРНАЛ ДЛЯ ВСЕХ“ за доплату в 3 руб. в ГОД ИЛИ 1 руб. 60 коп. за 6 месяцев МОГУТ ПОЛУЧИТЬ самый распространенный ежемесячный детский журнал **„ЕЖ“**

ЖУРНАЛ БОГАТО ИЛЛЮСТРИРОВАН.

Подписку и деньги направлять: МОСКВА, Центр, Ильинка, 15, Акц. Издат. О-ву „ЗЕМЛЯ И ФАБРИКА“.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также во всех отделениях Издательства, повсеместно на почте, в киосках Контрагентства Печати, отделениями центр. изд-в.

თბილისის საბჭოს ადმინისტრატიული განყოფილება

ამით აცხადებს ყველა სახლის პატრონების, საბინაო ამხანაგობების და საბჭოთა სახლების კომენდატების საყურადღებოდ, რომ თბილისის საბჭოს დადგენილების თანახმად ა. წ. 20 იანვრიდან იწარმოებს არსებული საბინაო დავთრების გამოცვლა ახლებით; ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს სამი თვის განმავლობაში.

საბინაო დავთრების სისწორით, გარკვევით, სუფთად და თავის დროზედ გადაწერის შესრულებაში პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს შრომის ბირჟასთან არსებულ კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოს, წერითი ბიუროების სახით. უკანასკნელი ვალდებულია მოაწყოს ყველა სამილიციო რაიონებში წერითი დამხმარე ბიუროები დავთრების გასაყიდად და გადასაწერად.

ზემოაღნიშნულის გამო ევალებათ ყველა ზევით დასახელებულ პირებს გამოსცვალონ არსებული დავთრები აღნიშნულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმებულ იქნებიან, როგორც დამრღვევნი აღმასკომის სავალდებულო დადგენილებისა № 24.

თბილისის საბჭოს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი: საჯაია.

საერთ. საად. ქ. განყოფილების უფროსი: ჯავახიშვილი.

სამისამართო ბიუროს გამგე: თალაკვაძე.

ნ. 2099 5—1

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი

გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 1929 წ. 14 იანვარს დღის 12 საათზე ს. ქახვრელში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გეურქა სადაღიშვილის 200 ფუთი კომბოსტოს შეფასებულს 200 მან. ლიზა სადაღიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად და ამ. წ. 20 იანვარს დღის 12 საათზე ს. მეჯვრისხევში **საჯარო ვაჭრობითვე** გაყიდის ვასილი გოგიაშვილის ქონებას: 200 ც. ხილის ყუთს შეფასებ.—50 მან., ერთ დიდ ნავს 20 მ., ერთ ხალიჩას—20 მ. სამოვარს—5 მან., ერთ სასწორს—5 მან., და სხვ. სულ შეფასებულს 105 მან. ნოე ნესიას და დავით ქავთარაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. 4203

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

შ. პ. ლორთქიფანიძე

ამით აცხადებს, რომ ის 16 იანვარს 1929 წ. დღის 2 საათზე სახლში № 17 რიყის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სტეფანე ასატუროვის მოძრავ ქონებას: ჯაჭვებით დაბმულ წისქვილს თავის მოწყობილობით შეფასებულს 700 მანეთად, სურსათ-გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 13 ოქტომბრის 1928 წ. თარიღით, № 5663 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. უფ.

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა

აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)

მიღება: დილით 12—1 საათ საღამოს 7—8 საათ.

გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი

ა. დ. პეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე

ტელეფ.—12—67. ნ. 21—1

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა.

ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით.

ნ. 25—11

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—3

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.

მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

6144 50—1

ექიმი

ბ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს

მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა № 47, ცელფონი № 5—90.

ნ. 16 25—1

დაკარგა: მოწმობა № 14102 გაცემული ქუთაისის სამაზრო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის მიერ სერაფიონ ჩიბურდანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2109

დაკარგა: სარეგისტრაციო ბარათი № 7 გაცემული ქუთაისის სამაზრო სამხედრო კომისარიატის მიერ რუბენ ელიას ძე ენუქაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2109

დაკარგა: საანგარიშო წიგნაკი № 71 მარიამ ისაკის ასული მუშკუდიანის სახელზე, ჩ. გ. ნ.

დაკარგა: ბრაუნინგის სისტემის რევოლვერის № 294613 ტარების მოწმობა და პირადობის მოწმობა მოცემული თერგ-არაგვის-ხევის გამგეობის მიერ ალექსანდრე დავითაშვილის სახელზე, ჩ. გ. 85

დაკარგა: სამხედრო წიგნაკი № 1343, პირადობის მოწმობა № 6003, ინვალიდობის მოწმობა და საკერავი მანქანის ქვითარი სიმონ პავლეს ძე აბრამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 93

დაკარგა: სამხედრო წიგნაკი № 482 პროკოფი რაჟდენის ძე დუმბაძის სახელზე, ჩ. გ. 92

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ყაზბეგის ქუჩა № 68,

მთავლიტი № 904.